ვახტანგ ჭანკოტაძე

ობლის მფარველი ანგელოზები

ვასტანგ ჭანკოტაძე

ოპლის მფარველი ანგელოზები

თბილისი
2022

რედაქტორები	**დარეჯან ჭანკოტაძე** **ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა	**შალვა მურადაშვილი**

წინათქმა

„...ობოლო, ვის აფასებო
და – ვინც გამზარდაო...“
(ქართული ანდაზების სკივრიდან.
პერიფრაზი)

მძიმე და საშინლად ცუდი მოვლენაა ობლობა, მაგრამ, რას ვიზამთ – სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია და ვერსად გავექცევით.

ყველა ჩვენგანი განწირულია ობლობისათვის (გარდა უმცირესი გამონაკლისისა, როცა ადამიანები ემშვიდობებიან ამქვეყანას, ვიდრე მოასწრებდნენ დაობლებას – ომი, მასიური ეპიდემია, უბედური შემთხვევა და სხვა), გააჩნია როდის და რა პირობებში გეწვევა ეს უსიამო ფაქტი.

გასაგებია, რომ საშინელებაა მცირე ასაკში დაობლება, მაშინ, როცა გასავლელი გაქვს ურთულესი საცხოვრისო გზები.

მე და ჩემს და-ძმას, სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში გვეწვია ობლობა, რამაც განსაკუთრებით რთული გახადა ჩვენი სამომავლო ყოფა.

რომ არა კეთილი და მზრუნველი ადამიანები, ძალიან გაგვიჭირდებოდა დღევანდელობამდე მეტნაკლები წარმატებით მოსვლა.

წამი, წუთი, საათი, დღედაღამე, თვე და წელი – სწორედაც რომ აღრიცხვის ჩამოთვლილი კატეგორიების გამოყენება შეესაბამება დროის იმ მონაკვეთებს, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მაკავშირებდა წიგნში წარმოდგენილ პიროვნებებთან სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა სიტუაციაში.

მათთან შეხვედრები (მიუხედავად თანამდებობრივი რანგისა, ასაკისა, ეროვნებისა თუ რელიგიური მრწამსისა და პროფესიისა) ფრიად პოზიტიურად აისახა ჩემს ბიოგრაფიაზე, განსაკუთრებით კი იმ წლებში და მას შემდეგ, რაც მე და ჩემი და, დარეჯანი დავობლდით (გარდაგვეცვალა დედა, თამარ დავითის ასული გოცირიძე, თავისი მშობლების 27-ე შვილი) შვიდი და ორი წლის ასაკში (1940 წ.), ხოლო ცამეტი წლის შემდეგ გარდაგვეცვალა მამაც (1953 წ.) რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძე.

ამ მომენტისათვის ჩვენს საცხოვრისს უკვე ჰყავდა ახალი დიასახლისი (სიდონია ბოჭორიძე), რომელმაც ოჯახს მოუვლინა ვაჟიშვილი გივი. სამწუხაროდ, გივიც შვიდი წლის ასაკში (ჩემსავით) დაობლდა, როცა ავტოსაგზაო შემთხვევას შეეწირა მამაჩვენის სიცოცხლე.

გივიმ უდიდესი გარჯითა და მცდელობით გაიარა ეკლიანი გზები და არ შეურცხვენია ოჯახის ღირსება. იგი დღესაც უღალატო

კაცად ითვლება თელავში და მის გარემოში (ამჟამად პენსიონერია, ცხოვრობს თელავის რაიონის სოფ. შალაურში).

არც ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე (განათლება სკოლაში და რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა, პრაქტიკული სამეურნეო პერიპეტიები, საზოგადოებრივი ღონისძიებები, სპორტული თუ მუსიკალური ასპარეზები, ლიტერატურული სფერო, პედაგოგიკა, პუბლიცისტიკა და ა.შ.) მომკლებია კეთილი ადამიანების მხრიდან ყურადღება და ზრუნვა, რამაც, ვფიქრობ, გამოიღო სასურველი შედეგი და შეიძლება ითქვას ლაკონურად – მათი წყალობით „რაცა ვარ, ესა ვარ...“.

ცხოვრება „მოკლევადიანი“ თუ „გრძელვადიანი“, ყოველთვის მიმდინარეობს ადამიანების თანხლებით, მათთან მუდმივი ურთიერთკავშირებით, დაახლოვებით და დაშორებით, გახსენებით და გახარებით, დანაკლისის გამო დამწუხრებით, მარცხისა და გამარჯვებების ერთობლივი განცდითა და ა.შ.

ხანგრძლივ და მრავალფეროვან ცხოვრებისეულ პროცესებში ადამიანები ეცნობიან ერთმანეთს, პოულობენ ერთნაირად მოაზროვნეებს, ახლოვდებიან, მეგობრდებიან და ხშირად ერთიანი ძალისხმევით წყვეტენ ურთულეს საყოფაცხოვრებო თუ მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებს; იძენენ მეზობლებს, მეგობრებს, კოლეგებს, ნათესავებს და ა.შ.

გასული ოთხმოცდაცხრა წელი გატარებული მაქვს (ძირითადად) საქართველოს ოთხ გეოგრაფიულ სივრცეში (დღეს რომ ლოკაციებს უწოდებენ). ესენია – ქ. თელავი (15 წელი), ქ. გურჯაანი (3 წელი), ქ. თბილისი (6 წელი) და ქ. გორი (65 წელი).

როგორც ჩანს, ქ. გორში მაქვს გატარებული ცხოვრების ორ მესამედზე მეტი და, ბუნებრივია, რომ წინამდებარე წიგნში დიდი ადგილი ეთმობა სწორედ გორში გაცნობილ და დაახლოვებულ ადამიანებს.

ბუნებრივია (როგორც ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას) მქონდა მოკლევადიანი ცხოვრების ეპიზოდები სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში თუ სოფლებში. ესენია: ლენინგრადი, მოსკოვი, კიევი, ბაქო, ერევანი, რიგა, ოდესა, ხარკოვი, სოჩა, გაგრა, სოხუმი, იალტა, ვინიცა, ცხინვალი, როსტოვი, ორჯონიკიძე, ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ქუთაისი, სამტრედია, ხაშური, ყვარელი, შილდა, საბუე, ახმეტა, ომალო, პანევეჟისი, ჰელსინკი, ტამპერე, კოუპიო, ლახტი და სხვა.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის მეტად ძვირფასი და დასამახსოვრებელია ცხოვრების პირველი ეტაპები, როდესაც მიმდინარეობდა ობლობაში გაზრდილი ბავშვის სწავლა-განათლებისა და ცხოვრებაში გზის გაკვლევის და როგორც იტყვიან – ფეხის მოკიდების ურ-

თულესი პროცესი, როცა ყალიბდება ხასიათი, აზროვნების უნარი, შრომის პატივისცემის კულტურა, რაინდობის, ჰუმანიზმისა თუ პატრიოტული სულისკვეთების ნიშან-თვისებები და ა.შ.

მადლობა, უღრმესი მადლობა!

ყველა მას, ვინც ობლადდარჩენილებს (მე და ჩემ დას, დარეჯანს და ძმას – გივის) მხარში ამოგვიდგნენ და ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში მარტოდ არ მიგვატოვეს, ვინც: კეთილი თვალით გვიცქირა, მოგვეფერა, ალერსი არ მოგვაკლო, დაგვიცვა, გაგვამხნევა, დაგვასაჩუქრა, მოგვილოცა, გვიმკურნალა, შეგვაქო, წარმოგვაჩინა, გვასწავლა, მიგვითითა, დაგვარიგა, დაგვაფასა, დაგვაწინაურა, სასწავლო ნივთები (წიგნი, რვეული, ფანქარი, კალამი, საშლელი, სახაზავი, ფარგალი და სხვა) არ მოგვაკლო, გაგვწვრთნა, გაგვაკაჟა, სიკეთის კეთებისკენ მოგვიწოდა, ქართულ-ხალხურ სიბრძნეს გვაზიარა, მოყვასის სიყვარული გვასწავლა, მეზობლები შეგვაყვარა, შრომა გვასწავლა, მოგვიწოდა ერთგულებისა და სიყვარულისკენ, დაგვაფიცა მამულის სიყვარულზე, გვასწავლა სანთლის დანთება და ლოცვა, გაგვითავისა სხვისი ჭირის გაზიარება, შეგვასწავლა ყოველდღიური ყოფაქცევის ეთიკა და ნორმები, შეგვაყვარა მშობლიური ენა და წიგნის კითხვა, შეგვამზადა ბოროტებასთან საბრძოლველად, გვასწავლა დროის მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოყენება, შეგვაჩვია პირობის (ნათქვამი სიტყვის) შესრულებას, გააძლიერა ჩვენს „მე“ში მეგობრული და რაინდული სულისკვეთება, გვასწავლა მამულისათვის თავდადება და გაჭირვებულებისათვის დახმარების აუცილებლობა, ურყევად და მტკიცედ ჩაგვინერგა ეროვნული ტრადიციების პატივისცემა და სიყვარული; გვასწავლა ყველაფრისათვის „თავისი“ ადგილის მიკუთვნება და ყველაფრისათვის „თავისი“ სახელის დარქმევა, გაიზიარა ჩვენი ყველა წარმატება და წარუმატებლობა; არ მოგვაკლო ჯილდოები, მედლები, ორდენები, წოდებები, პრემიები, სიგელები და სხვა; შეგვაჩვია სამართლიან კრიტიკას, წარმოგვაჩინა ფართო საზოგადოების წინაშე და ა.შ. და ა.შ.

ათასობით ხერხი, საშუალება, მეთოდი არსებობს საიმისოდ, რომ სურვილის შემთხვევაში ადამიანებს მიეფერო, კეთილი სალამი მისცე, თბილი სიტყვა (თუნდაც ერთი) შეაგებო, გაუღიმო და ა.შ. ეს ყველაფერი ადამიანებს სიხარულს და სიამოვნებას ჰგვრის, რაც თავის მხრივ საუკეთესო საშუალებაა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

ძნელია, გაიხსენო ყველა და ყველაფერი – ვინ, როდის, როგორ, სად ან რამდენჯერ მოგეფერა, გაგახარა, დაგეხმარა, სითბო გაგრძნობინა და სხვა. მაგრამ ფაქტი ერთია – ჩემი და ჩემი დაძმის გარშემო, გასული წლების განმავლობაში, უხვად იყვნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც ჯერ ცდილობდნენ, რომ შიმშილობის,

უშუქობის, სიცივისა და სხვა სიძნელეებისთვის გაგვეძლო (მეორე მსოფლიო ომის წლები). მერე კი სასიკეთო საცხოვრისო ბილიკებზე დავეყენებინეთ და სწავლითა და შრომით გავსულიყავით ფონს.

ახლა, წინამდებარე წიგნით, მინდა გავიხსენო ბევრი იმათაგანი და მათ მიერ ნაკეთები კეთილი საქმეები, ვინც და რამაც საშუალება მოგვცა მე და ჩემ და-ძმას ამაყად მოვსულიყავით დღევანდელობამდე, რათა გულითა და სულით მოვიხადოთ მადლობა იმ ადამიანების წინაშე, ვინც არ დაიშურა ობლების დასახმარებლად ძალი და ღონე. ბევრი აღარ არის ცოცხალი – სამარადისო ხსოვნა მათ; ბევრი კვლავ ჩვენს გვერდით დგას – ჯანმრთელობა და ბედნიერება მათ; ბევრს ვერ გავიხსენებთ – დაე, ღმერთმა გვაპატიოს...

ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შევეცდები ყველას, ვისაც თუნდაც ერთხელ გამოუხედია ჩვენსკენ კეთილი მზერით, მივაგო პატივი, ვუთხრა მადლობა და აღვუთქვა არდავიწყება.

ბუნებრივია, რომ წიგნში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება იმ ადამიანებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ე.წ. ახლო, არცთუახლო და შორეული ნათესავების კატეგორიას (ნათესავებს, განსაკუთრებით კი ახლო ნათესავებს, ღმერთმა ისედაც არგუნა ბედად და უპირველეს მოვალეობად ობლადდარჩენილების მოვლა-პატრონობა და „გზაზე დაყენება“), რომლებიც ბოლო ოთხმოცდაორი წლის განმავლობაში გზადაგზა, სხვადასხვა სივრცეში, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა მასშტაბით აღმოჩნდებოდნენ ხოლმე გვერდში, გვითანაგრძნობდნენ, გვიმეგობრდებოდნენ და გვეხმარებოდნენ ვისაც როგორ შეეძლო, თავისი მნიშვნელოვანი წვლილით გვიადვილებდნენ ცხოვრებას და გვიხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს.

წმინდა სანთელთან პირჯვარს ვიწერ,
ღმერთს ვევედრები,
ძალა შემმატოს, გამამხნევოს –
ვატყობ ვბერდები,
მადლობა ვუთხრა – ვინც მატარა
სიკეთის კვალით,
მხარში მედგა და ახლაც მათბობს
მზრუნველი თვალით.

ავტორი

გეოგრაფიული სივრცე

თელავი
გურჯაანი

სათავეებთან
(მთავარი ანგელოზები – ნათესავები)

„...დავბადებულვარ კახეთის გულში,
როცა ყვაოდა ქალწული ნუში...“

წიგნის შესავალ ნაწილში აღვნიშნე და გავიმეორებ, რომ ბუნებამ განსაზღვრა და ობლად დარჩენილი ბავშვების აღზრდა-განათლებისა და ცხოვრებაში მათთვის გზის გაკვალვის ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა დააკისრა ახლო თუ შორეულ ნათესავებს; გამომდინარე ნათქვამიდან, დეტალურად აღარ ვისაუბრებ მათ მიერ ჩემი და ჩემი და-ძმის მოვლა-პატრონობისა და მნიშვნელოვანი მხარდაჭერის შესახებ. უბრალოდ, ორიოდე სიტყვით გავაცნობ მკითხველს თუ ვინ იყვნენ, რას აკეთებდნენ, რას მიაღწიეს, რას ელტვოდნენ და ა.შ.

გვარწარმომავლობის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტის ალექსანდრე ნაზღაიძის ცნობით, „...XVIII-XIX საუკუნეებში ზემოიმერელი ჭანკოტაძეები განსახლდნენ შიდა ქართლში, ჰერეთში და კახეთშიც. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო დათიკა ჭანკოტაძე, რომელიც დამკვიდრებულა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, შეუქმნია გამრჯე და ლამაზი ოჯახი...“

სწორედ დათიკა ჭანკოტაძე გახლდათ ჩემი დიდი პაპა. დათიკას ერთ-ერთი შვილი იყო ჩემი პაპა – ნიკოლოზ (ნიკო) ჭანკოტაძე, რომელმაც თავის ძვირფას მეუღლესთან, დარიკოსთან (დარეჯან) ერთად ქვეყანას აღუზარდა სამი ვაჟკაცი – გიორგი, ვახტანგი, რევაზი (რევაზი იყო მამაჩემი).

ნიკოლოზი (ნიკო)

დარიკო (დარეჯანი)

შილდელი ხანდაზმულებისაგან ისიც მოვისმინე (1950-60 წ.წ.), რომ დათიკა ჭანკოტაძე ყოფილა საკმაოდ შეძლებული გლეხი, რომელსაც არ დაუშურებია თავისი შესაძლებლობები და ნიკოს სამივე შვილისათვის დაუფინანსებია (უზრუნველუყოფია) თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი ხარჯები წლების განმავლობაში.

ნიკო პაპას შვილს, გიორგის, მიუღია იურიდიული განათლება და მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა შესაბამის საქმიანობას.

გიორგის მომდევნო ძმას, ვახტანგს, ისევე როგორც მამაჩემს რევაზს, დაუმთავრებია თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და მეტყევე-ინჟინრის სტატუსით ჩაბმულან შრომის ფერხულში – ვახტანგი თბილისში, ხოლო მამაჩემი რევაზი ქ. გორში.

გიორგი

ვახტანგი

რევაზი

გავიხსენებ ძმების თბილისში ცხოვრებისა და სწავლის წლებში ერთ საინტერესო ეპიზოდს.

ცხოვრობდნენ ახლანდელი ელბაქიძის დაღმართზე მდებარე სახლის მე-4 სართულზე დაქირავებულ ბინაში, რომელიც ეკუთვნოდა ამავე სახლის პირველ სართულზე არსებული ღვინის სარეალიზაციო ობიექტის მფლობელს.

პაპაჩემი, თურმე თვეში ერთხელ აგზავნიდა შილდიდან თბილისში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით დატვირთულ ურემს და სტუდენტების ყოფაში იწყებოდა ზეიმი. ამ ზეიმში აუცილებლად მონაწილეობდა ბინისა და დუქნის მეპატრონეც.

ერთხელაც, სუფრასთან ამტყდარა კამათი, რასაც მოჰყოლია სანაძლეო მეპატრონესა და მამაჩემს (რევაზს) შორის იმის თაობაზე, რომ შესძლებდა თუ არა უმცროსი ძმა, ღვინით სავსე ასორმოცდაათლიტრიანი კასრის ატანას დაგრეხილი რკინის კიბით მე-4 სართულზე. თუ მამაჩემი აიტანდა კასრს – ძმები თავისუფლდებოდ-

ნენ ბინის გადასახადისგან ერთი თვით.

მამაჩემისთვის დაუდგიათ ბეჭებზე ხსენებული კასრი და მასაც დიდი ძალისხმევის წყალობით მოუგია სანაძლეო. (სტუდენტობის წლებში მოვძებნე ის ბინაც და ის კიბეც... მომეჩვენა, რომ მამაჩემმა შესძლო შეუძლებელი).

ერთი ლირიული გადახვევაც.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მამაჩემმა შრომითი ბიოგრაფია დაიწყო-მეთქი ქ. გორში, სატყეო მეურნეობაში. მეც იგივე ბედი მარგუნა ღმერთმა – ოცდაათი წლის შემდეგ მეც გორში დავიწყე მუშაობა კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში, დავრჩი გორში; დღემდე ვტკბები შიდა ქართლის მიწისა და სივრცის სურნელით.

სწორედ ქ. გორში მამაჩემმა თავისი მომავალი დაუკავშირა მარიამ ჯავრიშვილს, რომელთანაც შეეძინა ვაჟი. დაარქვეს ნიკო (ნიკოლოზი, პაპის სახელი). (მეც, მამაჩემივით გორში შევქმენი ოჯახი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩემი მეუღლე იყო თბილისელი).

მარიამ ჯავრიშვილი

ნიკოლოზ რევაზის ძე ჭანკოტაძე

სამწუხაროდ, არ გაუმართლათ რევაზს და მარიამს, ვერ შეეგუვნენ და ვერ გაუგეს ერთმანეთს და დაინგრა ახლადშექმნილი ოჯახი. მარიამი გადავიდა საცხოვრებლად თბილისში, ნიკოსთან ერთად, ხოლო მამაჩემი რევაზი სამუშაოდ წავიდა ქ. თელავში.

1932 წელს რევაზ ჭანკოტაძემ მეორედ სცადა ოჯახის შექმნა. ამჯერად მისი გული მოინადირა თელავში (და შემდეგ უკვე გურჯაანში) სილამაზით განთქმულმა თამარ გოცირიძემ (თავისი მშობლების 27-ე შვილმა). ნათესავებმა და ახლობლებმა იზეიმეს ახალი ოჯახის შექმნა და უსურვეს ჯანმრთელობა და ბედნიერება.

მამაჩემი თელავის სატყეო მეურნეობის დაწესებულებაში ჯერ მეტყევე-ინჟინრად მუშაობდა, ხოლო სულ მალე დააწინაურეს და დანიშნეს დირექტორად. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ორგანიზაციას.

გამოირჩეოდა განათლების მაღალი დონით, პასუხისმგებლობით, პატიოსნებით და ერთგულებით. საინტერესოა ის, რომ მას თვალებახვეულს, ყნოსვით (ნაფოტის ან მონაჭერის) შეეძლო ამოეცნო საქართველოში გავრცელებული ხის ჯიშები.

თამარ დავითის ასული გოცირიძე

ორიოდე სიტყვა დედაჩემის მშობლების შესახებ. ნათესავების გადმოცემით და ჟურნალ „საპატრიარქოს უწყებანის“ (2007 წ. №38) ცნობით, პაპაჩემს (დავით გოცირიძეს, დეკანოზს) და ბებიაჩემს (მარიამ დათიაშვილს, დიასახლისს) ჰყოლიათ 27 შვილი, რომლებიც XX საუკუნის 20-30 წლებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გაფანტულან ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში (ვ. ჭანკოტაძე. „27 შვილის მამა“. 2016 წ. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“).

ქ. თელავში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დედაჩემის ძმა შალვა გოცორიძე (მეუღლე შუშანიკი), ხოლო თბილისში დედაჩემის და ალექსანდრა (შურა) გოცირიძე (მშობლების 26-ე შვილი).

დავით სიმონის ძე გოცირიძე (1864-1938)

მარიამ სოლომონის ასული დათიაშვილი (1872-1940)

შალვა დავითის ძე

შუშანიკი

სხვათაშორის, მას შემდეგ, რაც ბიძაჩემი შალვა გოცირიძე დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომიდან – დავიწყეთ დედაჩემის და-ძმების ძებნა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ. აღმოვაჩინეთ 27 შვილიდან პირველი შვილის ვალერიანის შვილები – ალექსანდრე (ქ. მოსკოვი), დავითი (ქ. იამპოლი) და გიორგი (ქ. გორკი).

ისინი, ოჯახების სრული შემადგენლობით, მოვიწვიეთ ქ. თელავში და ვიზეიმეთ ერთმანეთის პოვნა („27 შვილის მამა“. გამომცემლობა „უნივერსალი“).

მამაჩემის უფროსი ძმა, გიორგი (მეუღლე ო. ზარიძე) საცხოვრებლად დამკვიდრდა ყვარელის რაიონის სოფ. შილდაში და საკმაოდ პოპულარულ იურისტად იყო ცნობილი იმდროინდელ კახეთში. მისი მეოთხე-მეხუთე თაობის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ მამაპაპისეულ ისტორიულ სოფელში და ამაყად აგრძელებენ ოჯახურ ტრადიციებს.

გაიოზი

ქეთინო

გიორგის შვილები, ჩემი ბიძაშვილები – გაიოზი (ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი მრავალი წლის განმავლობაში) და ქეთინო (პროფესიით მეტყევე-ინჟინერი. გათხოვდა და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. ყვარელში. მისი მეუღლე მიხეილ (მიშა) ბიბილაშვილი; შვილები ზურიკო და მანანა).

დეიდაჩემი ალექსანდრა (შურა) გოცირიძე (მშობლების 26-ე შვილი) ცხოვრობდა თბილისში. სამწუხაროდ, მისი ვაჟიშვილი ოთარი შეეწირა მეორე მსოფლიო ომის ბატალიებს; ქალიშვილი ნათელა სანიკიძე (მეცნიერებათა დოქტორი) ამჟამად პენსიონერია და ცხოვრობს თბილისში.

რაც შეეხება მამაჩემის ძმას და კოლეგას ძია ვახტანგს და მის მეუღლეს ევდოკია მჭედლიშვილს, შვილები არ ჰყოლიათ (სტუდენტობის დროს თელავიდან ჩამოსულმა ვიცხოვრე მათთან ერთი წელი).

და აი, დადგა ჟამი ჩემი მოვლინებისა ადამიანთა საცხოვრისში.

როგორც მოზრდილობის წლებში გავიგე, 1933 წლის 4 აპრილის საღამო ხანს, ქ. თელავში ჭანკოტაძე რეზოს და თამარ გოცორიძის ოჯახში სასიამოვნო შეძახილები ისმოდა და ხალხმრავლობა

შეინიშნებოდაო. 4-5 დღის განმავლობაში სუფრა იყო გაშლილი და ვაჟიანობას ზეიმობდნენ ოჯახის ნათესავები, მეზობლები, კოლეგები და მეგობრებიო. იმასაც მიყვებოდნენ, რომ საზეიმო დღეებში სუფრის უცვლელი თამადა იყო დავით ბოგველაძეო (მამაჩემის მეგობარი და კოლეგა).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მამაჩემს ჩაფიქრებული ჰქონია, რომ შვილებისთვის სახელებად დაერქვა მშობლებისა და ძმების სახელები. ასეც მოქცეულა – მე დამარქვა ძმის (ვახტანგი) სახელი, ხოლო ჩემს უფროს ძმას (პირველი მეუღლისთან) მამის (ნიკო) სახელი. წინწასწრებით ვიტყვი, რომ შემდეგ შვილს დაარქვა დედის (დარიკო, დარეჯანი) სახელი, ხოლო ჩემს უმცროს ძმას – გივი, ალბათ, იგივე გიორგი (უფროსი ძმის სახელი).

ამ სურათების მნახველებმა, მოგვიანებით (14-15 წლის ასაკში) მეტსახელად შემირჩიეს „ტიკჭორა“ (იხილეთ წიგნი „ნოსტალგია“. დარეჯან და ვახტანგ ჭანკოტაძეები. გვ. 35-44. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ. 2010 წ.).

ხუთი წლის შემდეგ (1938 წლის 30 ოქტომბერს) რევაზ ჭანკოტაძისა და თამარ გოცირიძის ოჯახს კვლავ ეწვია ახალი სიხარულისა და ზეიმის დღეები. ოჯახში გაჩნდა გოგონა (ჩემი და), რომელსაც სახელად დაარქვეს მამაჩემის დედის (ჩემი ბებიის) სახელი – დარეჯანი (იგივე დარიკო).

ვახტანგ ჭანკოტაძე,
ანუ მე დაახლოებით 8-9 თვის.

ვახტანგ ჭანკოტაძე,
ანუ მე დაახლოებით სამი წლის.

დარეჯან ჭანკოტაძე

ჩემი და დარეჯანი გახლავთ ლიტერატურათმცდონე, თელავის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი ლექსის, პიესის, სცენარისა და ნარკვევის ავტორი. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თელავის ისტორიული პირველი სკოლის დირექტორად. მისი სცენარების მიხედვით დადგმულია სპექტაკლები და გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმები. მის რამდენიმე ლექსზე დაწერილია სასიმღერო მუსიკა.

დარეჯანი გახლავთ მხატვრულ-შემოქმედებითი კონკურსების მრავალგზის ლაურეატი.

ამჟამად იგი პენსიონერია და ცხოვრობს უმცროს ძმასთან, გივი ჭანკოტაძის ოჯახთან ერთად სოფელ შალაურში.

სულ პატარა იყო დარეჯანი, როცა მამაჩემი სამუშაოდ გადაიყვანეს ქ. გურჯაანში სატყეო მეურნეობის დირექტორად (ოჯახით ვცხოვრობდით ე.წ კანტორის მეორე სართულზე. ზემო გურჯაანში, ახლადაშენებული აგურის სამსართულიანი საშუალო სკოლის ახლოს). მეზობლად ცხოვრობდა მამაჩემის მოადგილე, ვალოდია გურგენიძე (შვიდი ქალიშვილის მამა. მოგვიანებით გავიგე, რომ ოჯახს შეეძინა მერვე შვილი, ამჟამად ვაჟი, რომელსაც დაარქვეს დავითი. ვალოდია გურგენიძის ერთ-ერთი ქალიშვილი, კერძოდ, ნელი გურგენიძე მომავალში გახდა წარმატებული კომკავშირული და პარტიული მუშაკი დედაქალაქის მასშტაბით).

ქ. გურჯაანში დაიწყო ჩემი ხანგრძლივი სწავლა-განათლების პროცესი.

კარგად მახსოვს, როგორ წამიყვანა დედაჩემმა სკოლაში და ჩემი თავი ჩააბარა ჩემს პირველ მასწავლებელს თამარ ჯავშანაშვილს.

ერთი შეხედვით ყველაფერი მიდიოდა კარგად. მამაჩემი მუშაობდა გაათმაგებული ენერგიით, მე დავდიოდი სკოლაში, ტიკტიკებდა და იზრდებოდა დარეჯანი და ა.შ.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა – დედაჩემი, თამარ გოცირიძე დაავადდა იმდროისთვის თითქმის მოურჩენადი სენით, რასაც ტუბერკულოზი ჰქვია. მაშინ საქართველოში არ იყო მასიურ გამოყენებაში ანტიბიოტიკები (თუმცა, ევროპაში უკვე მასიურად გამოიყენებოდა პენიცილინი, სტრეპტომიცინი და სხვა).

რევაზ ჭანკოტაძის ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება. 1940 წლის შემოდგომის თბილ დღეებში თამარ გოცირიძე მიაბარეს გურჯაანის მიწას.

დავვობლდით მე და ჩემი ორი წლის და დარეჯანი. ჩვენი ნათესავების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბავშვებს არ მოგვკლებია ყურადღება და მზრუნველობა. მამაჩემს ბავშვების მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა სატყეო მეურნეობის კანტორის მეეტლე არშაკ რაშოიანიც, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, რომ ბავშვებს არ მოგვკლებოდა საკვები და გასეირნება (ეტლით), გართობა. დარეჯანი მაშინ იყო ორი წლის, მე კი შვიდის.

დაიწყო ობლობის მძიმე წლები – მოგეხსენებათ დედაზე უკეთესად ვერავინ მოუვლის და აღზრდის შვილებს.

არ მომწყინდება იმის გამეორება, რომ ჩვენმა ნათესავებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მე და ჩემი დის აღზრდა-განათლების საქმეს, თუმცა ისინი ხშირად შორს იყვნენ და მაშინდელი კომუნიკაციების პირობებში ძნელი იყო სისტემატური მზრუნველობის უზრუნველყოფა.

დარეჯანი, რაშოიანცი და მე

ჩემი და ჩემი დის აღზრდაში დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მამაჩემისა და დედაჩემის მეგობრებს და მათ ოჯახებს, ასევე მეზობლებსა და კოლეგა-მოსამსახურეებს. სანამ მათ შესახებ უფრო მეტს მოგახსენებდეთ, მსურს გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა გონება-მეხსიერებაში.

დედაჩემი, როგორც იტყვიან ხოლმე – ლოგინად იყო ჩავარდნილი. იშვიათად დგებოდა, ისიც მომვლელი ქალბატონის დახმარებით. მამაჩემი დილით ადრე ცხენით წავიდა ლაგოდეხში, რათა დედაჩემისთვის ჩამოეტანა ხალხური მედიცინის მეთოდებით მცენარეებისაგან დამზადებული რაღაც სამკურნალო წამლები.

მე სკოლიდან მოვედი, საჭმელი ვჭამე და კანტორის მწვანედ მობიბინე ეზოში ჩავედი სათამაშოდ და გასართობად.

ვხედავ მეზობლის ნაცნობი, ჩემი ასაკის ბავშვი შემოვიდა ეზოში და თავხედურად, ყოველგვარი მორიდების გარეშე დაიწყო ტოტების მტვრევა და ყვავილების გლეჯვა.

აღვშფოთდი და დავეტაკე. ვიჩხუბეთ, როგორც ამბობენ ხოლმე, ბავშვურად. ყვავილები დავაყრევინე და გავაგდე. წავიდა სლუკუნითა და ბურტყუნით, მომეშვა გულზე, რომ ეზოს საკუთრება დავიცავი. არ გასულა 10-15 წუთი, რომ ეზოს ჭიშკარი წუხლით შემოადეს მისმა უფროსმა ორმა ძმამ და მუშტებმოღერებულები წამოვიდნენ ჩემსკენ. „ისიც“ ჯოხით ხელში მოჰყვებოდა უკან.

შემეშინდა და გაქცევას ვაპირებდი, როცა პატარა აივნიდან მომესმა დედაჩემის მისუსტებული ხმით წარმოთქმული შეძახილი – „...ვახო, უკან არ დაიხიო“.

არ დავიხიე, ვიჩხუბეთ, მცემეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ არც მე დავაკელი...

„...ვახო, უკან არ დაიხიო...“ ეს იყო ჩემთვის დედის უკანასკნელი სიტყვები. მისი ხმა აღარ გამიგია. იმ ღამით გარდაიცვალა. მამაჩემი დილით ჩამოვიდა და წამალი ჩამოიტანა. მე კი ორივე ჩალურჯებული თვალიდან ცრემლები ნიაღვარივით მომდიოდა. დარეჯანს კი ჯერაც კარგად ვერ წარმოედგინა, თუ რა უბედურება დაგვატყდა თავს. იგი სულ ორი წლის იყო.

სულ მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ცხოვრება უფრო დამძიმდა, მოიმატა წუხილმა და ნაღველმა, გაგვიმწარდა ბავშვობა.

1943 წელს მამაჩემი ისევ დააბრუნეს სამუშაოდ ქ. თელავში და ისევ სატყეო მეურნეობის უწყების დირექტორად. ფრონტზე საბრძოლველად არ გაიწვიეს, რადგან ფეხის ტერფი ჰქონდა დეფორმირებული (ბავშვობაში ფეხზე გადაუვლია ყურძნით სავსე ურემს); სამაგიეროდ, დღედაღამ ტყეში იყო და ხელმძღვანელობდა ფრონტისთვის შეშის დამზადების საქმეს (ორთქმავლების დიდი ნაწილი მუშაობდა შეშით და ქვანახშირით). ჩემზე და ჩემს დაზე მზრუნველობა თავის თავზე აიღო ბიცოლა შუშიკამ (შალვა გოცორიძის მეუღლემ), რომელსაც თავად ჰყავდა გასაზრდელი და მოსავლელი ორი ქალიშვილი (დოდო და დალი). ბიძაჩემი კი ომში იყო წასული.

1941-1945 წლებში ჩვენს ოჯახს (როგორც გურჯაანში, ისე თელავში) ხშირად სტუმრობდნენ მეზობლები, მეგობრები, თანამოაზრენი, თუ თანამესუფრენი. ჩემი ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა იმაში, რომ სუფრისთვის არ მომეკლო მწვადი და ღვინო (დაოსტატებული ვიყავი ამ საქმეში). სუფრასთან ჩამოჯდომის უფლება არ მქონდა (ეს უფლება „მოვიპოვე“ 14 წლის ასაკში). ვიჯექი ოთახის კუთხეში და ვისმენდი ჩემთვის უცნობ ეპიზოდებს, მონაცემებს ფრონტზე მიმდინარე ოპერაციების შესახებ, ადამიანების გმირული მოქმედებების ფაქტებს, ერთგულების, მეგობრობის, რაინდობის, სწავლა-განათლების აუცილებლობის შესახებ არსებულ მოსაზრებებს

და უამრავ სხვა რამეს. შთამბეჭდავი იყო მათი სადღეგრძელოების შინაარსიც და წარმოთქმის ფორმაც (ტყუილად არ უთქვამთ – „ქართული სუფრა აკადემიაო“ და ეს „აკადემია“ მე დავამთავრე საშუალო სკოლის დამთავრებასთან ერთად).

სიდონია ბოჭორიძე

იდგა 1945 წლის ცხრა მაისი. დილით ადრე სიხარულის ხმამაღალი შეძახილებით გაიუღინთა გარემო-სივრცე. დადგა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე. ხალხი გამოვიდა ქუჩებში და იდგა დიდი ზეიმის ჟამი. დიდ-პატარა ზეიმობდა სასტიკი და სისხლისმღვრელი ომის დამთავრებას, ომისა, რომელსაც შეეწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, მიწასთან გასწორდა ათასობით ქალაქი, დაობლდა უამრავი ბავშვი, განადგურდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლების სისტემა, კულტურის სფერო და ა.შ.

რამდენიმე დღის განმავლობაში, მოკრძალებულ კახურ სუფრასთან ისმოდა დაღუპულთა ხსოვნისა და ცოცხალი გმირების დიდებისა და მრავალჟამიერის სადღეგრძელო.

ჩვენს ღარიბულ ოჯახშიც იყო გაშლილი სუფრა.

ერთ მშვენიერ დღეს მეგობრებმა მამაჩემს შეახსენეს და კატეგორიულად მოსთხოვეს პირობის (მიცემული სიტყვის) შესრულება. თურმე მამაჩემს გადაწყვეტილი ჰქონია, კიდევ ერთხელ შეექმნა ოჯახი (საამისოდ მას და მის მეგობრებს შეთვალიერებულიც ჰყოლიათ სასურველი კანდიდატურა), ოღონდ მას შემდეგ, როცა დამთავრდებოდა ომი. ასეც მოხდა... მამაჩემმა სიტყვა შეასრულა და მე და ჩემს დას მოგვივლინა ოჯახის დიასახლისი სიდონია ბოჭორიძე, რომელმაც მალე მოინადირა ჩვენი გული თბილი ხასიათით, თავმდაბლობით, ოჯახისადმი ერთგულებით და ნათესავ-მეზობლების სიყვარულით.

გივი ჭანკოტაძე

გავიხარეთ მე და ჩემმა დამ. შეგვემატა ძმა – გივი. მომავალი საიმედოდ ჩაიხატა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ხანმოკლედ. 1953 წელს ავტოსაგზაო

შემთხვევამ იმსხვერპლა მამაჩვენი. ამჯერად 7 წლის ასაკში დაობლდა უმცროსი ძმა გივი, რომელიც დღეს ცხოვრობს სოფელ შალაურში.

ახლა კი მინდა გავაგრძელო, უფრო სწორად – დავამატო რამდენიმე ტაეპი ეპიგრაფად გამოყენებულ ამონარიდს ჩემი ლექსიდან „მინიავტობიოგრაფიის მინინაწილი“ (წიგნი „ბოლო ვაგონის ლექსები“. გვ. 44. 2008 წ. თბ. გამომცემლობა „პირველი სტამბა“. თბილისი, ჩუბინაშვილის 50).

„...ღმერთო მაღალო, მომეცი ძალა,
ნუ მაბოგინებ კენტად და ცალად,
თუ კი ვვარგივარ სულით და თვალად,
ნურას გამატან იმქვეყნად ვალად...“

დადგა ჟამი ვალის გადახდის, რაც მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი და უღრმესი მადლობით იმ ადამიანების მიმართ, ვინც (როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე) გაალამაზეს, საინტერესო და შინაარსიანი გახადეს ჩემი და ჩემი და-ძმის ცხოვრება, ვინც თუნდაც ერთი თბილი სიტყვით შეგვემატეს ძალა და გაგვიხანგრძლივეს სიცოცხლე.

მამაჩემის (მარცხნ. პირველი) მეგობრები - ირაკლი ესიტაშვილი („მარჯვენა“), ალექსი ყარალაშვილი („ბულბულა“) და შალვა ციციშვილი („კურკა“)

ირაკლი ესიტაშვილი (მეტსახელად „მარჯვენა“)

მამაჩემის თელაველი მეგობარი, მისი კოლეგა და თანამოსუფრე, ამაყობდა იმით, რომ ცხოვრობდა ერეკლე მეფის ციხე-ქალაქის გრანდიოზული გალავნის სიახლოვეს და რომ ყოველ დილით, გაღვიძებისას, პირველად სწორედ ამ ისტორიულ ძეგლს უყურებდა.

ერთხელ, ჩვენს ეზოში, მეგობრული სუფრის მომსახურებისას (გახლდით მემწვადე და ღვინის მიმტანი 12-13 წლის ასაკში) დავინტერესდი და ვიკითხე, თუ რატომ ჰქონდა მარჯვენა ხელის ცერა თითი უფრო მეტად დაშორებული დანარჩენი ოთხი თითისაგან, ვიდრე მარცხენა ხელზე.

მამაჩემმა ახლოს მიმიხმო და რაღაცნაირი ეშმაკური ღიმილით ამიხსნა (რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს ის, რაც მოვისმინე – არ ვიცი) – შვილო, ძია ირაკლი შვიდი თუ რვა წელი, ცხენზე ამხედრებული იქნევდა ხმალს სხვადასხვა ომებში და ამან განაპირობა ხელის მარჯვენა მტევნის დამახინჯებაო.

სუფრის წევრებმა მრავალმნიშვნელი მზერით გადახედეს ერთმანეთს და ახალი სადღეგრძელო წამოიწყეს.

მე კი ჩაშტერებული დავცქეროდი ძია ირაკლის მარჯვენა მტევანს. მან კალთაში ჩამისვა და დამრიგებლური ტონით მითხრა – „...შენ ხმლის ქნევა არ მოგიწევს, შენ დროს სხვა იარაღი იქნება გადამწყვეტი; მამაშენისგან ვიცი, რომ მათემატიკას ძალიან კარგად სწავლობ. ჰოდა, გახსოვდეს, რომ არტილერია დამყარებულია მათემატიკურ გათვლებზე; კარგად ისწავლე მათემატიკა და კარგად აითვისებ არტილერიას...“

ვისწავლე, ავითვისე და 1956 წელს მოსკოვიდან გამოგზავნილ კომისიას, ვაზიანის სასროლეთზე პირველმა მე ჩავაბარე გამოცდა არტილერიაში და დავიმსახურე „ხუთიანი“ და არტილერიის უმცროსი ლეიტენანტის წოდება.

პირველი, ვინც მომილოცა წარმატება, გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგე პოლკოვნიკი ვ. ცირეკიძე.

მადლობა ი. ესიტაშვილს, მადლობა ვ. ცირეკიძეს. ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ყარალაშვილი ალექსი (მეტსახელად „ბულბულა“)

მამაჩემის თანამესაქმე და თანამესუფრე. ძალიან უყვარდა ე.წ. ქალაქური მელოდიები და სიმღერები. ჰქონდა სასიამოვნოდ ჟღერადი ტენორი. უკრავდა დაირას და თავისი სიმღერებით დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მსმენელებს. განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა

„...ღვინოს ვსვამ, დუდუკს ვამღერებ, ქალებს კი ვენაცვალები...“.

შეიძლება ითქვას, რომ პირველად მასთან ერთად ვიმღერე „დუეტში“. გზადაგზა მასწავლიდა ხმის აწევ-დაწევას, სიმღერაში შესვლის მომენტს და ა.შ. შეიძლება ამან განაპირობა ის, რომ მოგვიანებით, დაახლოებით 13-14 წლის ასაკში, ჩავირიცხე თელავის სიმღერის საბავშვო ანსამბლში, სადაც ვასრულებდი რამდენიმე სოლოპარტიას. ანსამბლს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი ფირუზ მახათელაშვილი.

ციციშვილი შალვა („კურკა“)

როცა მამაჩემი მუშაობდა ქ. გურჯაანის სატყეო მეურნეობის უწყების დირექტორად და ვცხოვრობდით ოჯახით იქვე – ძია შალვა ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დედაჩემი, თამარ გოცორიძე.

მამაჩემს ძალიან უყვარდა ვერცხლისწყალივით მოძრავი, მუდამ მხიარულ ხასიათზე მყოფი და თვითმყოფადი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული პიროვნება. ძია შალვა ძალიან განიცდიდა ჩემი და ჩემი დის დარეჯანის დაობლებას და ყველანაირად ცდილობდა მამაჩემისთვის შეემსუბუქებინა ყოფის სიმძიმე. ისე არ მოვიდოდა ჩვენთან, რომ რაიმე მცირე საჩუქარი მაინც არ მოეტანა ჩვენთვის.

აუცილებლად წაგვიკითხავდა ხოლმე საბავშვო ლექსებს და მოგვიყვებოდა რომელიმე ქართულ ხალხურ ზღაპარს.

ქაჩლიშვილი ელენე (ელიკო)

გარეგნული თუ შინაგანი იერ-ნიშან-თვისებებით და მისაბაძი დიასახლისობით გამორჩეული ქალბატონი ელენე ქაჩლიშვილი (ჩუბიანიშვილისა) საკმაოდ პოპულარული ქალბატონი გახლდათ მე-20 საუკუნის 40-70-იანი წლების ქ. თელავში. მის მეობას მხარში ედგა და აძლიერებდა ყველასათვის საყვარელი და ყველასათვის მისაღები მისი მეუღლე სანდრო ჩხუბიანიშვილი.

დიდი მადლობა ჩხუბიანიშვილების ოჯახს და პირადად ქალბატონ ელენეს, რომელიც სითბოსა და ალერსს არ გვაკლებდა ობლად დარჩენილ და-ძმას (დარეჯანს და მე) და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ არ გვეგრძნო უდედობა. როგორც იტყვიან ხოლმე – „თავისი შვილები-

სგან არ გვარჩევდა“; შვილები კი მართლაც საამაყონი გაზარდა: ცისია – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი, თელავის საპატიო მოქალაქე და ა.შ. და მათიკო – ექიმი სტომატოლოგი.

დიდი მადლობა ქალბატონებო ცისია და მათიკო, რომ მოფერებასა და მხარში დგომას დღესაც არ აკლებთ ჩემს დაიკო დარეჯანს.

ნათელში იყოს დეიდა ელენეს სული.

ძმები ჩხუბიანიშვილები
გიორგი და სანდრო

გიორგი ჩხუბიანიშვილი გახლდათ საქართველოს სამეცნიერო წრეების ერთ-ერთი წარმატებული წარმომადგენელი. ნაკითხი კაციაო, იტყოდნენ ხოლმე მასზე, რამეთუ ერთთავად წიგნებს ჩაჰკირკიტებდა და მერე უხვად უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებას ყველას, ვისაც კი რაიმე აინტერესებდა.

საოცრად თბილი მოფერება იცოდა, რაც ძალიან მოგვწონდა პატარებს. ძია გიორგი გახლდათ ჩვენი ოჯახის ჭეშმარიტი მეგობარი და მამაჩემის თანამოაზრე.



სანდრო ჩხუბიანიშვილი იყო ქალაქ თელავის ერთ-ერთი კოლორიტი პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ერეკლე მეფის ქალაქში.

საოცრად ენერგიული და გონებამახვილი კაცი გახლდათ. ბატონ სანდროს თავისი საპატიო ადგილი ეკავა ე.წ. თელაველ მასპინძელთა შორის.

სანდრო ჩხუბიანიშვილი გახლდათ სოფლის მეურნეობის მაღალი კლასის პროფესიონალი (მცენარეთა დაცვა). უყვარდა ტრადიციულ ქართულ სუფრასთან მოლხენა. ბატონმა სანდრომ და მისმა მშვენიერმა მეუღლემ (ელენე ქაჩლიშვილი) სითბო და მზრუნველობა

არ მოგვაკლეს მე და ჩემს დას დარეჯანს და რომ იტყვიან – არ გვარჩევდნენ საკუთარი შვილებისგან – ცისიასგან (მეცნიერებათა დოქტორი) და მათიკოსაგან (ექიმი-სტომატოლოგი).

ბოგველაძე დავითი

მეტყველე-ინჟინერი, მამაჩემის მეგობარი და კოლეგა. ქ. თელავში ჩვენი საცხოვრებელი სახლები დაახლოებით 120-140 მეტრით იყო დაშორებული ერთმანეთისგან.

უკვე მოზრდილს მიყვებოდნენ, რომ შენი დაბადების საზეიმო სუფრას ოთხი თუ ხუთი დღის განმავლობაში უცვლელად თამადობდაო და ყველას აიძულებდა შენი სადღეგრძელო ყანწით დაელიაო.

დავით ბოგველაძე აღმერთებდა მეზობლებს და მეზობლობას. ულვაშებზე თითებს აათამაშებდა და დადინჯებული ხმით მმოძღვრავდა – ვახტანგ, გახსოვდეს, რომ მეზობელი შენი უპირველესი მეგობარი უნდა იყოს და არის კიდეც, რამეთუ გაჭირვების ჟამს პირველია, ვინც მხარში ამოგიდგებაო. კარგად დაიმახსოვრე ქართული ანდაზა, გამოგადგება ცხოვრებაში – „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“.

ბიჩინაშვილი ვანო

საოცარი ცეკვა იცოდა მამაჩემის ერთ-ერთმა ახლო მეგობარმა და კოლეგამ (მეტყველე-ინჟინერი) ვანო ბიჩინაშვილმა, რომელსაც მუდამ უღიმოდა სახე და ზედა ყბის მარცხენა მხარეს უბრწყინავდა ე.წ ოქროს კბილი. მთელი თელავი მისი ცეკვის მანერაზე ლაპარაკობდა.

ხშირად მოდიოდა ჩვენთან სახლში და ყოველთვის რაღაც საჩუქრით ჩემთვის და ჩემი დისთვის, დარეჯანისთვის (ხან რამდენიმე ქლიავი, ხან მოხარშული სიმინდის ტარო, ხან კამფეტი, თუმცა იშვიათად, ხან ერთი კიტრი ან

პომიდორი და სხვა. ყველაზე ხშირად და ყველაზე უფრო მეტი მოჰქონდა ხოლმე თხილი და კაკალი, თურმე ბევრი ედგათ მასაც და მეზობლებსაც).

ერთხელ ძია ვანომ – მითხრა – თქვენთან რომ მოვდიოდი, შევამჩნიე, უბანში ბიჭები „კაკლაობას“ თამაშობდნენ, შენ თუ თამაშობო... არა-მეთქი; ჯერ ერთი სადა მაქვს სათამაშო კაკალი და მეორეც, თამაში არ ვიცი-მეთქი.

თავზე ხელი გადამისვა და მითხრა – კაკალსაც მოგიტან და თამაშსაც გასწავლი; თუ ნიჭი აღმოგაჩნდება, საახალწლოდ ყოველთვის გექნება კაკალიც და ნიგოზიცო.

მომიტანა, მასწავლა, ვისწავლე და სულ მალე გავხდი უბნის ე.წ. ჩემპიონი. მას შემდეგ, სანამ სკოლას დავამთავრებდით, ოჯახში ყოველთვის იყო, საკმარისზე მეტი, საახალწლო კაკალიც და ნიგოზიც.

ახლაც, სადაც ვცხოვრობ (გორი, სტალინის 24), მოასფალტებულ ეზოში დგას კაკლის რამდენიმე ხე.

მოახლოვდება თუ არა მათი ჩამოცვენის დრო, ეზოში არის ხოლმე ჭახა-ჭუხი – ერთი იმის გამო, რომ ორმოცამდე ღია ცის ქვეშ მდგომი მანქანის სახურავზე ეხეთქებიან და მეორე კიდევ იმის გამო, რომ მანქანებით ჭყლეტავენ და სიამოვნებთ. ერთი კაცი არ მინახია, გაჩერდეს, გადმოვიდეს და აკრიფოს სულ რამდენიმე ცალი მაინც ის, რაც ღმერთმა უბოძა.

მე კი (კაკალზე ბავშვობიდან შეყვარებული კაცი) თითქმის ყოველ დილაადრიან ვკრეფ ჩამოცვენილ კაკალს, ვაგროვებ და საახალწლოდ ვურიგებ მეზობლებს, ძირითადად ე.წ. ხეების „მეპატრონეებს“ და ჩემთვისაც ვიტოვებ საკმარის რაოდენობას.

დიდი მადლობა ძია ვანოს, რომ ასე ძლიერ შემაყვარა კაკალი.

დოროხოვი ალექსანდრე (საშა)

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულმა მეკარემ ალექსანდრე (შურა) დოროხოვმა, ასაკის გამო თავი დაანება ფეხბურთის თამაშს, ხელისუფლებამ იგი დიდად დააფასა და რომ ჰქონოდა შრომის მაღალი ანაზღაურება, ადგილი მიუჩინა ფართო საწვრთნელ ასპარეზზე და გააგზავნა ქ. თელავში, სადაც ავარჯიშებდა რაიონში და ქალაქში მოქმედ ყველა საფეხბურთო კოლექტივს, დაწყებული საკოლმეურნეო გუნდებიდან და სპორტსკოლის სამი ასაკობრივი ნაკრებიდან, თვით თელავის „დინამოს“ ჩათვლით, რომელშიც მეკარეობდა ცნობილი ტელეწამყვანისა და მსახიობის, დუტა სხირტლაძის პაპა, შემდეგში თელავის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი დოდიკ სხირტლაძე.

დოროხოვი მალე გაუშინაურდა თელაველებს თავისი წრფელი და თბილი შინაგანი ბუნების წყალობით. მრავალ მოზარდს შეაყვარა ფეხბურთი (ზოგადად) და მეკარის პროფესია. მეკარის აუცილებელ ნიშან-თვისებებზე და ჩვევებზე შეეძლო უსასრულოდ ესაუბრა. თელაველებმა ძალიან შეიყვარეს ბუნებით თავმდაბალი, უბრალო და უმაღლესი დონის პროფესიონალი.

ტრიბუნების მე-10-12 რიგში ჯდებოდა და იქიდან უწევდა კორექტირებას ერთდროულად მოვარჯიშე რამდენიმე გუნდის წვრთნას, თავისი „ასისტენტების“ საშუალებით, რომლებიც შიკრიკებივით მირბოდნენ და მორბოდნენ ტრიბუნებსა და მოედანს შორის ცნობილი მეკარის მითითებების შესასრულებლად (ამბობდნენ – შიკრიკსა და შიკრიკს შორის დროში, სკამის ქვეშ დამალულ ბოთლს გამოიღებდა და ერთ-ორ ყლუპ არაყს მიირთმევდა ხოლმე). არ ვიცი, მე ასეთი რამ არ შემინიშნავს. ის კი კარგად მახსოვს, რომ ჩემით უკმაყოფილო, ტრიბუნიდან, გაბრაზებული ტონით გამომძახებდა ხოლმე: „... „ტიკჭორ“ (ასეთი მეტსახელი მქონდა სიჭაბუკეში. უფრო დეტალურად მოთხრობაში „ტიკჭორა“, დარეჯან ჭანკოტაძე, „ნოსტალგია“, გვ. 35. 2010 წ.), გეყოფა „მატაობა“, დროზე გადაეცი ბურთი, ნუ მატაობ ზომაზე მეტს და ა.შ. ვარჯიშის შემდეგ ცალკე გამიყვანდა ხოლმე და დიდხანს მიხსნიდა და მასწავლიდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. „პასის“ დროულობას, რომ წამები წყვეტენ წარმატების საქმეს.

ყველაზე მეტად კი დროს უთმობდა ჩემს მიერ პენალტის დარტყმის ტექნიკას. მასწავლიდა გაუთავებლად და დეტალურად: რა მანძილიდან უნდა გამოვქანებულიყავი, რა სიჩქარით, გზაში როგორ უნდა შემეცვალა ნაბიჯების სიხშირე, რამდენჯერ და საით უნდა გამეხედა, რომ მეკარე შეცდომაში შემეყვანა, რა დამატებითი მოძრაობები უნდა გამეკეთებინა, რომ მეკარე მომეტყუებინა და ა.შ.

გამომადგა დოროხოვის „გაკვეთილები“?! რაღათქმა უნდა გამომადგა. პროფესიონალ გუნდებში არ მითამაშია, მაგრამ დაწესებულებების, სასწავლებლების, თუ პირველადი სპორტული ასპარეზობების უამრავი შეხვედრის დროს არ მახსოვს, რომ პენალტი გამეფუჭებინოს... დიახ, წარმატებულ „პენალტისტად“ ვითვლებოდი „დო პარი, დო ვრემენი“.

უყვარდა ჩემს „მოკლევადიან“ მწვრთნელს ეს სიტყვები.

მაისურაძე ვანო

ვანო მაისურაძე (უკანა პლანზე).

ქ. თელავის ვაჟთა II საშუალო სკოლის დირექტორი (1947-1955 წ.წ.), ისტორიკოსი.

ტანად მაღალი, დინჯად მოსაუბრე, დაკვირვებული მზერით და მოზომილი ნაბიჯებით მოსიარულე.

სიარული კი მართლაც რომ საარაკო იცოდა – ისედაც მაღალი ტანის პატრონს, თავი მაღლა ჰქონდა აწეული და, რომ იტყვიან – გაჭიმული დადიოდა ქუჩებში, სკოლის დერეფნებში, თუ საკლასო ოთახებში. კახელებმაც არ დააყოვნეს და მეტსახელად შეურჩიეს „ჭიმია“.

ვანო მაისურაძის საყვარელი სიტყვები იყო – „არ მიმაჩნია სრულყოფილად ის, ვინც არ იცის თავისი ქვეყნის ისტორია“-ო.

თვეში ერთხელ მაინც წაგვიყვანდა ხოლმე მთელ კლასს ექსკურსიაზე კახეთის რომელიმე ისტორიული ადგილის (კახეთში „ასეთებს“ რა გამოლევს? ნურც გამოლეულიყოს!) მოსანახულებლად და გვიყვებოდა და გვიყვებოდა ერთიმეორეზე საინტერესო ამბებს, რომლებიც არ იყო ფართოდ წარმოჩენილი სახელმძღვანელოებში.

ვანო მაისურაძე ცნობილი იყო თელავში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო თამადა. მან პირველმა გადამკოცნა, როცა თბილისიდან ჩამოსულმა კომისიის წევრებმა ოქროს მედალი ჩამომკიდეს კისერზე (1951), ისიც დააყოლა – შენს ქორწილში გვექეიფოსო.

ეგანოვი საშა

წლების განმავლობაში ერთად მუშაობდნენ საშა და მამაჩემი. გარეგნული იერსახე: ცისფერთვალება, ღია ფერის კანით, მუდამ მომღიმარი და როგორც იტყვიან ხოლმე – გაწკეპილი ქერა ულვაშებით. ფიზიკურად ძალიან ძლიერი. მასთან ჭიდაობას ყველა გაურბოდა.

მასწავლიდა უუნაგირო ცხენზე შეხტომა-შეჯდომას, ცოტა მოგვიანებით კი, დაახლოებით 14-15 წლის ასაკში, მივყავდი ხოლმე ტყეში და მასწავლიდა ტყის ფრინველებზე (შაშვი, ჩხართვი, მწყერი და სხვა) ორლულიანი თოფით ნადირობას.

ჯაშიაშვილი თენგიზი

მარცხნიდან: მ. მესტვირიშვილი, ვახტანგ ჭანკოტაძე, შოთა კიკოლაშვიილი, თენგიზ ჯაშიაშვილი („კოლბასა“) და ალბერტ ნარეკლიშვილი (1950 წ.)

ძალიან კარგი ბიჭი იყო. ტანად საკმაოდ მაღალი, მომრგვალებული პირსახით და ძლიერი, დაკუნთული სხეულით. რაც მთავარია, იყო ძალიან კეთილი და პატიოსანი.

სკოლაში ყველა პატივს სცემდა. სულ იმას ჩაგვჩიჩინებდა თანატოლებს – „გახსოვდეთ კარგად, ბევრი ლაპარაკი ცოტა საქმეს ნიშნავსო“.

ხშირად, შეიძლება ითქვას – სისტემატურად ვეხმარებოდი მათემატიკისა და ფიზიკის გაკვეთილების მომზადებაში, სამაგიეროდ გარანტირებული მქონდა ე.წ. ბიჭურ თუ უბნურ ჩხუბებში დაცვა. ბევრჯერ ამომიდგა გვერდში და გადამარჩინა გალახვისაგან.

კახელებმა არც ის დატოვეს გულნაკლული და მეტსახელად შეურჩიეს „კალბასა“.

ნათელში იყოს მისი სული.

ყეინოშვილები
დათა, რეზო, ელიკო, მართა

მეორე მსოფლიო ომის წლებში მამაჩემი ზაფხულობით მაგზავნიდა ხოლმე სოფლებში – შილდაში და საბუეში (ნათესავებთან) ორი მიზნით: რომ ნაკლებად მეშიმშილა (მშრომელი სოფლელების ოჯახში შედარებით იოლი იყო შიმშილის დამარცხება. განსაკუთრებით მიყვარდა საბუეში, სადაც ყეინოშვილები მეგულებოდნენ – დათა (ოჯახის უფროსი, მჭედელი), მაია (დათას მეუღლე, უგემრიელესი კერძების დამამზადებელი) და მათი შვილები – რევაზი, ელიკო და მართა (ჩემზე ოთხი-ხუთი წლით უფროსები).

ადრიან დილიდან გვიან საღამომდე ვმუშაობდი (ვეხმარებოდი) ან სამჭედლოში, რაც ძალიან საინტერესო იყო, ან ვენახში თუ ბაღ-ბოსტანში, სადაც ვსწავლობდი მიწასთან ურთიერთობის წესებს და მოსავლის მოყვანა-აღება-დაბინავებას. ის წლები ჩემთვის იყო მშრომელ კაცად ჩამოყალიბების წლები.

მადლობა მათ, ჩემს საყვარელ ნათესავებს.

ჩარკვიანი კანდიტი

XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მას ასე ახასიათებენ – უაღრესად კეთილშობილი, გამორჩეული განსაკუთრებული განათლებულობით და პატრიოტული სულისკვეთებით.

ერთხელაც, დაახლოებით 1946-1947 წლებში, იგი ეწვია ქ. თელავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პრობლემების მოგვარების მიზნით. როგორც წესი, ასეთი რანგის სტუმრებს იღებდა პირველი მდივანი და ოფიციალური შეხვედრებისა და აზრთა გაცვლა-გაზიარების შემდეგ შეხვედრა მთავრდებოდა ხოლმე პირველი მდივნის, ამჯერად გიორგი სეხნიაშვილის, ოჯახში ვახშმით.

მე ვმეგობრობდი (თუ ვძმაკაცობდი) გიორგი სეხნიაშვილის შვილებთან გურამთან და ჯემალთან.

ქ. თელავში, ეკონომიკურად ნორმალურად უზრუნველყოფილი ოჯახი, მზრუნველობას არ მაკლებდა. როგორც ობოლი – მათი ოჯახის „მესამე“ შვილად ვითვლებოდი – მაჭმევდნენ, მასმევდნენ, ხშირად მაცმევდნენ და წიგნებსაც მჩუქნიდნენ. მე და გურამი და ჯემალი კი საუბნო ფეხბურთში „ვჩალიჩობდით“ და არცთუ წარუმატებლად.

სეხნიაშვილები ცხოვრობდნენ მაშინდელ ენგელსის ქუჩაზე. მათი სადარბაზოს კარების წინ კვიპაროსი იდგა ოდნავ გადახრილი ქუჩისკენ. სატვირთო მანქანამ ძარით გაჰკრა ხეს და საკმაოდ ღრმა „ნაჭრილობები“ დაუტოვა, დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე. ჩვენ, უბნის ბიჭები, იმ გადაღლეტილ ადგილს ე.წ. „ცხრიანს“ (საფეხბურთო კარის) ვუწოდებდით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, თუ ვინ უფრო მეტჯერ მოარტყამდა ბურთს იმ ადგილს.

ერთ-ერთი ასეთი „ვარჯიშ-შეჯიბრის“ დროს, სეხნიაშვილების სახლის წინ, ქუჩაში, ანუ ჩვენს „სტადიონზე“ გაჩერდა სამი მსუბუქი მანქანა.

უბანში ხმა გავრცელდა – ჩარკვიანი სტუმრობსო სეხნიაშვილებს.

ძმები სეხნიაშვილები (გურამი, ჯემალი) და მე ვეხმარებოდით დიასახლისებს სუფრის გაშლა-გაწყობაში: ვახურებდით მაყალს, სარდაფიდან ამოგვქონდა ღვინო, სხვადასხვა ოთახებიდან (ორსართულიან სახლში) ვაგროვებდით სკამებს და ა.შ. მერე კი

ვიჯექით ე.წ. „ზალის“ კუთხეში და ვუსმენდით და ვუცქერდით სტუმრებს.

რომელიღაც მომენტში ოჯახის უფროსმა და სუფრის თამადამ, გიორგი სეხნიაშვილმა მითხრა – აბა, ვახტანგ, მოვასმენინოთ ჩვენს სტუმარს, თუ რა სიმღერა შეგასწავლა ფირუზ მახათელაშვილმაო.

მე წამოვიწყე „გაფრინდი შავო მერცხალო“ და ავიყოლიე ყველა იქ მყოფი.

სიმღერის შემდეგ კარგა ხანს ჩუმად საუბრობდნენ თამადა და ჩარკვიანი. მერე ძვირფასმა სტუმარმა მიმიხმო თავისთან, ჩამისვა კალთაში, დაწვრილებით მკითხა სკოლაში სწავლის ირგვლივ, შემაქო კარგი სწავლისთვის, მერე პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ჩაიყო ხელი და ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი გადმომცა სიტყვებით – კარგი ბიჭი ჩანხარ, ეს ჩემგან საჩუქრადო.

ერთი სული მქონდა, როდის გავხსნიდი და ვნახავდი თუ რა იყო შეხვეული ქაღალდში.

გახსენი, გახსენიო – მომაძახეს აქეთ-იქიდან. მეც გავხსენი. გავიხარე – ქაღალდში გახვეული იყო ორი კალმისტარი, ორი ე.წ. „რონდო“ კალმისწვერით. იმ დროისთვის ეს გახლდათ უძვირფასესი საჩუქარი (მელანს როგორმე ვიშოვიდი).

კარგად მახსოვს, თუ კანდიტ ჩარკვიანმა გამომშვიდობებისას დაბალი ხმით როგორ უთხრა გიორგი სეხნიაშვილს (პირველ მდივანს): უპატრონე ამ ბიჭს, მამამისს ჩემი მოკითხვა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

სეხნიაშვილი გიორგის და ასევე მისი ძმის ალექსის ოჯახების მხრიდან მუდამ ვგრძნობდი მზრუნველობას და მხარში დგომას, ვიდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებამდე და სამუშაოდ ქ. გორში წასვლამდე.

სეხნიაშვილები
საბა, გიორგი, ალექსი

ჩვენი ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველთვის გვყავდა გამორჩეული ადამიანები, რომლებიც სარგებლობდნენ მოსახლეობის მხრიდან დიდი ყურადღებით, პატივისცემით და სიყვარულით. მათგან ზოგიერთს იცნობდნენ და ანგარიშგასაწევ პიროვნებებად აღიარებდნენ, არათუ ამათიუმ რაიონის თუ ქალაქის უაღრესად ღირსეული პიროვნებებად, არამედ სრულიად საქართველოში თითითსაჩვენებელ ადამიანებად, რომლებსაც ეკითხებოდნენ, აღიარებდნენ, ეფერებოდნენ და მოწიწებით და სიყვარულით საუბრობდნენ მათ შესახებ.

ქ. თელავში ასეთ პიროვნებებად მიაჩნდათ საბა (მამა) და მისი ორი ვაჟი – გიორგი და ალექსი სეხნიაშვილები, რომლებმაც წარუშლელი და პოზიტიური კვალი დატოვეს ქ. თელავის ისტორიაში.

მათი ოჯახები გამოირჩეოდნენ განათლებულობით, სახელმწიფო და სახალხო საქმიანობაში წარმატებულობით, ადამიანებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით და მისაბაძი სტუმართმოყვარეობით.

სეხნიაშვილი საბა

ასაკიდან გამომდინარე, საბა სეხნიაშვილი მეკუთვნოდა პაპად. ქ. თელავის ცენტრში, ერთ-ერთ ხალხმრავალ უბანში ჰქონდა ღვინის ე.წ. წერტი (სარეალიზაციო პუნქტი), თუმცა დადიოდა ხმები, რომ ფარდის უკან ედგა დიდი კასრი, რომელზედაც სახელდახელოდ შლიდა სუფრას და მისთვის საინტერესო და საყვარელ კლიენტებს დალოცვის გარეშე არ სტოვებდაო.

ჩვენც, მოზარდებს ძალიან გვაინტერესებდა პაპა საბას „ასპარეზი“, მაგრამ 13-14 წლის ბიჭებს ახლოს არ გვიკარებდა. მე და ჩემი ძმაბიჭები გავხდით თუ არა 15 წლის ასაკისა, ერთად შევიკრიფეთ და ვეწვიეთ მის წერტს.

კარგად მიგვიღო და გაგვიმასპინძლდა. სკოლის დამთავრებამდე (მერე უკვე გავიფანტეთ სხვადასხვა ქალაქებში და სასწავლებლებში) ხშირად ვიყავით მისი სტუმრები. მე განსაკუთრებით ვუყვარდი, როგორც მისი შვილიშვილების ძმაკაცი (საბას ჰყავდა ორი ვაჟიშვილი – გიორგი და ალექსი). ღვინის კასრზე გაგვიშლიდა ხოლმე სუფრას და უხვად „გვაპურებდა“ ცხოვრებისეული სიბრძნით. გვიხსნიდა და გვასწავლიდა სადღეგრძელოების წარმოთქმისას მათ შინაარსს, მიმდევრობას, ფორმას, დანიშნულებას და ყველა იმ ნიუანსს, რაც ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარეობს. ძალიან უყვარდა სიტყვები – „...თამადობა დიდი ხელოვნებააო...“

სეხნიაშვილი გიორგი

ქ. თელავის რაიკომის პირველი მდივანი მრავალი წლის განმავლობაში. გამორჩეული იყო განათლებულობით და მაღალი შინაგანი კულტურით. უმძიმეს წლებში (ომი და ომისშემდგომი პერიოდიც) მოუწია პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობამ და წარმატებითაც. საუბრობდა კახელი კაცისთვის დამახასიათებელი სიდინჯით და ცხოვრებისეული საოცარი სიბრძნით.

გიორგი სეხნიაშვილის ოჯახი ითვლებოდა ერთ-ერთ მთავარ მასპინძელ ოჯახად ქ. თელავში. ვის აღარ შეხვდებოდით ოჯახში – ცნობილ მსახიობებს, მწერლებს, სპორტსმენებს, პოლიტიკოსებს და ა.შ.

მე და გიორგი სეხნიაშვილის ბიჭები გურამი და ჯემალი, რომ იტყვიან, ერთად ვიყავით სულ. რას აღარ ვთამაშობდით: ფეხბურთი, „მრგვალი“ თუ „გრძელი ვირი“, ლახტი, კაკლაობა, მასრაობა და სხვა.

გიორგი სეხნიაშვილის ოჯახში, ტრადიციიდან გამომდინარე, ხშირად ვებმებოდით ხოლმე კამათში, რაც ეხებოდა საქართველოს ისტორიას, ქართულ მწერლობას და კულტურას, ქართულ კინოს, მუსიკას და ა.შ.

გიორგი სეხნიაშვილის ოჯახში შევხვედრივარ უამრავ ცნობილ ადამიანს, მათ შორის: კანდიტ ჩარკვიანს (საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი), მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას, ზურაბ პატარიძეს (რუსთველოლოგი), ვასო გოძიაშვილს (მსახიობი), არსენ მეკოკიშვილს (ცნობილი მოჭიდავე), ელენე ახვლედიანს (მხატვარი) და სხვას.

სეხნიაშვილი გიორგის ოჯახმა ხშირად დამაპურა, ჩამაცვა, მომეფერა, დამასაჩუქრა და ა.შ.

დიდი მადლობა მათ ყოველივე იმისათვის, რაც მათ ჩემი მისამართით გააკეთეს და დამეხმარნენ ცხოვრების სირთულეების გადალახვაში.

მიჩილაშვილი (შილდელი) მერი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქ. თელავში მალევე დაიწყო გამოცოცხლება კულტურულმა ცხოვრებამ: მთელი ძალით ამუშავდა დრამატული თეატრი, კინოდარბაზების სალაროებთან გაჩნდა რიგები, „ნადიკვარის“ დასასვენებელი პარკიდან უფრო ხშირად ისმოდა ცეკვისა და სიმღერების ანსამბლების მუსიკის ხმები, ამუშავდნენ მუსიკალური სკოლები და ა.შ. ყოველივე ამას ემატებოდა გასტროლებით ჩამოსული თეატრალურ-მუსიკალური კოლექტივები

და ცხოვრებაც თანდათან უფრო ლამაზი და საინტერესო ხდებოდა.

როგორც მჩვეოდა, ჩუმად შევიპარე (უფულობის გამო) თეატრის შენობაში და უკვე ცნობილი ლაბირინთებით მივიწევდი სარდაფისა და დამხმარე სათავსოების გავლით მაყურებელთა დარბაზისკენ (უკეთეს შემთხვევაში) ან კულისებისკენ, სადაც ამოვეფარებოდი ხოლმე რაღაც რეკვიზიტს ან ფარდებს. მსახიობებმა რამდენჯერმე შემამჩნიეს, მაგრამ ხმა არ გამცეს.

ამჯერად ის იყო საქვაბიდან უნდა

გადავმძვრალიყავი სცენისქვეშა სივრცეში, რომ ვიღაცა ქალმა მტაცა ხელი, შემაჯანჯღარა და ხმამაღლა მკითხა – შენ აქ რას აკეთებო. ძალით ამათრია სცენაზე, იქ ვიღაცას მიაბარა ჩემი თავი და უთხრა – უბილეთოდაა შემოპარული. რა ქნას, ფული საიდან უნდა ჰქონდეს ბავშვსო. უჩემოდ არსად გაუშვათ, მასთან სალაპარაკო მაქვსო (გაბრაზებული ჩანდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეზოში განლაგებული ტუალეტიდან უკან დაბრუნებულს გზა არეოდა და მომხვდარიყო საქვაბის, საწყობისა და სარდაფების ლაბირინთების სიბნელეში).

დამთავრდა კონცერტი და საგრიმიოროში მიმიყვანეს იმ ქალთან. გამომკითხა დაწვრილებით, ვინ ვარ, რომელ კლასში ვარ, როგორ ვსწავლობ და ა.შ. შევატყე, ძალიან ეწყინა, როდესაც გაიგო ჩემი ობლობის შესახებ. მერე კი მოხდა ის, რასაც არაფრით ველოდი. ის ქალბატონი აღმოჩნდა მერი შილდელი, ცნობილი მომღერალი, დაბადებული სოფ. შილდაში. როდესაც გაიგო მამაჩემის სახელი და გვარი (მამაჩემიც შილდიდან იყო წარმოშობით) მტაცა ხელი და ჩამიკრა გულში – აი, თურმე, როგორი ყოფილხარ, შენს შესახებ ოლა ძალო (სოფ. შილდაში მცხოვრები მამაჩემის ძმის – გიორგის მეუღლე) მიყვება ხოლმეო.

გახალისდა და დაფაცურდა. თავის ნივთებში რაღაცას ეძებდა. მერე მომაწოდა რაღაც კამფეტის მსგავსი (პირველად ვნახე ისეთი ნუგბარი) და პატარა წიგნი, სულ 14 გვერდი (ლექსები, სახელწოდებით „თელავის ბარიშნები“. 1914 წ.). (წიგნი საჩუქრად გადავეცი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. შემონახული მაქვს ასლი). გადამეხვია, დამემშვიდობა და მთხოვა – თუ თბილისში მოგიწიოს სტუდენტობამ, აუცილებლად მინახულეო.

შევუსრულე თხოვნა. თსუ-ს სტუდენტობის პერიოდში (1951-1957 წ.წ.) ვინახულე 5-6-ჯერ, ძალიან გაიხარა და მეც გამახარა – მისი დახმარებით ჯიბეგაფხეკილმა სტუდენტმა უბილეთოდ ვნახე და მოვისმინე გასტროლებით ჩამოსული საზღვარგარეთელი კოლექტივების კონცერტები.

არასოდეს დამავიწყდება მისი სიკეთე.

ქალავ, მშვენებავ და საყვარელო,
თელაველო, თუ შულდელ-ყვარლელო.
დღეს შენი მსგავსნი როდი არიან
ჯაზ-მუსიკის და „როკის“ დარია.
გვწამს, კარგად ვიცით სიმღერის ფასი,
შენს სადიდებელს ხშირად ვსვამთ თასით.

ახვლედიანი ელენე

უდიდესი ქართველი მხატვარი. საავტორო ნამუშევრების გამოფენაზე მაკოცა და მაჩუქა ე.წ. „ბალიშა“ კამფეტი შემდეგი სიტყვებით „გიყვარდეს გარემო, რომელშიც ცხოვრობ“.

როგორც არაპროფესიონალმა, ერთ-ერთ საზოგადოებრივ შეკრებაზე გავბედე და მორიდებულად ვთქვი: ელენე ახვლედიანზე კარგად თოვლს ვერავინ ხატავს-მეთქი.

ხანმოკლე დუმილის შემდეგ ტაშით დამასაჩუქრეს.

აბაშიძე დოდო

დოდო აბაშიძე გავიცანი 1951 წლის ზაფხულში ქ. თელავში, თბილისის თეატრალური დასების გასტროლების დროს გიორგი სეხნიაშვილის ოჯახში.

სასტუმროების დეფიციტის გამო მსახიობების დიდი ნაწილი ცხოვრობდა სკოლებში, მათ შორის დოდო აღამ-ათენებდა ჩემს საკლასო ოთახში. ხშირად მივდიოდით ბიჭები მსახიობების სანახავად. ძალიან საინტერესო იყო მათთან შეხვედრები. ვთამაშობდით ფეხბურთს, ფრენბურთს, კალათბურთს და ა.შ. მეხსიერებაში ჩამრჩა დოდოს სიტყვები – „არ დაჩაგრო არასოდეს შენზე სუსტი, პირიქით მიეხმარე და გააძლიერეო“.

მეკოკიშვილი არსენა

მეორე მსოფლიო ომი ორიოდე წლის დამთავრებული იყო. იდგა ან 1947 ან 1948 წელი (ზუსტად არ მახსოვს). როგორც მთელს ქვეყანაში, ისე ქ. თელავშიც იგრძნობოდა ახალი, ომის შემდგომი ელფერით და ძლიერი შემართებით აღმავლობისა და აღორძინებისათვის ფუსფუსი და მასშტაბური რეორგანიზაციის ისტორიული პროცესები. საგრძნობლად იმატა სტუმრიანობამ და რესპუბლიკური მნიშვნელობის, მათ შორის სპორტულ-კულტურულ, თუ მუსიკალური ღონისძიებების რაოდენობამ.

თელავი თუხთუხებდა მასპინძლის როლში.

ერთ დღეს ერეკლე მეფის ქალაქში ხმა დაირხა – სპორტსმენები ჩამოდიან საჩვენებელი შეხვედრების ჩასატარებლადო და მათ შორის არის არსენ მეკოკიშვილიცო (იმ დროისთვის უკვე კარგად ცნობილი ქართველი გოლიათი, რომელიც წარმატებით აგრძელებდა ქართველი მოჭიდავეების სახელოვან ტრადიციებს).

ცენტრალური მოედანი სავსე იყო საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანებით. ისმოდა მუსიკის ჰანგებიც.

მოდიან, მოდიან... გაისმა ხმები. სტუმრების გუნდს მოჰყვებოდნენ ქალაქის პარტიულ-სამეურნეო თუ კულტურულ-საგანმანათლებო სფეროების ხელმძღვანელი პირები.

შორიდანაც კი ადვილად შეამჩნევდით წინა რიგში უზარმაზარი ნაბიჯებით მომავალ, გოლიათური აღნაგობის კაცს, რომელსაც შავი კოსტიუმი ეცვა და მკერდზე მზესავით უბრწყინავდა ჩემპიონის ოქროს მედალი.

სიმღერით შეეგებეთ სტუმრებს ცნობილი ლოტბარის ფირუზ მახათელაშვილის მიერ გაწვრთნილი საბავშვო ანსამბლის წევრები.

მოგვიანებით გავიგე, რომ არსენ მეკოკიშვილს ძალიან მოსწონებია ჩემი სოლო პარტია და ამიტომ იყო, რომ სწრაფი ნაბიჯებით მომიახლოვდა, მაკოცა, ხელში ამიყვანა და ასე გამატარა თითქმის ერთი კილომეტრი ქუჩის ორივე მხარეს შეგროვილ თელაველებს შორის. მკერდზე მჭიდროდ მიმიკრა და ხელის ქნევით ხან მარცხნივ შეტრიალდებოდა ხოლმე, ხან მარცხნივ. ხალხი ტაშით და შეძახილებით ეპასუხებოდა სახელოვან გოლიათს. მე კი სურვილი მკლავდა ხელით შევხებოდი ჩემს ცხვირწინ მბრწყინავ ოქროს მედალს.

თითქოს გაიგოო ჩემი ნატვრის შესახებ. წაავლე ხელი, ნუ გეშინია, არ ჩამოვარდება, საიმედოდაა დამაგრებულიო – მითხრა ზღაპრული გოლიათის აგებულების არსენ მეკოკიშვილმა და დაამატა: „...გახსოვდეს, კარგად უნდა ისწავლო და ოქროს მედლები არ მოგაკლდებაო...“

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც არსენ მეკოკიშვილის სიტყვები ამიხდა; სულ რაღაც 3-4 წლის მერე მივიღე პირველი ოქროს მედალი და იმ დღიდან მოყოლებული არ მომკლებია მედლები, ორდენები, წოდებები, სიგელები, დიპლომები თუ პრემიები.

და ეს წარმატებები განპირობებული იყო იმით, რომ ვცდილობდი მაქსიმალურად კარგად მესწავლა ის, რასაც მასწავლიდნენ. კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე. ყურში ახლაც ჩამესმის არსენ მეკოკიშვილის სიტყვები: „...კარგად უნდა ისწავლო და ორდენ-მედლები არ მოგაკლდებაო“.

მახათელაშვილი ფირუზა

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლოტბარი, რომელიც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა ქართულ ხალხურ სიმღერას.

ვსწავლობდი ქ. თელავის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლაში. მოხდა ისე, რომ VIII კლასში მხოლოდ რვანი ვიყავით. ერთი წლის შემდეგ, ანუ IX კლასში დაგვემატა მე-9 ბიჭი, საინგილოდან, ვახტანგ კაკულაშვილი.

აქვე აღვნიშნავ, რომ კლასში ასაკითაც და ტანადაც ყველაზე პატარა ვიყავი, თუმცა ყველაზე კარგად ვსწავლობდი და კლასის ორგანიზატორიც კი ვიყავი. ჩემს გარდა ყველა ეწეოდა თამბაქოს, ყველა ეტანებოდა სასმელს, კლასში რამდენჯერმე დარჩენილებიც გვყავდა. მოკლედ, მე მათთან შედარებით ვიყავი ე.წ. „დედას ბიჭი“, თუმცა, უკვე რვა წელი იყო, რაც დედა აღარ მყავდა.

იმ დროისთვის თელავში ყალიბდებოდა ბავშვთა სიმღერების ანსამბლი ფირუზ მახათელაშვილის ხელმძღვანელობით. დაიწყო ე.წ. კასტინგების პროცესი.

სკოლის დირექტორმა წაგვიყვანა თეატრში, სადაც ფირუზ მახათელაშვილი (ასისტენტებთან ერთად) ამოწმებდა ბავშვების ხმის ტემბრს, მუსიკალურ სმენას, რიტმის გრძნობას და ანაწილებდა ხმის მიხედვით (პირველი, მეორე, მესამე...) ცალ-ცალკე ჯგუფებად. პირველი ხმის მეპატრონეთა ჯგუფში თითქმის სულ გოგონები იყვნენ, მეორე ხმის მეპატრონეთა ჯგუფში კი თითქმის ნახევარი ბიჭები იყვნენ და ნახევარი გოგონები. რაც შეეხება მესამე ხმის მქონეთა ჯგუფს – იქ სულ ოთხი ბიჭი იდგა. მალე ამ ჯგუფში „გააგზავნა“ ჩემი 5 თანაკლასელი – მათ გამოკვეთილად მესამე ხმა აღმოაჩნდათ. მაშინ ვინატრე, რომ მეც მესამე ხმა მქონოდა. არ მინდოდა გოგონებთან ერთად ჯდომა თუ დგომა. საშინლად

მრცხვენოდა გოგოების. გავურბოდი მათთან ახლოს ყოფნას. „ჩემი“ ბიჭები კი პირიქით – ხმას იწვრილებდნენ, იქნებ მათ ჯგუფში მოვხვდეთო.

ასე იყო, თუ ისე, მოვიდა ჩემი შემოწმება-მოსინჯვის ჯერიც. ფირუზ მახათელაშვილმა პიანინოს კლავიშს რამდენჯერმე დაჰკრა თითი – აბა, გაგვაგონე შენი ხმაო. მე ხმა დავიბოხე – „ჩემი“ ბიჭების ჯგუფში მინდოდა მოხვედრა.

ფირუზ მახათელაშვილმა გაკვირვებით შემომხედა და ისევ ააჟღერა იგივე კლავიში. მე კვლავ დავიბოხე ხმა... მახათელაშვილმა გაიხედა სცენის კუთხეში მჯდარ სკოლის დირექტორისკენ, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მერე ისევ ჩემსკენ შემობრუნდა და მკაცრი ტონით მითხრა: „...ყმაწვილო, მშვენივრად მოსასმენი ხმა გაქვს, არც სმენა გაკლია და შენგან კარგი მომღერალი გამოვა... ახლა კი წადი და პირველი ხმების ჯგუფში დაიკავე ადგილიო“.

ვიგრძენი, რომ ალმურმა ამიწვა სახე... მუხლების კანკალით წავედი პირველი ხმის მეპატრონე გოგონების ჯგუფისკენ.

ორი წელი ვმღეროდი ანსამბლში. ფირუზ მახათელაშვილმა ათამდე სოლო პარტია („გაფრინდი შავო მერცხალო“, „დიამბეგო“, „ჩავუხტეთ ბაინათაშვილსა“, „გუთნური“ და ა.შ.) შემასწავლა, რამაც საშუალება მომცა მომავალში ასეულობით ადამიანისთვის მიმენიჭებინა სიამოვნება ქართულ სუფრაზე თუ ოფიციალურ საღამო-შეხვედრებზე, ე.წ. კაფე-საღამოებზე, ექსკურსიებზე თუ ფესტივალებზე და ა.შ.

ფირუზ მახათელაშვილის დამსახურებაა, რომ დღესაც ვახერხებ (მართალია, უკვე იშვიათად) ადამიანების დატკბობას ტრადიციული ქართული მელოდიების აჟღერებით, ზოგჯერ შვიდსიმიანი გიტარის მოშველიებითაც კი.

შიოშვილი სერგო

მამაჩემის მეგობარი და კოლეგა, რომელიც ხშირად გვანებივრებდა ობლად დარჩენილებს, მე და ჩემს დას, დარეჯანს ტკბილეულ-ხილეულით და საინტერესო საბავშვო ამბების მოყოლით.

საოცარი მოფერება და გამხნევება იცოდა – გვიადვილებდა ბავშვობას.

ციხისთავი კოტე

ქ. თელავში ერთ სახლში ვცხოვრობდით (ყოფილი ფრუნზეს ქუჩა), საერთო აივანი გვქონდა. ძია კოტე პროფესიით მამაჩემის კოლეგა იყო. ჰყავდა ორი შვილი (ლამარა და ფარნა), რომლებთანაც ყოველდღე ვთამაშობდით მე და ჩემი და.

კოტე ციხისთავი ძალიან უფრთხილდებოდა მეზობლობას. ხშირად გვეტყოდა ხოლმე დამრიგებლური ტონით – „კარგ მეზობელს არაფერი სჯობიაო“.

ხშირად დავუნაყრებივართ მე და ჩემი და.

კორძაძე ვლადიმერი (ლადო)



საშუალო სკოლაში (თელავის ვაჟთა II) მასწავლიდა მათემატიკას. უყვარდა გამოთქმა „შრომამ შექმნა ადამიანი“-ო.

საჩვენებელ თითს მაღლა ასწევდა და დახვეწილი ორატორის ხმით დიდმნიშვნელოვნად გვეტყოდა ხოლმე – „გახსოვდეთ, დაუღალავი შრომის გარეშე ძნელია მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევაო“.

ხორავა აკაკი

1951 წლის ზაფხულში დედაქალაქიდან ქ. თელავს საგასტროლოდ ეწვია თეატრალური სამყაროს დიდი ჯგუფი.

სასტუმროების სიმცირის გამო (სულ ერთი სასტუმრო ქალაქის ცენტრში), მსახიობების დიდი ნაწილი განთავსებულები იყვნენ კერძო ბინებში და სკოლებში.

იმ საკლასო ოთახში, რომელშიც საზეიმოდ გადმომეცა (სულ ერთი თვის წინ) სკოლის წარმატებით დამთავრების ოქროს მედალი, გაშლილი იყო ე.წ. „ლეჟანკები“ და სხვა ატრიბუტიკა, რათა ნორმალურად ეცხოვრათ იქ განთავსებულ მსახიობებს, კერძოდ: ბ. კობახიძეს, ... გოდუაძეს, გიორგი (გოგი) გეგეჭკორს, დ. აბაშიძეს, კ. მახარაძეს და სხვებს.

გავიგეთ თუ არა ეს ამბავი, შევიკრიბეთ ჩემი თანაკლასელები და ვეწვიეთ ჩვენს სტუმრებს.

გავიცანით ერთმანეთი, ვიცინეთ, ვიმხიარულეთ, ჩვენ რაღაცეებს დავპირდით (მაგალითად სათევზაოდ ან სანადიროდ წაყვანას), ისინიც რაღაცეებს დაგვპირდნენ (მაგალითად სკოლის შენობაში მინისპექტაკლების ჩატარებას) და ა.შ.

გაიბა მეგობრული ურთიერთობები. მერე დავუპირისპირდით კალათბურთის თამაშში, იქვე, ჩვენი სკოლის სპორტულ მოედანზე. მათ შორის ყველაზე კარგად თამაშობდა კოტე მახარაძე. მეგობრული და გულდია ურთიერთობები გაგრძელდა და იმ დონემდეც მივედით, რომ ე.წ. „ნემეცკი სჩოტით“ გავუმასპინძლდით და არც ისინი ჩამოგვრჩნენ.

ვგრძნობდით, რომ ჩვენთან ურთიერთობა მოსწონდათ და სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ რაიმეთი ეცათ ჩვენთვის პატივი. კარგად იცოდნენ ჩემი ოქროს მედლის ამბავი, ალბერტ ნარეკლიშვილისა და ზაურ კაპანაძის მედლების შესახებ და იმის შესახებ, რომ არა ჩვენ კლასელს, მაგრამ ჩვენს ძმაკაცს ვალიკო ძამუკაშვილს ძალიან უნდოდა მსახიობობა, მაგრამ არ ჰქონდა იმედი, რომ გამოცდებს ჩააბარებდა.

გაგვაცანითო – გვითხრეს გასაგებად.

მორიგე „ნემეცკი სჩოტს“ და „სასტავს“ დაემატა ვალიკო, რომელმაც მოხიბლა ჩვენი სტუმრები ლექსების მხატვრული კითხვით, აკორდეონზე დაკვრით და სიმღერით, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ორიგინალურ იუმორზე.

ერთხმად გვითხრეს – აკაკი ხორავას უნდა ვთხოვოთ, უარს არ იტყვის, ოღონდ როგორმე მას უნდა გავაცნოთ „თქვენი“ ვალიკოო.

შემდეგი „ნემეცკი სჩოტი“ და შეხვედრა შესდგა კოტე მახარაძის მონდომების წყალობით.

შემოვიდა ერთ პატარა და უბრალო სასადილოში (მეტის „თავი“ არ გვქონდა) და ზანზარი დაიწყო ჭერმა, თუ იატაკმა. ახლა, ხმა რომ ამოიღო, ვიფიქრეთ თავს ჭექა-ქუხილი დაგვატყდაო. აბა, მაჩვენეთ თქვენი ვალიკოო, წამოიწყო ისეთი ხმით, რომ შიშის ზარმა აგვიტანა.

თამადობა მე მომარგეს. ყველაფერი აღვწერე, არგუმენტები მოვიშველიე და ვალიკოს მოვუხმე.

აკაკი ხორავა დატკბა თელავის ერთ პატარა სასადილოში, პატარა ბიჭების პატარა სუფრასთან გამართული პურისჭამით, რასაც ალამაზებდა და ამშვენებდა ვალიკოს შემოქმედება.

გაიხარა და ისიამოვნა მსოფლიო დონის მსახიობმა აკაკი ხორავამ.

ვალიკოს თეატრალურ ინსტიტუტში მოწყობის საქმეში დახმარება აღუთქვა, ხოლო მე კი დამპირდა, რომ ორ თვეში ერთხელ მაინც, ახალაგზრდა მსახიობებთან ერთად დაგპატიჟებთ საუკეთესო რესტორანში, ოღონდ ვალიკოც იქ უნდა იყოსო.

შეასრულა და შევასრულეთ დანაპირები. ბედნიერებაა გცნობოდა და მეგობრული ურთიერთობა გქონოდა ისეთ პიროვნებასთან, როგორიც აკაკი ხორავა გახლდათ.

ჯავშანაშვილი თამარი
(პირველი მასწავლებელი)

სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მივლინებით ვიყავი კახეთის ღვინის ქარხნებში, რათა ერთხელ კიდევ დეტალურად განმეხილა წლის მოსალოდნელი სამუშაოების ჩატარების ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხები და ასევე ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებითა და მართვის ავტომატიზირებული საისტემებით უზრუნველყოფის და სხვა ეკონომიკურ თუ ორგანიზაციული საკითხების დაზუსტების მიზნით.

რომელიღაც ეტაპზე შეიქმნა გურჯაანის პარტიის რაიკომის მეორე მდივანთან (კურირებდა მრეწველობას) შეხვედრის აუცილებლობა.

მე და ღვინის ქარხნის დირექტორი შევხვდით მდივანს, ვისაუბრეთ, გადავწყვიტეთ რიგი საორგანიზაციო საკითხებისა და დავემშვიდობეთ.

უკან დაბრუნებისას საქალაქო კომიტეტის დერეფანში ერთ-ერთი კაბინეტის კარებზე თვალი მოვკარი წარწერას „თამარ ჯავშანაშვილი“. წარსულის რაღაც მოგონებების ტალღამ ააფორიაქა ჩემი გონება. ქუჩაში გამოსული დავემშვიდობე ღვინის ქარხნის დირექტორს, როგორც იქნა მივაგენი ჩემს მანქანას, ჩავჯექი და ის იყო ძრავა უნდა ჩამერთო, რომ გამახსენდა, დიახ, საოცარ ფერებში გამახსენდა დიდი ხნის წარსული. კაბინეტის კარებზე გაკრული სახელი და გვარი იყო ჩემი პირველი მასწავლებლის გვარ-სახელი.

გიჟივით გავვარდი მანქანიდან, სირბილით ავედი ქალაქკომის შენობის მეორე სართულზე და შევაღე კარები წარწერით „თამარ ჯავშანაშვილი“.

მდივანმა დაადასტურა საოცარი ამბავი: დიახ, თამარ ჯავშანაშვილი მუშაობდა პედაგოგად გურჯაანის ამადაამ სკოლაში, ამადაამ წლებშიო. ყველაფერი ემთხვეოდა ჩემს გახსენებებს.

გავვარდი ისევ ქუჩაში, ვიკითხე, სად იყიდებოდა ყვავილები და უზარმაზარი თაიგულით დავჯექი სამდივნოში იმ მოლოდინით, რომ მაღალჩინოსანი მიმიღებდა, გამიხსენებდა და...

რა ვუთხრა, ვინ ბრძანდებით ან რა საკითხთან დაკავშირებით გსურთ შეხვედრაო – დაინტერესდა მდივანი გოგონა.

ელვის სისწრაფით აგორდა წარსულის ტკბილი მოგონებები.

იდგა 1940 წლის 1 სექტემბერი. ავადმყოფი დედაჩემი ძლივს წამოდგა საწოლიდან, დამბანა, მასაუზმა, ჩამაცვა, თვითონაც საგარეოდ ჩაიცვა და წამიყვანა სკოლაში, სწავლა იწყებოდა.

კარგად მახსოვს – ჩემი მარჯვენა ხელი დედაჩემს ეჭირა; მარცხენა ხელში მეჭირა ვაშლი თუ ბროწეული (კარგად არ მახსოვს) და მორჩილად მივდევდი სკოლისკენ, რომელიც მდებარეობდა ჩვენი საცხოვრებელი ბინიდან (სატყეო მეურნეობის ე.წ. „კანტორის“ მეორე სართული) სამას-ოთხას მეტრში. მამაჩემი სულ რაღაც ერთი წლის გადმოყვანილი იყო სამუშაოდ თელავიდან და ეკავა დირექტორის თანამდებობა. აქვე მეზობლად ცხოვრობდა თბილისიდან გადმოყვანილი სპეციალისტი ვალოდია გურგენიძე თავისი მეუღლით და რვა შვილით.

უცნაური რამ გახლავთ დროის ფენომენი (მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმა, ფილოსოფიური კატეგორია). ვიცით ხოლმე თქმა – „დრო სწრაფად გარბისო“. და მართლაც იმ 20-25 წუთის განმავლობაში ჩემს გონებასა თუ წარმოსახვაში კინოფილმის კადრებივით გაირბინა გურჯაანში ცხოვრების თითქმის ოთხმა წელმა (ორ მილიონზე მეტმა წუთმა).

რა აღარ „მოვისმინე“, რა აღარ „ვნახე“, თუმცა, მათგან ყველაზე ტკბილი და ძვირფასი გახლდათ იმ ქალბატონთან გატარებული წუთების, საათების და დღეების გახსენება, რომელთანაც შეხვედრას სულგანაბული ველოდი მკერდზე მიკრული ყვავილების თაიგულით.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ქალბატონი თამარი გაკვეთილებს შორის (ე.წ. შესვენებებზე) ხშირად წამიყვანდა ხოლმე თავის ოთახში და დამატებით მასწავლიდა რაღაც-რაღაცეებს, ხშირად მჩუქნიდა რაიმე სათამაშოს, გაკვეთილების შემდეგაც ბევრჯერ მივუცილებივარ სახლამდე, ავადმყოფ დედასთანაც ხშირად მაბარებდა მოკითხვას; მახსოვს, დაბადების დღეზე მაჩუქა ფანქრები და საშლელი (მაშინ ძნელად საშოვნელი). ქალბატონი თამარის (დედაჩემის სეხნიის) ჩემდამი ყურადღება უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე და ჩემი და დავრჩით ობლად. და გამახსენდა კიდევ ათასი რამ...

ამ დროს ვიგრძენი ვიღაცამ შემანჯღრია... შებრძანდით, გელოდებათო...

მაპატიებს მკითხველი, რომ ვერ შევძლებ იმის გადმოცემას, რაც იქ მოხდა მას შემდეგ, რაც გაიგო, ვინ ვიყავი.

ეს იყო ენით აუწერელი რამ, ამიტომაც ვერ მოვყვები. ერთს კი მაინც ვიტყვი; როცა თამარ მასწავლებლის კლასში შემოსვლისას ფეხზე წამოვხტებოდით ხოლმე, როგორც წესი, სიყვარულით გვეტყოდა: „ბავშვებო, ძალიან მიყვარხართ“-ო.

ჯანელიძე პავლე

მასწავლიდა ფიზიკას თელავის ვაჟთა II საკოლაში (1945-1950 წ.წ.)

მხიარული ხასიათის პიროვნება გახლდათ, თუმცა ძალიან მკაცრი, როცა მოუმზადებლები ვიყავით ამათუიმ საკითხში.

გამუდმებით მოგვიწოდებდა კარგი და საფუძვლიანი სწავლისკენ, რათა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ცხოვრება გაადვილებულიყო.

იმასაც ხშირად გვეტყოდა ხოლმე: „...ეშმაკობაც და არა სიცრუე, საჭიროა ზოგჯერ, რომ გამოუვალი სიტუაციიდან გამოძვრეო...“

ზამთარში, როცა შეშა არ გვქონდა და კლასში ციოდა, გვასწავლიდა როგორ გავმთბარიყავით სხეულის სხვადასხვა ნაწილების აქტიური მოძრაობებით.

ბიბილაშვილი მიშა

ჩემი ბიძაშვილის, ქეთინოს მეუღლე, ყვარლელი ვაჟკაცი.

ქეთინო იყო, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი და ჩემი დის, დარეჯანის, ერთ-ერთი მთავარი მომვლელი, პატრონი, დამრიგებელი და გამამხნევებელი ადამიანი. მიშამ „გაიტაცა“ იგი ყვარელში და შექმნეს თითითსაჩვენებელი ოჯახი. შეეძინათ და აღზარდეს ორი საამაყო შვილი – ზურაბი და მანანა.

ხშირად ჩავდიოდი მათთან სტუდენტური არდადეგების დროს. ერთ-ერთი ვიზიტისას თავზე წავადექი ჩემს სიძეს, მიშას, რომელიც დაკავებული იყო ახალი ქვევრის ჩასმით სარდაფის მიწაში და მისთვის ქვიშით მომზადებული ცემენტის მასით სარქველის მორგებით.

გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა – „კარგ დროს მეწვიეო... მოდი, ვისარგებლებ შემთხვევით და გთხოვ, ამ ქვევრის ჯერ კიდევ გაუმშრალ ცემენტის სარქველს შენი მტკაველი დაამჩნიეო“.

გამეხარდა, ავიწიე სახელო, გავშალე მკლავი და მთელი ძალით დავაწექი ჯერ კიდევ გაუმშრალ ცემენტს.

ბევრი ვიცინეთ და გავიხარეთ. მოგვიანებით კი მიშამ აღნიშნა, რომ 150 ლიტრიან ქვევრში მხოლოდ ვახტანგისთვის „თეთრი ქინძმარაული“ უნდა დაღვინდესო. რატომ ასე ცოტა, ძვირფასი კაცისთვის მეტი არ გემეტებაო, მიაძახეს თანასოფლელებმა.

მიშამ კი ღიმილით უპასუხა – „... „თეთრი ქინძმარაული“ იშვიათი ჯიშია და მხოლოდ მდინარე დურუჯის მიერ მთებიდან ჩამოტანილი ქვიშით საზრდოობსო. ის ძალიან ცოტას აქვს ყვარელში, მეც სულ 250 ძირი ვაზი მაქვს გახარებულიო“.

მაშინ გავიგე პირველად, რომ არსებობს თეთრი „ქინძმარაული“. დადიოდა ხმები, რომ სწორედ ამ ღვინოს (და არა მოწითალოს და

საკმაოდ გავრცელებულს და ცნობილს) უგზავნიდნენ კრემლში იოსებ სტალინს.

ამ ამბების გავრცელების საქმეზე თუ საკითხზე ვერაფერს მოგახსენებთ, იმას კი გეტყვით, რომ ჩემი მარჯვენა მტკაველით დაღდასმული ქვევრიდან ამოღებული ღვინით ბევრჯერ მოვხიბლე ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობრები და რამდენჯერმე პროფესორ-მასწავლებლებიც (ექსკურსიებზე ყოფნისას).

როსტომაშვილი ვახტანგი

ვახტანგ როსტომაშვილი გახლდათ მამაჩემის, რეზო ჭანკოტაძის (თელავის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი) მეგობარი, კოლეგა და თანამესუფრე (1941-1955 წ.წ.).

დაახლოებით 9-10 წლის ვიქნებოდი, როდესაც მამამ სახლში მოიყვანა სხვა ორ (ჩემთვის უკვე ნაცნობ) მეგობართან ერთად. მამაჩემს ძალიან უყვარდა სტუმრებთან თავის მოწონება და ხშირად იშლებოდა ჩვენს ოჯახში მოკრძალებული „ფორმატის“ ქართული სუფრა.

მე, როგორც წესი, ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს – მწვადის შეწვა და ღვინის ჩამოსხმა-მირთმევა.

კარგად მახსოვს ის, რომ იმ საღამოს მამაკაცებმა ძალიან ბევრი ილაპარაკეს ქალბატონებზე (მსუქანიაო, გამხდარიაო, ლამაზი თვალები აქვსო, საოცრად იცინისო, იფ, რა კარგი კულულები აქვსო, როგორ ნარნარით დადისო და ასე და ამგვარად თითქმის მთელი საღამო); ადრეც უთქვამთ ქალების სადღეგრძელო, მაგრამ ამდენი ელაპარაკოთ – არ მახსოვს. მოგვიანებით გავიგე, რომ დაქვრივებული მამაჩემისთვის სასურველ საცოლეს არჩევდნენ თურმე...

რომელიღაც მომენტში მამაჩემმა და ვახტანგ როსტომაშვილმა შუაში ჩამისვეს და ერთიმეორეს არ აცლიდნენ ჩემს დარიგებას: გახსოვდეს, კაცად იმიტომ ხარ დაბადებული, რომ ქალი გიყვარდეს და პატივს სცემდე; ქალს – უნდა ეთაყვანო, ხელის გულზე უნდა ატარო; ცივი ნიავი არ მიაკარო, ქათინაურები ხშირად უთხრა და საყვარელი ყვავილებიც არ მოაკლო; მოეფერო და დაიცვა ყოველგვარი საფრთხისგანო და ა.შ. და ა.შ.

გადიოდა წლები და მეც ვიზრდებოდი. ყველანაირად ვცდილობდი შემესრულებინა მამაკაცისთვის ღმერთის მიერ განსაზღვრული და მამაჩემის და ცისფერთვალება, შავტუხა კახელის ვახტანგ როსტომაშვილის შთაგონებები.

რამდენად ღირსეულად შევასრულე ადამის შთამომავლის ფუნ-

ქცია-მოვალეობები, ეს ნაცნობი ქალი-მკითხველების განსჯის საკითხია, ალბათ.

მამაჩემს და ჩემს ცისფერთვალება სეხნიას კი დიდი მადლობა, რამეთუ მათმა დარიგებებმა ძვირფასი სამსახური გამიწია ცხოვრებაში.

ჟორჟოლიანი გიორგი

ჩემი ბავშვობის პერიოდში (1940-42 წ.წ.) მეზობლები ვიყავით. მკვრივი აგებულების ცისფერთვალება კაცი გახლდათ, პროფესიით მეტყევე-ინჟინერი. ხშირად გვჩუქნიდა მე და ჩემს დას სათამაშოებს და ტკბილეულს მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში. უყვარდა გამოთქმა: „ნეტავ, ღმერთმა დიდხანს მაცოცხლოს, რომ რაც შეიძლება მეტი კარგი საქმე გავაკეთოო“.

გონაშვილი ჰამლეტი



თელავიდან გორში ვბრუნდებოდი ჩემი მანქანით ზაურ თეთრუაშვილთან ერთად. სოფელ წინანდლის მიდამოებში ავტოინსპექტორმა გაგვაჩერა. გამიკვირდა, რადგან მოძრაობის არავითარი წესი არ დამირღვევია, თუმცა მაინც შემეშინდა სუნი არ ამომსვლოდა პირიდან გუშინდელ გულუხვ კახურ სუფრაზე მომლხენს.

მიზეზი კი სხვა რამ აღმოჩნდა. ყველას (ვინც მოისურვებდა) ეპატიჟებოდნენ ჰამლეტ გონაშვილის დაბადების დღისათვის, იქვე ტყის პირას გაშლილ სუფრასთან.

ცდუნება დიდი იყო, მითუმეტეს, რომ პირადად არ მინახავს ცხოვრებაში სახელგანთქმული მომღერალი. ზაური დამთანხმდა, მაგრამ მანქანით როგორღა წავიდეთ გორშიო...

ნუ ღელავთ, ბატონებო, ჩვენ წაგიყვანთ თქვენივე მანქანით, ზრდილობიანად მოგვმართეს იქვე ჯგუფად მდგომმა ახალგაზრდებმა.

ახლადა შევამჩნიეთ ოცამდე გაჩერებული მსუბუქი მანქანა იქვე, ტყის პირას, სადაც გაშლილი სუფრა შორიდანვე ჩანდა და ისინიც, ვინც ფეხზემდგომნი მიირთმევდნენ კახურ ღვინოს.

გვერდით დაგვიყენა ჰამლეტმა – გორელებს ვენაცვალეო. ზაუ-

რიმ უთხრა, რომ კახელი ვიყავი და უფრო გაიხარა – „ზემლიაკი“ ყოფილხარო.

გაჩაღდა ქეიფი. სუფრას ხალხი ხან აკლდებოდა, ხან ემატებოდა. ნამდვილი ზეიმი იყო დამკვრელების წყალობით.

კარგად ვიყავით შებუბუჟებულები მე და ზაური, როდესაც ჰამლეტმა წამოიწყო სიმღერა. ტელევიზორით და რადიოთი მოსმენილს ათასჯერ სჯობია, რომ იტყვიან – ცოცხალი შესრულების მოსმენა. სუფრა გაინაბა; საოცრად დამატკბობელ-დამათრობელი ჰანგები მოეფინა ტყე-მინდორს.

გავბედე და ავყევი... გაკვირვებით გადმომხედა; სიმღერის შემდეგ კი გადამკოცნა...

ცოტა ხნის შემდეგ შემომხედა და მითხრა – აბა. წამოიწყე რამეო.

წამოვიწყე... ამყვა, გაიხარა, ამაყად გადახედა სუფრასთან მდგომთ.

სიმღერის შემდეგ ყურში ჩამჩურჩულა – „ამ ადგილზე ასე აუწიე ხმასო“... კარგი-მეთქი.

გავიდა ერთი წელი... ვიდექი გორის თეატრის სცენაზე... მიმდინარეობდა ოლიმპიადა.

„იმ“ ადგილზე „ისე“ ავუწიე ხმას, როგორც ჰამლეტმა დამარიგა.

ჟიურის წევრებმა გაოცებულებმა შემომხედეს და უმაღლესი შეფასება მიაკუთვნეს ჩემს მიერ შესრულებულ სიმღერას.

მას შემდეგ ჰამლეტი აღარ მინახავს და უკვე ვიცი (როცა ამ სტრიქონებს ვწერ), რომ მას ვეღარასოდეს ვნახავ.

ნათელში იყოს მისი სული.

ქიტიაშვილი მიშა

მამაჩემის მეგობარი, კოლეგა, თანამესუფრე და თანამშრომელი.

რომ იტყვიან – მსხვილგაბარიტებიანი კაცი იყო, ჩაფსკვნილ-ჩაფუნჩულებული, შავკანიანივით შავი შეფერილობის პირ-სახით და დაკუნთული მხარ-მკლავით. კახეთში პატარა მდინარეა – ლოპოტა, ჰოდა მის დელტაში მცხოვრებს კახელებმა მეტსახელად „ლოპოტის დათვი“ შეარქვეს. ყველას უყვარდა იგი. მას კი მე ვუყვარდი ძალიან.

მაქებდა, მეფერებოდა და მესიყვარულებოდა – კარგი ბიჭი ხარ, მამას რომ ახარებ კარგი სწავლითო.

ჭკუის სწავლების მიზნით ხშირად მეტყოდა ხოლმე – „გულუხვობა ალამაზებს კაცის ცხოვრებასო“.

გეოგრაფიული სივრცე

თბილისი
(1951-1957)

პატივცემულო მკითხველო! სანამ თბილისელ „მფარველ ანგელოზებზე“ მოგიყვებოდეთ, მსურს, ლირიული გადახვევის ჭრილში, შემოგთავაზოთ ამონარიდი ჩემი ერთ-ერთი მოთხრობიდან, რომელშიც ჩემს ფიზიკურ წონაზეა გამახვილებული აქცენტი და არა საერთო წონაზე საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაგებით.

ჩემი წონა

რასაც ახლა მოგახსენებთ, ალბათ, განეკუთვნება უცნაურ და არაორდინალურ მოვლენათა სფეროს. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ თითქმის 70 წელია, რაც ვიწონი მხოლოდ 55 კილოგრამს (ზამთრის თვეებში მემატება 400-500 გრამი, ხოლო ზაფხულში მაკლდება დაახლოებით იგივე წონა). ასე რომ, მამაკაცთა შორის გახლავართ საკმაოდ მცირეწონიანი, რაც, სიმართლე რომ ითქვას – სრულებით არ მიშლის ხელს და არც არაფრით მაწუხებს.

ყველაფერი კი დაიწყო 1951 წლის 2 ივლისს, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატები გადმოგვცეს (ქ. თელავის ვაჟთა მე-2 სკოლა) და ყველანი წაგვიყვანეს პირდაპირ სამხედრო კომისარიატში რეგისტრაციისთვის.

გაგვზომეს, აგვწონეს, ტერფები შეგვიმოწმეს, კბილები მოგვისინჯეს და ა.შ. ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ ამწონეს და პირველად მაშინ გავიგე ჩემი წონის შესახებ, მაგრამ 55 კილოგრამი მაშინ არავის გაჰკვირვებია, რადგან ვიყავი 18 წლის სუსტი აღნაგობის ყმაწვილი, ვთამაშობდი ყველა ჭაბუკურ თამაშებს, რაც კი მაშინ არსებობდა თელავში („მრგვალი ვირი“, „გრძელი ჯორი“, ლახტი და სხვა), ვიყავი სპორტსკოლის ფეხბურთელი, ვნადირობდი, ვთევზაობდი, ვბარავდი, ვთოხნიდი და ვუვლიდი ბაღ-ბოსტანს და ა.შ. მოკლედ, საკმაოდ მოძრავი გახლდით.

ის დღე კიდევ ერთი რამით დამამახსოვრდა. როცა ამწონეს და დააფიქსირეს „ორი ხუთიანი“, კომისარმა შემომხედა და სთქვა: „თუ სკოლაშიც ხუთიანები გაქვს, ძალიან კარგი იქნებაო“.

„კი, როგორ არაო“ – წამოიძახა ჩემმა ერთ-ერთმა თანაკლასელმა, აიღო ჩემი ატესტატი და კომისარს მიაწოდა.

ოჰო, აი ატესტატი – წამოიძახა ხნიერმა, ნაომარმა მაიორმა და დაიწყო ხუთიანების თვლა.

აქ თექვსმეტი ხუთიანი გიწერია. ეს შენი წონის ორი ხუთიანიც მივამატოთ, სულ გამოვა თვრამეტიო. სთქვა ეს, მომიახლოვდა, მომილოცა, გადამეხვია და მისურვა – სულ ხუთიანებით გეაროსო და მეც, იმ დღიდან, უკვე თითქმის 70 წელია დავდივარ სხეულის წონის ორი ხუთიანით.

ახლა კი, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი მფარველი ანგელოზები თბილისში გატარებული ექვსი სტუდენტური წლის განმავლობაში.

გოცირიძე გოგუცა

დედაჩემის ძმისშვილი დიდი დავით გოცირიძის შთამომავალი (იხ. წიგნი „27 შვილის მამა“. ვ. ჭანკოტაძე; გამომცემლობა „უნივერსალი“; თბ. 2016 წ.), საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი 1950-იან წლებში.

გამოირჩეოდა ადამიანებთან განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულებით. დიდ ყურადღებას აქცევდა თითოეულ სტუდენტს და მუდამ მზად იყო დახმარებოდა.

იცოდა რა სტუდენტის „მსუბუქი“ ჯიბის შესახებ, ხშირად მიწევდა ფინანსურ დახმარებას უნივერსიტეტში სწავლის დროს (1951-1957 წ.წ.).

დოლიძე დავითი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1953-1954 წლებში მასწავლიდა „თეორიულ მექანიკას“.

საშუალო ტანის, სხარტად მოძრავი და მოსაუბრე, ხაზგასმით აკურატული, მოწესრიგებული და პუნქტუალური.

მეცნიერების დოქტორი, პროფესორი დავით დოლიძე ცდილობდა ახლო დამოკიდებულება ჰქონოდა სტუდენტებთან, რაც ლამაზად გამოსდიოდა.

ნებისმიერ საქმეში წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა მოწესრიგებულობა და ამასვე მოითხოვდა ჩვენგან, სტუდენტებისგან.

ვარძიგულოვი ნიკოლოზი

ცხოვრების უწვრილმანესი დეტალების მცოდნე და ანგარიშგამწევი პიროვნება, რომელმაც შრომითა და ბრძოლით გაიარა ურთულესი გზები და ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე.

მას თბილისში იცნობდნენ და აფასებდნენ, როგორც მეორე მსოფლიო ომში წარმატებულ მებრძოლს, ისე მცოდნე და გამოცდილ სამეურნეო მუშაკს. მან, მეუღლესთან (ანა) ერთად, დიდი რუდუნებითა და ალერსით აღზარდა ქალიშვილი ირინა, რომელმაც იტვირთა ჩემი ოჯახის დიასახლისობა და ქვეყანას აჩუქა ორი ვაჟიშვილი.

ოჯახზე ძვირფასი არაფერიაო – მეტყოდა ხოლმე ჩემი სიმამრი და ნათქვამის დასამტკიცებლად სულ ახალახალ ფაქტებს გვიყვებოდა. „არტემიჩი“ ნამდვილად იყო, როგორც იტყვიან ხოლმე, ოჯახის მუჭუჭი კაცი. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

ვეკუა ნიკო



მეცნიერების დოქტორი, პროფესორი. 1954-1955 წლებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს) მიკითხავდა ლექციებს თეორიულ მექანიკაში.

ბატონი ნიკო გამორჩეული იყო გარეგნული სიკეკლუცით: ტანზე კოხტად მორგებული კოსტიუმი (ხარისხით და ფერით სეზონის შესაბამისი), გაპრიალებული ფეხსაცმელი, მოწესრიგებული ვარცხნილობა და ჰალსტუხების მრავალფეროვნება. ახასიათებდა მოზომილი, დინჯი საუბარი (მიუხედავად მეგრული წარმომავლობისა).

უყვარდა ნებისმიერი საკითხის (თეორიულის თუ პრაქტიკულის) დეტალებში სკურპულოზური განხილვა და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება. ასევე უყვარდა შეეხსენებინა ჩვენთვის, რაც შეი-

ძლება ხშირად: „გახსოვდეთ, რომ სიმართლის თქმა და სიმართლის ქადაგება ალამაზებს ადამიანების ყოფას და პიროვნულობას. ეცადეთ არასოდეს იცრუოთ და მუდამ მოგებულ პოზიციაში იქნებითო“. ცხოვრებაში ბევრჯერ გამომადგა მისი დამოძღვრა, თუმცა ერთხელ ვუღალატე.

გამოცდილებით ვიცოდი, რომ როგორი მარტივი ბილეთიც არ უნდა შემხვედროდა, ორი-სამი საათი მაინც უნდა მეწერა და მემტკიცებინა ესათუის თეორემა თუ საკითხი. არ ვიყავი საამისოდ მომზადებული და ჩავიდინე ის, რაც ჩავიდინე.

გამოცდამდე ორი დღედა მქონდა დარჩენილი. ვერ ვასწრებდი სრულყოფილად მომზადებას. გადავწყვიტე მომეტყუებინა საყვარელი პროფესორი და საამისოდ ვისარგებლე მისი ე.წ. „სუსტი წერტილით“. ნიკო ვეკუას ძალიან უყვარდა ის, როცა სტუდენტი ზეპირად დაწერდა დაფაზე ამათუიმ ფორმულას და მერე დეტალურად ახსნიდა, თუ რა ფიზიკური თუ არსობრივი მნიშვნელობის გახლდათ ფორმულაში შემავალი თითოეული მათემატიკური სიმბოლო.

დავიმახსოვრე ორმოცამდე ფორმულა ზეპირად (თავისი ფიზიკური ინტერპრეტაციით) და დერეფანში, საგამოცდოდ მოსულ და თავისი რიგის მომლოდინე სტუდენტებს შორის დავიწყე ნერვიული მისვლა-მოსვლა და დაბალი ხმით გოდება – ვაიმე, რა მეშველება, ვაიმე, როგორ მოვიქცე და ა.შ. ასისტენტს შეუმჩნევია ჩემი „ნერვიულობა“ და შეუტყობინებია პროფესორისათვის, რომელმაც გამოაღო აუდიტორიის კარები და მიხმო თავისთან. რა მოხდა, ვახტანგ, რაშია საქმე, რატომ ნერვიულობ ასე?! (კარგი სტუდენტი ვიყავი; კარგად მიცნობდა და ჩემგან არავინ მოელოდა სიცრუეს, მითუმეტეს ნიკო ვეკუასთან). დავიხედე ნათხოვარ საათზე და წუხილით მივმართე – ძალიან მეჩქარება მატარებელზე, შორეული ნათესავი დამიზარალდა და...

მოდი, მოდი, რაკი ასეა, რიგში მდგომები გვაპატიებენ. შემიყვანა და მითხრა – ბილეთი არ დაგვჭირდება, პირდაპირ მიდი დაფასთანო. მეშველა, მგონი გადავრჩი; ახლა მთავარია კარგად გავიხსენო ფორმულები.

აბა, ვახტანგ, დამიწერე ბერნულის მეორე განტოლება... დავწერე. აბა, მითხარი, რა არის „ф“ – ვუთხარი, რასაც ნიშნავს... აბა, დაწერე, ჰუკის ფორმულა. დავწერე. აბა, მითხარი... ვუთხარი და ასე შემდეგ.

ათი ფორმულა დავუწერე და ათივე გავშიფრე, როგროც იტყვიან, უმაღლეს დონეზე, სულ რაღაც 10-12 წუთში.

დამიწერა „ხუთიანი“ და კარებამდე მიმაცილა. აბა, ყოჩაღად, არ დაგაგვიანდესო.

ეს ამბავი მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრებიდან 15 წლის საიუბილეო შეხვედრაზე, თბილისში, რესტორან „არაგვში“ გავამჟღავნე.

აბა, მოვიდა საინტერესო ამბების გახსენების სადღეგრძელოს დროო, წარმოსთქვა თამადამ და მომაშტერდა. „შენ რაღაც თავს იკავებ, გასულ შეხვედრებზეც არაფერი გაგიხსენებია, რაშია საქმეო. აბა, გისმენთო“ – სთქვა ხმამაღლა და მოითხოვა სიჩუმე. ვაი, ჩემი ბრალი-მეთქი, გავიფიქრე.

15 წელი ვიტანჯებოდი იმ სიცრუით, რაც ვიკადრე. თავი ვეღარ შევიკავე ნასვამმა და დეტალურად მოვყევი ყველაფერს. მომეჩვენა, რომ ჩავიდინე რაღაც საშინელება.

წამოდგა, მომიახლოვდა და რაღაცის თქმას აპირებდა, როცა წაბარბაცდა და რომ არ მიშველებოდნენ, ალბათ, წაიქცეოდა. გონს მოიყვანეს და თითით მანიშნა მივსულიყავი მასთან. მიპატიებიაო, მითხრა დაყვავებით.

ღმერთო, მაპატიე ის, რაც ჩავიდინე.

ნათელში იყოს ნიკო ვეკუას სული.

ვეფხვაძე გალინა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1954 წელს მასწავლიდა ზოგად ფიზიკას).

მოხდა ისე, რომ ერთ სემესტრში უნდა ჩაგვებარებინა შვიდი გამოცდა. მე და ჩემმა მეგობარმა და ერთად ჩემს ოთახში მცხოვრებმა ლევან ჟიჟიაშვილმა (მომავალში აკადემიკოსი) გადავწყვიტეთ განცხადებით მიგვემართა რექტორისთვის, რათა ნება დაერთო ორი გამოცდა ჩაგვებარებინა სესიების დაწყებამდე. დაგვრთეს ნება.

ფიზიკის გამოცდაზე პირველი გავიდა ლევანი. მან ბრწყინვალედ უპასუხა, როგორც ბილეთის საკითხებს, ისე ათეულობით დამატებით შეკითხვასაც და დაიმსახურა „ხუთიანი“.

ჩვენ ერთად ვიმეცადინეთ და თითქმის ერთნაირად ვიცოდით ოთხმოცდაათი საკითხი.

ბილეთს ვუპასუხე დამაკმაყოფილებლად. მერვე დამატებით შეკითხვაზე ოდნავ წავიბორძიკე. გამომცდელმა გალინა ვეფხვაძემ შემაჩერა და მითხრა – ოთხიანს გიწერ, მეტი არ გეკუთვნისო. გული მეტკინა – კიდევ მკითხე-მეთქი. არაო; კიდევ ვთხოვე – ისევ უარი. დრო რაზე დავკარგოთო... ვთქვათ ამის შემდეგ კარგად მიპა-

სუხე ყველა შეკითხვაზე, ის ერთი ხომ არ იცოდიო.

გავმწარდი, მაგრამ რას ვიზამი. ერთიც შევეხვეწე – ბოლომდე მკითხეთ, ყველაფერი ვიცი-მეთქი. არაო, როგორც იტყვიან – „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა“.

ბოლოს გამარჯვებულის იერით დამაჯახა: „მილიონს რომ კაპიკი დააკლო, მილიონი აღარ იქნებაო“. ამის შემდეგ ყველაფერზე რომ მიპასუხო – ის ერთი ხომ არ იცოდი, რომ ხუთიანი დაგიწეროო.

ვირწმუნე, რომ სრული წარმატებისთვის, სრული ცოდნაა საჭირო. მადლობა გალინა ვეფხვაძეს.

კეცხოველი ნიკო



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი (XX საუკუნის 50-იანი წლები), პროფესორი. უნიკალური ბუნების უნიკალური მცოდნე და სტუდენტ-ახალგაზრდობის გამოცდილი აღმზრდელ-პედაგოგი. უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

მას იცნობდნენ როგორც ჭეშმარიტად ვაჟკაცური ხასიათის და სიკეთის კეთებისაკენ მომართულ პიროვნებას.

მოხდა ისე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტს „შემიყვარდა“ ამავე ფაკულტეტის მეორე კურსელი გოგონა, რომელიც ლექციებს შორის შესვენებაზე გავიცანი დერეფანში სეირნობის დროს. გავიცანი და რომ იტყვიან – „ჩამივარდა გულში“. მოსვენება დავკარგე. ლექციებს ვეღარ ვისმენდი ძველებური ინტერესით. სულ შესვენების მოლოდინში ვიყავი. შემოვირბენდი დერეფნებს მის ძებნაში. მარტო ვერ „გამოვიჭირე“. სულ ბიჭების გარემოცვაში იყო. თან ისეთი ბიჭების, რომელთა შესახებ იტყვიან ხოლმე – „ავ თვალს არ დაენახებაო“.

გადიოდა დრო, მირთულდებოდა ყოფა... ერთხელ გამიღიმა და ამან სულ ამიბნია თავგზა. რამდენჯერმე ვცადე გავყოლოდი გზაში ლექციებს შემდეგ სახლში მიმავალს. არაფერი გამოვიდა, მუდამ მოხდენილი ბიჭების გარემოცვაში იყო და ორჯერ არასასიამოვნო შეხლა-შემოხლაც მოჰყვა ჩემს ადევნებას. რა მექნა, არ ვიცოდი.

ახლოვდებოდა კურსის დამამთავრებელი სესიების დრო. გა-

დავწყვიტე და მოვისვენე; იმ ღამით წყნარად და მშვიდად მეძინა. ჩავიდინე ისეთი რამ, უნივერსიტეტის ისტორიაში მსგავსი რომ არაფერი ახსოვდათ – მივატოვე გამოცდები, ავკრიფე ჩემი გუდა-ნაბადი და წავედი მშობლიურ თელავში იმ იმედით, რომ გამოცდების ჩაუბარებლობის გამო დამტოვებდნენ იმავე კურსზე და მომეცემოდა შანსი მივჯდომოდი „იმ“ გოგოს გვერდში.

თურმე ატყდა „ერთი ამბავი“. გამოცდები დაიწყო და მე არსად ვჩანვარ. მეძებდა თურმე ყველა და მეძებდნენ ყველგან. მიუმართავთ მილიციისთვის. მათ მომაგნეს და მოახსენეს დეკანატს ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ. ჩამოვიდა თელავში დეკანატის წარმომადგენელი, მომნახა და ჯერ შემეხვეწა, მერე კი მუქარაზე გადავიდა, რომ თუ არ წავიდოდი გამოცდების ჩასაბარებლად, მაშინ ძალიან ცუდად მექნებოდა საქმე. ავუხსენი ვითარების არსი. უცნაურად ამხედ-ჩამხედეს და გამანებეს თავი.

ვერ გადამათქმევინეს, გავჯიუტდი კახურად. მთელი ზაფხული ფიზიკურ შრომაში გავატარე და ფულს ვაგროვებდი, რათა უსტიპენდიოდ დარჩენილს (ერთიდაიგივე კურსზე ვინ გაღირსებდა მეორედ სტიპენდიას. ეს გამორიცხული იყო) თავი გამეტანა, მითუმეტეს, რომ მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა.

შევედი ახალი მესამეკურსელების აუდიტორიაში და მივუჯექი გვერდში „იმას“.

„ჩემებმა“ (ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში) მირჩიეს, დამეწერა განცხადება და მიმემართა რექტორისთვის, რომ როგორც გამონაკლისი შემთხვევა, ერთხელ კიდევ დაენიშნათ (მოეცათ) სტიპენდია. ასეც მოვიქეცი და დაველოდე შედეგს.

ჩემს და „იმის“ ურთიერთდამოკიდებულებას სასიკეთო ელფერი მოეფინა, „იმის“ გულისთვის რომ დავრჩი კურსზე, ლამის მთელმა თბილისმა გაიგო – ზოგი მაქებდა, ზოგი სულელს მეძახდა, ზოგი დახმარებას მპირდებოდა, ზოგიც „იმ“ გოგოს „ძველი“ თაყვანისმცემლებისგან დაცვას და ა.შ.

ორი კვირის შედეგ დეკანატში დამიბარეს. მუხლების კანკალით მივეახლე. ოთახი სავსე იყო პროფესორ-მასწავლებლებით. ჩემს დანახვაზე სიცილის ტალღამ გადაუარა კაბინეტს.

დეკანმა დამაჯერებელი ტონით დაიწყო საუბარი და დამსწრეთ აუწყა: „...გუშინ გამომიძახა რექტორმა და მაჩვენა ამის (თითი ჩემსკენ გამოიშვირა) განცხადება...“ მერე დეკანი დეტალურად მოყვა უცნაურ ისტორიას და ბოლოს რაღაცნაირი სიამაყით და სიხ-

არულით გააცნო დამსწრეთ რექტორის, ნიკო კეცხოველის საბოლოო სიტყვა: „...ყოჩაღ, მაგარი ბიჭი ყოფილა. სიყვარულიც ასეთი უნდა; დაუნიშნეთ სტიპენდია, გაძლევთ უფლებასო“.

მე კი ასე ვიტყოდი: „...აი, რექტორიც ასეთი უნდა“.

მაისურაძე გივი

განათლების, ფიზიკური სიძლიერის და სიბეჯითის აქტიური პროპაგანდისტი, სამართლიანობის დამცველი და ურთიერთდახმარების აუცილებლობის მომთხოვნი და აღმსრულებელი, ბრწყინვალე სპორტსმენი (მოკრივე) და მეგობრული დამოკიდებულობის მებაირახტრე გივი მაისურაძე და მე ხუთი წელი ვცხოვრობდით თბილისის სტუდქალაქის ერთ ოთახში და თითქმის 35 წლის განმავლობაში მხარდამხარ ვმოღვაწეობდით გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. გარდაცვალებამდე (1992 წ. 6 ოქტომბერი) იგი იკავებდა ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების უფროსის თანამდებობას.

უამრავი რამ ვისწავლე მისგან და ბევრ რამეში მივბაძე მას. გივი მაისურაძე ჩემზე ძლიერი იყო ტექნიკურ საკითხებში და მეც ხშირად ვიღებდი მისგან დახმარებას, მითუმეტეს, რომ გორშიც ერთად ვცხოვრობდით კვლევითი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ოჯახების შექმნამდე.

გვიყვარს ხოლმე გამოთქმა – „ნამდვილი მეგობარიაო“. აი, სწორედ ასეთი გახლდათ გივი მაისურაძე. ერთხელ სტუდქალაქში კამათი მოგვივიდა წელიწადის თვეების ხასიათზე, ნიშნებზე, თვისებებზე და ა.შ. კითხვა იყო ასეთი – რომელი თვეა ყველაზე სტაბილურიო. ზოგმა აგვისტოო – სულ ცხელაო; ზოგმა დეკემბერი – ყოველთვის ცივაო... ამ მოსაზრებების მოწინააღმდეგეებიც აღმოჩნდენ და ამტკიცებდნენ აგვისტოშიც გვინახავს სიცივე და დეკემბერშიც – სითბოო.

მოკლედ კამათმა კულმინაციას მიაღწია და როგორც იქნა მასში ჩაერთო ბორჯომელი გივი მაისურაძე: „...გახსოვდეთ, რომ ყველაზე სტაბილური თვე არის მარტი, რადგან ყოველთვის „აჩმახებს“ და სტაბილურობაც ეს გახლავთო.

ნათელში ამყოფოს მისი სული.

მიშველაძე რეზო (რევაზი)

საქართველოს მწერალთა კავშირის (დღეს მწერალთა სახლის) თავმჯდომარე.

საპენსიო ასაკიდან, მეგობრების რჩევით (მითხრეს „რაღაც მონაცემები გაქვსო“) დავიწყე ლიტერატურული ცხოვრების ლაბირინთებში გარკვევა. ორიოდე წლის შემდეგ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე წილად მხვდა ბედნიერება, შევხვედროდი საყოველთაოდ ცნობილ მწერალ-ნოველისტს რევაზ (რეზო) მიშველაძეს.

ამბობენ, რომ ადამიანი წელიწადში დაახლოებით სამიათას ადამიანს ხვდებაო. თუ ასეა, მაშინ მე, თითქმოს ოთხმოცდაათწლიანი ასაკის, შეხვედრილი ვარ მეოთხედ მილიონზე მეტ პიროვნებას და პირველად შევხვდი კაცს, რომლისგანაც მკაცრი კრიტიკაც კი არ მწყენია.

რევაზ ბატონი ისე გაკრიტიკებს, ისე გაძლევს შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომ სიხარულით, როგორც იტყვიან ხოლმე „მეშვიდე ცას ეწვევი“.

თბილად, ღიმილით, იუმორით და ცხოვრებისეული ჭეშმარიტი არგუმენტების გამოყენებით, ისეთ ატმოსფეროში გამყოფებს, სამოთხეს რომ მოგაგონებთ. ახლა მასპინძლობის ზეადმატებულ უნარსაც თუ დავუმატებთ, რითაც იგი გამორჩეულია, მაშინ ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამგვარ შემოქმედთან მეგობრულ ურთიერთობას.

ჩემი კერძო მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ პროფესიით ფიზიკა-მათემატიკოსმა და ავტომატიზირებული მართვის სისტემების სფეროში მომუშავე მეცნიერ-მუშაკმა სულ რაღაც 20-25 წელიწადში დავწერე და გამოვეცი ორმოც წიგნზე მეტი ლიტერატურტის სხვადასხვა ჟანრში.

ამ, მე ვიტყოდი, შთამბეჭდავ მოვლენაში, დირიჟორის ჯოხი ეჭირა და უჭირავს ბატონ რევაზ მიშველაძეს.

უღრმესი მადლობა მას.

მუსხელიშვილი ნიკო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (მრავალი წლის განმავლობაში); სხვადასხვა ქვეყნების მეცნ. აკადემიების საპატიო წევრი; სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის მრავალჯერადი ლაურეატი, „დრეკადობის თეორიის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი და პოპულიზატორი. ლექციებს გვიკითხავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

ერთხელ, საგამოცდო სესიებზე (ოჯახური ტრაგედიის გამო), იძულებული ვიყავი მიმეტოვებინა თბილისი და წავსულიყავი მშობლიურ თელავში. სამ საგანში მრჩებოდა გამოცდა ჩასაბარებელი... ერთი საგნის გადატანა შეიძლებოდა სექტემბრისთვის, მაგრამ სამის?! წარმოუდგენელი იყო. მელოდა უსტიპენდიოდ დარჩენა (კურსზე დარჩენა) არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი...

ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა რომ გაიგო ჩემი ამბავი, მითხრა – ნუ გეშინია, რექტორს ვეტყვი და გამოსავალს ვნახავთო...

რექტორს უთხრა, გამოსავალი ნახეს და სამი საგნის ჩაბარება გადამივადეს.

სექტემბერში, რომ დავბრუნდი უნივერსიტეტში, პირველი, რაც მოვიმოქმედე ის იყო, რომ ვნახე ნიკო მუსხელიშვილი და დიდი მადლობა მოვახსენე...

ათი დღის შემდეგ თვითონ დამიბარა და მითხრა მადლობა, რომ სიტყვა და დანაპირები შევასრულე და 15 სექტემბრამდე წარმატებით ჩავაბარე გამოცდები სამივე დარჩენილ საგანში.

დამშვიდობებისას დაბალი ხმით და დამრიგებლური ტონით მითხრა: „...ჩემო ვახტანგ, ადამიანი მაშინ არის ძლიერი, როცა სხვისი ესმის და კიდევ უფრო ძლიერი, როცა აქვს დაუოკებელი სურვილი დაეხმაროს მას, როგორც შეუძლია, როდესაც უჭირს.

კარგად დაიმახსოვრე და გაითავისე, რაც გითხარი... ბედნიერი კაცი იქნები“.

გავითვალისწინე და ბედნიერი კაცი ვარ, რომ ახლოს ვიცნობდი მსოფლიოში ერთ-ერთ უგანათლებულეს ადამიანს.

დიდი მადლობა მას. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

ოთარაშვილი ვაჟა

ბედნიერად მიმაჩნია თავი იმით, რომ ვიცნობ ვაჟა ოთარაშვილს; უფრო მეტიც, არა თუ ვიცნობ, არამედ საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულებაც გვაქვს ლიტერატურის სფეროში, რითაც ვამაყობ.

უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო მრავალმხრივ ნაყოფიერ შემოქმედს, უმნიშვნელოვანესი სატელევიზიო პროგრამის (ტელეკომპანია „ობიექტივი“) ავტორსა და წამყვანს, მრავალი ისტორიული წიგნის ავტორს, მეცნიერების დოქტორს, პუბლიცისტს და, საერთოდ, საამაყო პიროვნებას ჩემი მოკრძალებული ლიტერატურული შემოქმედების წარმოჩინებისათვის.

მახსოვს, ერთხელ, ბატონ ვაჟას ვთხოვე ჩემი ახალი ლექსისთვის გადაეხედა და შეესწორებინა და დაეხვეწა. წაკითხვის შემდეგ მეგობრულად მირჩია – „...გახსოვდეს, სხვისი ლექსის შესწორება არ შეიძლებაო...“

ჯერ გამიკვირდა, მერე კი მივხვდი, რომ ბატონი ვაჟა ცამდე მართალი იყო.

უღრმესი მადლობა თქვენ, ბატონო ვაჟა.

ტურიაშვილი ალექსანდრე

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში ძალიან მიყვარდა (1951-1957) წარმოდგენების ნახვა. ბევრი მსახიობის (ი. მოსაშვილი, ვ. სალარიძე, ა. ტურიაშვილი, ბეგაშვილი და სხვა) სიმღერა ძალიან მომწონდა და ვცდილობდი დამემახსოვრებინა ტექსტიც და მელოდიაც, მაგრამ წარმოდგენებზე დასწრებას ვერ ვახერხებდი უფულობის გამო. დამეხმარა ალექსანდრე, რომელიც დეიდაჩემის მეგობრის შვილი აღმოჩნდა. ჩუმად შემაპარებდა ხოლმე კულისებში და მეც ვტკბებოდი მუსიკით.

დიდი მადლობა მას. ნათელში იყოს მისი სული.

ტაბიძე გალაკტიონი

თბილისის სტუდქალაქში მცხოვრები (რაიონიდან ჩამოსულები) სტუდენტების უმრავლესობა ვცდილობდით შაბათი და კვირა გამოგვეყენებინა ჩვენთვის უცნობი გეოგრაფიული სივრცის (დედაქალაქი და მის გარშემო გადაჭიმული სივრცეები, ისტორიული არქიტექტურული კომპლექსები, მინდორ-ველები, ტყეები და ა.შ.) დასათვალიერებლად და გასაცნობად, თუ რაღა თქმა უნდა, არ ვიყავით წასასვლელები საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩზე.

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს გადავწყვიტეთ (მე, მიშა საგინაშვილმა, გურამ მექანარიშვილმა და იუზა კვინიკაძემ) მოგვენახულებინა თბილისის ერთ-ერთი ისტორიული, უაღრესად მიმზიდველი ე.წ. „აბანოთუბანი“.

დაღლილ-დაქანცულებმა და კმაყოფილებმა, როგორც წესი, გეზი ავიღეთ ერთ-ერთი ღვინის სარდაფისკენ, სადაც კარგად იციან ხოლმე სტუდენტური ჯიბის შეფასება და არც ტკბილ სიტყვებს რომ არ იშურებენ.

გზად, ჩვენს წინ, ტროტუარზე მიმავალი საკმაოდ მოცულობითი მამაკაცის სიარულის მანერა მეცნო. ხელში დიდი ჩანთა ეჭირა და ოდნავ წელში გადახრილი, შარვლის განიერი ტოტების ფრიალით, ნელი ნაბიჯებით გადაადგილდებოდა. უცბათ დიდი სიხარული მეწვია. ის კაცი გალაკტიონი იყო, ტაბიძე, სულ რამდენიმე თვის წინ თელავში შევხვდი, როცა იგი სტუმრად იმყოფებოდა თელავის რაიკომის პირველი მდივნის, გიორგი სეხნიაშვილის ოჯახში (მე ბავშვობიდან ვმეგობრობდა ამ ოჯახის ორ ვაჟიშვილთან, გურამთან და ჯემალთან).

ბიჭებს ხმადაბლა ვახარე – ნახეთ, გალაკტიონი ჩვენს წინ მიაბიჯებს. არ სჯეროდათ, რომ ისეთ ლეგენდა კაცს, როგორიც ტაბიძე გახლდათ, ასე უბრალოდ ქუჩაში ნახავდნენ.

გაოცება კი წინ გველოდა. გალაკტიონი იმ სარდაფის ხის კიბეებს ჩაუყვა და გაუჩინარდა, სადაც ჩვენ ვაპირებდით ცარიელი კუჭების ამოვსებას. წაგვიხდა ხასიათი. კაპიკ-კაპიკ გვქონდა ყველაფერი გათვლილი და აწონილ-დაწონილი. სხვა დუქანში, თუ

სასადილოში ვერ დავკმაყოფილდებოდით. მეორეს მხრივ, გალაკტიონის გვერდით ყოფნა ძალიან მაცთუნებელი გახლდათ და გადაწყდა ჩავსულიყავით.

ჩავედით თუ არა, წინ შეგვეგება ტუჩებზე საჩვენებელი თითმიდებული მიმტანი დასადღაც, ნახევრადბნელი კუთხისკენ მიგვითითა. მივედით, დავსხედით, მივიხედ-მოვიხედეთ...

ჩვენგან შორეულ კუთხეში პატარა, მრგვალ მაგიდასთან იჯდა გალაკტიონი, გვერდით ედო ჩანთა, საიდანაც დროდადრო იღებდა რაღაც ქაღალდებს, ათვალიერებდა და უკან აბრუნებდა. კიდევ ამოიღებდა, წაიკითხავდა ან უბრალოდ თვალს გადაავლებდა და ისევ ჩანთაში სდებდა... მერე რაღაცას დაწერდა ქაღალდზე, ბოთლიდან ჭიქაში ჩამოასხამდა და მიირთმევდა ორიოდ ყლუპ ღვინოს, წვერებზე ხელს ჩამოისვამდა და ისევ მიუბრუნდებოდა ჩანთას, ქაღალდებს, კალამს და ა.შ.

ჩაწეული ხმით ვსაუბრობდით, რათა ხელი არ შეგვეშალა. ერთხელად არ გამოუხედავს ჩვენსკენ.

გურამმა იდეა შემოგვთავაზა – მოდი და ვადღეგრძელოთო. მე მთხოვეს სავსე ჭიქით მივსულიტავი მასთან და ჩვენი მაგიდის სახელით მედღეგრძელებინა ყველასთვის საამაყო პოეტი.

მიცნო, ძალიან გაიხარა, გაიხსენა თელავური სუფრა, ჩემი სოლო სიმღერები და მადლობა გვითხრა სადღეგრძელოსთვის.

დაახლოებით საათნახევრის შემდეგ თავისთან მიიხმო მიმტანი და ყურში რაღაც უჩურჩულა. მერე ჩაალაგა ჩანთა, ნელი ნაბიჯებით მოგვიახლოვდა ფეხზე წამომხტარებს და დაბალი ხმით დაგვმოძღვრა:

„...ვუსმენდი თქვენს სადღეგრძელოებს; მკაფიოდ მესმოდა თქვენი სიტყვები... ახლა კი კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი – სამშობლოს სიყვარული ნიშნავს: მაღალი დონის განათლებას, რათა რაც შეიძლება მეტი სასიკეთო საქმე გაუკეთო შენს ქვეყანას და მშობლიურ ხალხს“.

ე.წ. შლიაპა გაისწორა, შეტრიალდა და მძიმე ნაბიჯებით გაეშურა სარდაფიდან ასასვლელ კიბისაკენ.

ნახევარი საათი კიდევ დავრჩით ჩვენთვის სასიამოვნო გარემოში, ბოლომდე გამოვცალეთ სასმისები, მერე მოვიჩხრიკეთ ჯიბეები და მოვიხმეთ მიმტანი...

ლამის სირბილით მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და გვახარა – ბიჭებო, გალაკტიონმა გიმასპინძლათ; ასე მითხრა „ჩემზე იყოსო“.

გაოცებისგან პირები დავაღეთ...

ჩემო იმქვეყნად წასულო ძმებო იუზა, მიშა და გურამ, არასდროს დაგივიწყებთ არც თქვენ და არც დიდ გალაკტიონს – ქართველთა საამაყო პიროვნებას.

დიდი მადლობა დიდ პოეტს.

ქუჩაში ვნახე გალაკტიონი
(ნატვრა ამიხდა მაისის თვეში),
იქ, სადაც ბრწყინავს თავად სიონი
და ნარიყალა ჩამდგარა კლდეში.
დუქნის ღრმა კიბეს ჩაუყვა უტყვად,
სულგანაბულმა ვადევნე თვალი...
ამბობენ, ლექსებს მაშინ წერს უკვდავს,
ოდნავ როცაა „კახურით“ მთვრალი.

ფურცელაძე თენგიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლიდა ფიზკულტურას (1951-1953 წ.წ.).

ცნობილია, რომ აუცილებელი იყო სტუდენტების ფიზიკური ვარჯიშებით დაკავება და შემდგომში (პირადი მონაცემების შესაბამისად) ამათუიმ სპორტულ სექციებში ჩართვა.

ჩემი ჯერი რომ დადგა, კომისიის წევრებმა ბევრი ამხედ-ჩამხედეს, ერთმანეთს რაღაც-რაღაცეები ურჩიეს, მხრები აიჩეჩეს და რაღაცის თუ ვიღაცის მოლოდინში გაისუსნენ.

თენგიზ ფურცელაძემ სთქვა – გრძელი თითები აქვს, კალათბურთში გავუშვათო. ყველა დაეთანხმა. ორი წლის შემდეგ გავხდი უნივერსიტეტის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი.

მოგვიანებით მოხდა ისე, რომ გორში ჩემს ვაჟიშვილს საშუალო სკოლაში თენგიზის და, ქალბატონი ქეთევანი ასწავლიდა წლების განმავლობაში.

ციციშვილები ჯემალი და რევაზი

საქართველოში ცნობილი ექიმები (მამა-შვილი). ისინი დედაჩემის მხრიდან (თამარ გოცირიძე) არიან ჩვენი ოჯახის ნათესავები.

ჯემალ ციციშვილმა (მეცნიერების დოქტორი, პროფესორი) ცნობილ მეცნიერ ჟორდანიასთან ერთად თბილისში საფუძველი ჩაუყარა ქალთა ფეხმძიმობისა და მშობიარობის პრობლემების შემსწავლელ სამედიცინო ცენტრს და სულ მოკლე ხანში მიაღწიეს მსოფლიო აღიარებას.

მამა-შვილი ციციშვილები სისტემატურად მეხმარებოდნენ მატერიალურად სტუდენტობის წლებში.

უღრმესი მადლობა მათ.

ჭაბუკიანი ვახტანგი

1955 წელი იდგა. მე და ჩემი თანაკურსელები მოსკოვის აეროპორტში ველოდით ლენინგრადის რეისს, საიდანაც მივემგზავრებოდით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად. უცბათ შევამჩნიე აეროპორტის ვესტიბიულში შემოსული წყვილი, რომელიც მხიარული საუბრით მიემართებოდა დარბაზის სიღრმეში. თვალებს არ ვუჯერებდი – წყვილში ამოვიცანი მსოფლიოში ცნობილი ბალერონი ვახტანგ ჭაბუკიანი (ჩემი სეხნია) და მისი განუყრელი მეწყვილე ვერა წიგნაძე.

უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მიყვარს საოპერო სფერო... ხუთი სტუდენტური (თსუ) წლის განმავლობაში არცერთი სპექტაკლი არ დამიტოვებია უნახავი. მართალია, ბილეთის ფული ყოველთვის არ მქონდა, მაგრამ საჭმელს ვიკლებდი, ვალიც ხშირად ამიღია, მაგრამ ოპერისა და ბალეტის თეატრის ყველა სპექტაკლი ნანახი და მოსმენილი მქონდა. განსაკუთრებით მომწონდნენ საგასტროლოდ ჩამოსულები და მათ შორის უპირველესი (ჩემი აზრით) „კარმენი“, დავიდოვას სახით.

ოპერის თეატრის კარებში მდგომი ე.წ. „შვეიცარები“ კარგად მიცნობდნენ. განსაკუთრებით გულთბილად მხვდებოდა ჭაღარაულვაშა ძია სოსო, რომელმაც რამდენჯერმე უბილეთოდ შემიშვა და გამაფრთხილებდა ხოლმე – სადმე კუთხეში მიიმალე და ისე მოისმინე, თვალებში არავის შეეჩხიროო.

ბედნიერად ჩავთვალე ჩემი თავი, რომ ასე ახლოს ვიხილე ჩემი სეხნია და მისი გენიალური მეწყვილე. ბიჭებო – მივმართე „ჩემებს“, ახლავე მოვალ, არ დაიფანტოთ-მეთქი და სირბილით გავეშურე აეროპორტის შენობის წინა მოედანზე, სადაც უმრავი სუვენირი, საჩუქრები და ყვავილები იყიდებოდა.

სწრაფად შევიძინე ერთი დიდი და ლამაზი ყვავილების თაი-

გული და ასევე სირბილით შევვარდი ისევ მოსაცდელ დაბრაზში, სადაც მეგულებოდა ბალეტის მაღალი დონის ოსტატების წყვილი.

ვახტანგ ჭაბუკიანს სახელით მივმართე და მის პარტნიორს თაიგული მოწიწებით გავუწოდე.

გაოცებისა და სიხარულის მოვარდნილმა ტალღამ დარბაზში მყოფთა ყურადღება უმალ მიიქცია.

ბევრმა იცნო ჭაბუკიანი და ატყდა ერთი ტაშის კვრა და ოვაციები.

ჭაბუკიანი და წიგნაძე დაინტერესდნენ ჩემი პიროვნებით და დეტალურად გამომკითხეს ყველაფერი, რაც ჩემს სწავლას და განსაკუთრებით ოპერისა და ბალეტის სიყვარულს ეხებოდა. აღფრთოვანებულები მისმენდნენ.

დადგა გამომშვიდობების უამიც.

ვახტანგმა ხელი დამიქნია და მომთხოვა – აუცილებლად მნახე, როცა პრაქტიკიდან დაბრუნებიო.

სიხარულით ცას ვეწიე.

მოხდა ისე, რომ ოთხი თვე თბილისში არ ვყოფილვარ. სექტემბრის ბოლოს „რუსთაველის“ კინოთეატრიდან გავყევი რუსთაველის პროსპექტს. ოპერის წინ გამოეკრათ ახალი სეზონის მაუწყებელი აფიშა.

გავვოცდი, როცა ვნახე, რომ სულ რამდენიმე დღეში თბილისში საგასტროლოდ ჩამოდიოდა კარმენის როლის ერთ-ერთი მაღალი დონის შემსრულებელი დავიდოვა.

გავიხედე კარებისაკენ. ძია სოსო ხელს მიქნევდა და მეძახდა – ჩქარა, მოდი ჩემთან, უნდა გაგახაროო.

მართლაც გამახარა. ვახტანგ ჭაბუკიანს ჩემს სახელზე დაუტოვებია ოპერისა და ბალეტის თეატრში ნებისმიერ სპექტაკლზე უფასო დასწრების ორწლიანი ე.წ. აბონემენტი.

ვინც იცის, რამდენ შიმშილს და რამდენი ვალის აღებას გადამარჩინა დიდმა სეხნიამ.

არდავიწყება მის სახელს.

ქურდაძე ალექსანდრე (შურა)

წლების განმავლობაში იყო „სამტრესტის“ (მევენახეობა-მეღვინეობის რესპუბლიკური ორგანო) მმართველი.

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში გახლდით კვების მრეწველობის განყოფილების უფროსი. ვხელმძღვანელობდი (მათ

შორის მეღვინეობაში) ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის სამუშაოებს.

ახალი მმართველი გვეწვია სტუმრად (ჩვენი სამუშაოების თითქმის 80% სრულდებოდა „სამტრესტთან“ ხელშეკრულების საფუძველზე). როგორც წესი, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სტუმრებს გავუმასპინძლდით. მე თავს უფლება მივეცი და ხუმრობით მივმართე მაღალი რანგის სტუმარს – ბატონო შურა, იმედი მაქვს, თქვენი ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მივაღწევთ მეღვინეობის დარგში-მეთქი. არ დამავიწყდება პასუხი – „აბა, კახელ კაცს მე როგორ უნდა გასწავლო კარგი ღვინის დაყენებაო“.

შურა ქურდაძეს ძალიან მოეწონა „ჩემი“ განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შემდეგ წლებში თითქმის გაგვიორმაგა შეკვეთები და რაღა თქმა უნდა, დაფინანსებაც, რაც ჩემს ავტორიტეტის ამაღლებაზე „ასხამდა წყალს“.

დიდი მადლობა თვალსაჩინო მოღვაწეს.

ხარაძე არჩილი

მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, უმაღლესი დონის მათემატიკოსი. საოცრად მოწესრიგებული პიროვნება.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მას ლექციების წაკითხვას ავალებდნენ მხოლოდ პირველ კურსზე, იმ გაანგარიშებით და მოსაზრებით, რომ მას სხვადასხვა რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსულები, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული ცოდნის დონე, კუთხური კილოკავები, სხვადასხვა გენეტიკური თავისებურებები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პირობებში შეძენილი ჩვევები ჰქონდათ – მიეყვანა ერთიან სტანდარტებამდე და ერთნაირ მსოფლმხედველობამდე იმ სფეროებში და იმ საკითხებში, ისეთი ოდენობითა და ისეთი ხარისხით, სადაც და როგორადაც ამას მოითხოვდა მოქმედი საზოგადოებრივი ფორმაცია და ეროვნულ-ისტორიული ტრადიციების და საყოველთაო ეთიკის ნორმები.

როგორც ერთწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა (ჩვენ, უკვე მეო-

რე კურსელებს) მას, პროფესორ არჩილ ხარაძეს ყველაფერი ძალიან კარგად გამოსდიოდა. ჩვევა ჰქონდა ყოველი ლექციის მიწურულს (ეს კი ხდებოდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, უმაღლეს მათემატიკის ლექციაზე) დაეხედა საათზე და ზუსტად ხუთი წუთი დაეთმო ჩვეულებრივი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხებისათვის (მეტწილად კულტურისა და აღზრდის სფეროდან). კერძოდ, გვასწავლიდა და დეტალურად გვირჩევდა, როგორ მოვქცეულიყავით ამათუმ სიტუაციაში. მაინც რა გვასწავლა (უმაღლესი მათემატიკის გარდა) 5-წუთიან ინტერვალებში პროფესორმა არჩილ ხარაძემ: მისალმებისა და გამომშვიდობების წესები და კულტურა; მერხთან ჯდომის წესი; მერხზე სასწავლო ინვენტარის განლაგება; ფანქრის გათლის წესი და ხერხი; კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლის წესი ქალბატონების თანხლებით; წიგნისა და რვეულის გადაფურცვლის წესი; სტუმრობისა და მასპინძლობის წესები; დროის ეკონომიური ხარჯვა; დაბადების დღის თუ სხვა საზეიმო თარიღების მილოცვის წესი და ადათი; ავადმყოფის მონახულების ნორმები და წესები; ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის არეალში ყოფნისა და ქცევის მანერები; თეატრში ან სხვა კულტ-საგანმანათლებლო ორგანიზაციაში ქცევის წესები; სუფრასთან ქცევის წესები (როგორ მივირთვათ წვნიანი, რითი და როგორ ავიღოთ და გამოვიყენოთ მარილი), კერძის საერთო ჭურჭლიდან შენთვის სასურველი დოზის გადმოღების წესი; წესები და ჩვევები საიმისოდ, რომ ყველა ნივთს უნდა მიეჩინოს „თავისი“ ადგილი; ტელეფონით საუბრის კულტურა; წიგნში საინტერესო ადგილების ჩანიშვნის (დაფიქსირების) ხერხები; ტერმინოლოგიის შერჩევა საინტერესო მოვლენების აღწერისას; დითირამბებისგან თავშეკავება აუცილებელი გამონაკლისის შემთხვევის გარდა; პირობის შესრულება; მეზობლებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობები ასაკის გათვალისწინებით; იუმორის გამოყენების დოზები და არეალი; დავალების შესრულება და მისი ფიქსირების ფორმები და ა.შ. და ა.შ. რა გამოლევს მსგავს საკითხებს?!

მადლობა, ბატონო არჩილ! ვთვლი, რომ ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან.

გეოგრაფიული სივრცე

გორი
(1957-2022)

აბრამიშვილი რეზო

ქ. გორის ერთ-ერთი წარმატებული სამეურნეო მუშაკი. ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა მოაგვარა გაზმომარაგების საქმეში და მთელს რეგიონში საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგებაში.

სამეგობრო პიროვნება. მრავალჯერ ამომიდგა მხარში. ხშირად უთქვამს: „შეუპოვრობა წარმატების საწინდარიაო“.

აბრამიშვილი ვაჟა



ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პარტიული ლიდერი.

მრავალი ისტორიული კვლევისა და წიგნის ავტორი.

უყვარდა მეგობრულ ატმოსფეროში მოლხენა. გამოირჩეოდა იუმორით.

არაერთხელ გამიწია რეკომენდაცია სამსახურებრივი კარიერის მაღალი საფეხურების დაკავების საქმეში.

მოსწონდა პატრიოტული შემართების ადამიანები.

დიდი წვლილი მიუძღვის გორიჯვრის კომპლექსის აღდგენა-აღორძინების საქმეში.

აბულაძე ლეონიდე (ლენო)

ლენო აბულაძე გახლდათ მაღალი დონის მეცნიერ-ქიმიკოსი. გავიცანი 1960-იანი წლების დასაწყისში გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. იგი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიას. უყვარდა ე.წ. „ჩაკირკიტებული“ მუშაობა. მისი ყურადღება სწვდებოდა ყოველ წვრილმანს. უყვარდა თანამშრომლებთან მოლხენა, განსაკუთრებით ექსკურსიებზე.

მეხმარებოდა ქიმიური პროცესების ნიუანსების გარკვევაში. გამოქვეყნებუ-

ლი აქვს სამეცნიერო შრომები.

ლენო აბულაძე გამოირჩეოდა კომუნიკაბელურობით. იყო გულთბილი და მზრუნველი ყველას მიმართ. აღმერთებდა ოჯახს.

მეზობლები (გორი, სტალინის 24) დიდ პატივს სცემდნენ მაღალი შინაგანი კულტურის მატარებელ კაცს.

ლენო აბულაძე იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. მიღებული ჰქონდა ორდენები.

მუდამ მხარში გვედგა მეზობლებს.

მადლობას მას.

ავაზნელი ხათუნა

20 წელიწადიც არ იქნება, რაც იგი გავიცანით მე და ჩემმა მეუღლე ირამ.

რამდენჯერმე დაგვზილა და მოგვეფერა თავისი უნიკალური მალამოთი და ძლიერი თითებით.

ყოველი ვიზიტის შემდეგ თავს უფრო და უფრო კარგად ვგრძნობდით.

ერთხელ მეუღლემ მითხრა – მალამოზე მეტად, მგონი მისი ადამიანური „მე“ უფრო მიხდება, ვიდრე მალამოო.

მართლაც ძლიერი აურის პატრონი გახლავთ მრავალ ცხოვრებისეული პრობლემების მზიდი ქალბატონი ხათუნა, რომელიც დღესაც (ბებიის რანგშიც კი) ახალაგზრდა გოგონასავით გამოიყურება და „თავისი“ მალამოთი, ჯადოსნური თითებით და რაც ყველაზე მთავარია – სიკეთის კეთების მოზღვავებული სურვილით რომ ირჯება დღედაღამ.

მადლობა ხათუნას ჩემი ოჯახის სახელით.

„...კვლავ შენი ქების წადილს
ორიოდ სიტყვა მოაქვს...
რომ უფრთხილდები მანდილს,
უშრეტი ძალა რომ გაქვს...“

ამბროლაძე ნინო

ბედ-იღბალმა შემახვედრა ჩემი მეუღლის დაქალის, ეკატერინე ამბროლაძის (მუშაობდა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში, ბუღალტერიაში) შვილიშვილთან, ქალბატონ ნინო ამბროლაძესთან, რომელმაც სადარბაზოში, სადაც მე ვცხოვრობ, გახსნა

კომპიუტერული მომსახურების მცირე ობიექტი.

მე, როგორც ლიტერატურის სფეროში მომუშავეს, ხშირად მჭირდება მისი ტექნიკური დახმარება, რასაც იგი აკეთებს ყოველგვარი ანგარების გარეშე (ტექსტების ამობეჭდვა, ქსეროქსი, ფოტო, საინტერესო მასალების მოეძებნა და ა.შ.). შიგადაშიგ მეხმარება საოჯახო მეურნეობის მოწესრიგებაში. მეც, ჩემის მხრივ, შეძლებისდაგვარად, ვუდგავარ მხარში ოთხი შვილის დედას.

ბარაქალა მის 24-საათიან შრომაგარჯას. ღმერთმა არ მოაკლოს სიკეთე და წარმატება.

ამ ბოლო დროს, მან გადაინაცვლა სამუშაოდ სულ რაღაც ასიოდე მეტრით, უკეთესი სამუშაო გარემოს მქონე ოფისში, რითაც გული დაგვწყვიტყა ყველას, ვისაც მასთან ჰქონდა საქმიანი ურთიერთობები ისევ და ისევ კომპიუტერული მომსახურების სფეროში.

ნინო გახლავთ საოცრად ენერგიული და მეგობრების მოყვარული ადამიანი.

ბექაური გენო



კვების მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი. საკონსერვო ტექნოლოგიებისა და მანქანა-დანადგარების უბადლო დიდოსტატი. იუმორით დაჯილდოებული. სამეგობროს მოყვარული.

წელიწადნახევარი ვიმუშავე გორის საკონსერვო გაერთიანებაში მისი ხელმძღვანელობით (გახლდათ მთავარი ინჟინერი).

გენო დამეხმარა და წარმოებაში დავნერგეთ რამდენიმე რაციონალური წინადადება.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

ბიძინაშვილი აკაკი



ამონარიდი ჩემგან მიძღნილი ლექსიდან:

„...ხალხმრავალ ოჯახს უვლი და ბორგავ,
ნატრობ, რომ გქონდეს ათასი ხელი,
ხან უვლი გუთანს, ხან ჩარხავ ბორბალს,
ხან ეძებ ტრაქტორს, ხან ამინდს ელი.
.
.
.
ქურდი, მლიქვნელი, თუ ავაზაკი,
მჯერა, გულწრფელად – დაგაკლებს ვერას...
და მართლაც მიკვრის, ჩემო აკაკი,
როდისდა ასწრებ ლექსების წერას?!“

ჩემი საავტორო წიგნების თითქმის ნახევარი მისი რედაქტორობით არის გამცემული, რაც დიდ შრომასა და პასუხისმგებლობას ნიშნავს (ყველა როდი იწუხებს თავს).

დახმარება და მხარში დგომა – ამას ჰქვია.

დიდი მადლობა მას. ძალიან მომწონს (და ვცდილობ მივბაძო, მაგრამ არ გამომდის) მისი ე.წ. „ვიწრო“ ლექსები (ვუწოდებ ისეთ ლექსებს, რომელთა ტაეპებში მარცვალთა რაოდენობა არ აღემატება 8-10-ს). კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას. მისი ათასობით ლექსის ალბათ 80 პროცენტი სწორედ რომ ე.წ. „ვიწრო“ ლექსია, რომელიც (ჩემი აზრით) მეტად ძნელი დასაწერია გარითმვის თვალსაზრისით. აკაკი ბიძინაშვილის ლექსების უდიდეს უმრავლესობაში ტაეპებში მარცვალთა რაოდენობა 7-სა და 10-ს შორის არის. ასეთი ლექსი (რომ იტყვიან ხოლმე) ნაკადულივით მორაკრაკებს. მასში გაზრდილია მუსიკალურობის მდგენელი და სასიამოვნო მოსასმენი გახლავთ.

„ბრავო“, ბატონო აკაკი.

ბიძინაშვილი ამირანი

პარტიული მუშაკი (გორის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი) ცოდნისა და გამოცდილების მაღალი დონით. დაუზარელი და პრინციპული. არასოდეს დამავიწყდება მისი მხარში დგომა, როდესაც ვმუშაობდი გორის ლუდ-ლიმონათის ქარხანაში, საკონსერვო გაერთიანებაში, ინვალიდების სასწავლო-საწარმოო წამოწყებაში და სხვა. მაქებდა და მეხმარებოდა.

დიდი მადლობა მას, რომ მეცნიერების თეორიული სფეროდან წამოსულს შემასწავლა პრაქტიკული მოღვაწეობა.

ბრაგვაძე ოლია
(მწერალი, ხელოვანი)

ქალბატონი ოლია გახლავთ სიდინჯითა და ცხოვრებისეული სიბრძნით გამორჩეული პიროვნება.

გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი. შექმნილი აქვს ასეულობით მხატვრულ-ნაქარგი ტილო, რომლებიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს საზოგადოებაში.

განსაკუთრებით მოსაწონია მისი დახვეწილი მსჯელობა. არასოდეს დამავიწყდება მის მიერ ნათქვამი სიტყვები – „...ბოროტებას სწრაფად უნდა განერიდო, თორემ შესაძლოა შენც ჩაგითრიოსო...“ და კიდევ – „...ბოროტებასთან შერიგება დიდი ცოდვააო...“

მადლობა თქვენ, ქალბატონო ოლია, იმ თბილი დამოკიდებულებისათვის, ათეული წლების განმავლობაში რომ იჩენთ ჩემს მიმართ.

გაგნიძე ნინო

ულამაზესი ქალბატონი, რომელიც ჩემს ოჯახს დაუახლოვდა და დაუმეგობრდა კარის მეზობლის, ნანა კვარიანთაშვილის რეკომენდაციით და სურვილით.

ოცდაათიოდე წლის წინ, ვინ იცოდა, რომ ნინო გაგნიძე გახდებოდა ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი მფარველი ანგელოზი – მან მთელი თავისი პროფესიონალიზმი (გორის სამხედრო ჰოსპიტალის სამედიცინო პერსონალის წევრი) და პირველ რიგში ადამიანური სითბო და მზრუნველობა არ მოაკლო ჩემს მეუღლეს, როცა ირა, ავადმყოფობის გამო, ხშირად ხვდებოდა ჰოსპიტალში.

ნინო გაგნიძისგან ნიაღვარივით მოედინება ის კეთილგანწყობა, ის ადამიანური ძლიერი სურვილი გაჭირვებულის მხარში დგომისა და საოცრად თბილი ურთიერთობის უნარი, რომელიც ადამიანებს მატებს ენერგიას, უფრო საინტერესოს ხდის ცხოვრებას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია – განამტკიცებს სამომავლო იმედებს.

დიდი მადლობა შენ, ჩვენი ნინო, მხარში დგომისათვის.

ღმერთმა სიკეთით გამყოფოს ჩემო დაიკო.

გამსახურდია ტრიფონი

უაღრესად კეთილი ადამიანი გახლდათ. იგი ცხოვრობდა იმავე სახლში, სადაც მე. ყოველგვარი ოფიციალური მიმართვების გარეშე ყურადღებას აქცევდა და უანგაროდ მკურნალობდა 42-ბინიან სახლში მცხოვრებ მეზობლებს. განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები, მათ შორის ჩემი ორი ვაჟიშვილიც.

სამსახურიდან დაბრუნებული ჯერ ავადმყოფ ბავშვებს მოინახულებდა, მერე მიდიოდა სახლში.

რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის – „კარგია, როდესაც მაღალ დონეზე ფლობ რაიმე პროფესიას, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ „მთავარია ფლობდე ადამიანურობის პროფესიასო...“.

დიდება შენს ხსოვნას, დიდებულო ადამიანო.

გარდაფხაძე რუსუდანი

ჩვენ დიდი მეგობრობა არ გვაკავშირებს, მაგრამ ცხადია ის, რომ კეთილშობილურად ვართ განწყობილნი ერთმანეთის მიმართ და ეს არაერთხელ დამტკიცდა.

მიმაჩნია და ვფიქრობ სამართლიანადაც, რომ ქალბატონი რუსუდანი თავისი განათლებულობით, ადამიანური ღირსება-თვისებებით და დიდი შრომისმოყვარეობით მყარად იკავებს მაღალ პოზიციებს გორის (და არამარტო გორის) ინტელიგენციის ორბიტაზე.

ჩვენი საქმიანი ურთიერთობა დაიწყო იმით, რომ გამოსაცემად გამზადებული საავტორო წიგნის ხელნაწერი მივუტანე და ვთხოვე გადაეხედა და თავისი აზრი გაეზიარებინა.

რუსუდან გარდაფხაძე მეუღლესთან - ზაურ საგანელიძესთან ერთად

დამპირდა დახმარებას და მოითხოვა 2-3 დღე.

გამაოცა მისმა პასუხისმგებლობამ და მაღალმა პროფესიონალიზმმა. უამრავი უზუსტობა აღმოაჩინა, აკურატულად ჩამოწერა და სათითაოდ განიხილა ჩემთან ერთად. შენიშ-

ვნები ეხებოდა ორთოგრაფიის სფეროს. იმდენი რამ ვისწავლე იმ რამდენიმე საათში, რომ გაკვირვებული დავრჩი; არ მეგონა, თუ იმ რაოდენობის შეცდომებს დავუშვებდი, რაც ქალბატონმა რუსუდანმა შენიშნა (სიტყვის არასწორი გადატანა; სასვენი ნიშნების არგამოყენება ან გამოყენება უადგილოდ; აბზაცის მნიშვნელობა; მრავალწერტილის გამოყენება; სინონიმების შერჩევა და გამოყენება; სქოლიოს აუცილებლობის შემთხვევები და ა.შ. და ა.შ.).

ჩემს შემდეგ საავტორო წიგნებში, აშკარად გამოიკვეთა ქალბატონ რუსუდანის „გაკვეთილების“ სასიკეთო შედეგები – ან საერთოდ აღარ მქონდა უხეში შეცდომები, ან თუ იყო – ძალიან ცოტა.

უღრმესი მადლობა, ქალბატონო რუსუდან.

არასოდეს დამავიწყდება თქვენი და-ძმური დახმარება.

თქვენ მტკიცედ დგახართ ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე; ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ მეტად მნიშვნელოვან და ისტორიული მნიშვნელობის საქმეში.

გოგორიშვილი ნინო

ბავშვებს, როგორც წესი, არ უყვართ ექიმები. მე, რატომღაც პატარა ასაკიდანვე დიდ პატივს ვცემ მათ და მათ შრომას; შეიძლება ეს გამოწვეული იყო და არის იმით, რომ დაობლებულს ე.წ. უბნის ექიმი (მაშინ რა ერქვა, არ ვიცი) უფრო მეტ ყურადღებას მითმობდა და მეტს მეფერებოდა, ვიდრე მეზობლის ბავშვებს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, პატარაობიდან მიყვარდნენ და პატივს ვცემდი (დღესაც ვაგრძელებ ამ „ტრადიციას“) თეორხალათიან ქალბატონებს თუ ბატონებს, რომლებიც თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევენ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას და შეუფერხებლად გაგრძელებას.

მე, შეიძლება ითქვას, ბედმა გამიღიმა – ოთხივე სასიცოცხლო გეოგრაფიულ სივრცეში (თელავი, გურჯაანი, თბილისი, გორი) დაახლოებით 40-50 ექიმთან მქონდა შეხება და ყველა გამორჩეული იყო, როგორც პროფესიონალიზმით, ისე ადამიანური, უმაღლესი დონის დამოკიდებულებით და პასუხისმგებლობით და რაღა თქმა უნდა, გაქათქათებული თეორი ხალათებით.

არ მეგონა, თუ ექიმებს შორის გამოჩნდებოდა კიდევ ისეთი ვინმე, რომ შესძლებდა ჩემს გაოცებას (ამდენის მნახველს და განც-

დილს), მაგრამ შევცდი... მოხდა ის, რაც მოხდა...

დაახლოებით 18-20 წლის წინ შევხვდი პირველად ქალბატონ სამხედრო ექიმს (თანაც საკმაოდ მაღალი წოდებით), როდსაც მასთან, გორის სამხედრო ჰოსპიტალში მივიყვანე გამოსაკვლევად და სამკურნალოდ ჩემი მეუღლე – ირა, რომელსაც მძიმე და სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებები აწუხებდა.

არ ვიცი, როგორ აღვწერო სამხედრო ექიმ ნინო გოგორიშვილის და მისი კოლეგების მიერ შემუშავებული სამკურნალო პროგრამის ნიუანსები, მაგრამ ფაქტია ის, რომ ჩემს მეუღლეს გაუხანგრძლივეს სიცოცხლე, მართლაც რომ თეთრხალათიანმა მფარველმა ანგელოზებმა და, ზოგადად, ქალბატონი ნინოს შესახებ შემიძლია გამოვთქვა ჩემი შეხედულება და მოსაზრება შემდეგი სიტყვებით: ის არის მაღალი დონის სპეციალისტი, შემკული ასევე მაღალი დონის ადამიანური ნიშან-თვისებებით და, რაც ყველაზე მთავარია – თავმდაბალი, უშუალო, მომღიმარი და საქმიანი.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო ის, რომ მას შეუძლია დაამარცხოს ყველა სნეულება მედიკამენტების გარეშე – ასეთი აურის მატარებელი გახლავთ ჩემი რიცხვნაკლული (ირა გარდაიცვალა 2015 წელს) ოჯახის მფარველი ანგელოზი, რომელიც კვლავ ჩვენს გვერდშია და მზრუნველობას არ გვაკლებს არც მე და არც ჩემს შვილებს.

დიდხანს სიცოცხლეს და ულევ ბედნიერებას გისურვებთ ქალბატონო ნინო თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

გოგლიძე ლია

არაერთხელ მოვხიბლულვარ, აღვფრთოვანებულვარ და განმიცდია სიცოცხლის მომგვრელი საამო წუთების წიკწიკი ქალბატონი ლია გოგლიძის სიახლოვეს. მისი საუბრის მანერა, დამაჯერებელი ტონი და ჭეშმარიტების ლოგიკური ასხმა – მართლაც რომ საგანძურია ნებისმიერი ადამიანისთვის. მეც ბევრი მომისმენია, გამიგია, გამომიყენებია და გამომდგომია ყოველდღიური ცხოვრების არეალში.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო ლია, ჩემდამი უაღრესად თბილი დამოკიდებულებისათვის. თქვენისთანა ადამიანი აძლიერებს გარშემომყოფთ.

ბარაქალა თქვენს ქალობას.

გოცირიძე ალექსანდრა (შურა)

ცხოვრების უკუღმართობით გატანჯულ-გაწამებული ქალბატონი, მეორე მსოფლიო ომში შვილდაკარგული (ოთარი), დედაჩემის (თამარი) და, მშობლების 26-ე შვილი.

ალექსანდრას მეორე შვილი ნათელა, ამჟამად პენსიონერია; გახლავთ ქიმიის მეცნიერების დოქტორი. მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. ცხოვრობს თბილისში.

ჩემი სტუდენტობის წლებში (1951-1957) ხშირად მივდიოდი ხოლმე ალექსანდრასთან; ის სისტემატურად ზრუნავდა ჩემზე და შვილისგან არ მარჩევდა.

დიდი მადლობა შენ, დეიდა შურა. ნათელში იყოს შენი სული.

დადიანიძე ვაჟა

უნივერსალური და უნიკალური შესაძლებლობების მატარებელი პიროვნება. გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი იცის და ყველაფერი გამოსდის. უნიჭიერესი კაცი გავიცანი 1957 წელს. მერე ათეული წლები ვმუშაობდით მხარდამხარ მეცნიერების სფეროში.

მღეროდა, ცეკვავდა, წერდა (ლექსებს, პიესებს), თამაშობდა (საუკეთესოდ) – ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, ჭადრაკს, პრეფერანსს, ბილიარდს, მაგიდის ჩოგბურთს; იცოდა ფარიკაობა და ა.შ ბრწყინვალედ იცოდა სუფრის წაყვანა (თამადობა).

ჩემი ერთ-ერთი პირველი ლექსი („...ია ხარ, კვირტი ხარ...“) მივუტანე, აზრი გამოეთქვა. მითხრა – აქა და აქ ასე აჯობებსო.

შესწორებულს დახედა და კმაყოფილმა მითხრა: „...თუ ასე გააგრძელებ, წარმატებას მიაღწევო...“.

რა ვისწავლე მისგან?!. – ბანის პარტიები რამდენიმე ქართულ-ხალხურ სიმღერაში; სამეჯლისო ცეკვები; პრეფერანსის რამდენიმე კომბინაცია; სადღეგრძელოების შერჩევა სიტუაციის შესაბამისად; გოგონებთან საფლირტო ურთიერთობის რამდენიმე ნიუანსი და ა.შ. და სხვა... მისმა ტრილეტების კრებულმა („ნათლის ყვავილები“. 1999) დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება, აღტაცება და პატივისცემა.

დარბაიძე დათო

სულ ორი წელია, რაც ვიცნობთ ერთმანეთს არაშორიდან. რამდენიმე შეხვედრით დავრწმუნდი, რომ ფრიად საინტერესო ადამიანთან გვაქვს საქმე. მომხიბვლელია მისი გარეგნობა, მისი ხმის ტემბრი და ადამიანებთან ურთიერთობის დახვეწილი მანერები.

ვერ მოვასწარით დამეგობრება და მან უკვე მოასწრო დამხმარებოდა თავისი მოწადინებით და აქტიური ჩართულობით, რათა დღის სინათლე ეხილა ჩემს ორ საავტორო წიგნს.

მადლობა ბატონო დათო (დავით) მხარში ამოდგომისათვის. თქვენ კარგად იცით, რას განიცდის ავტორი თავისი ნაწარმოების საქვეყნოდ გამომზიურებისას.

ღმერთმა გზა დაგილოცოთ უმაღლესი მწვერვალებისაკენ.

დიდებელი ალექსანდრა

შიდა ქართლის ლიტერატორთა საზოგადოების აქტიური და საინტერესო წარმომადგენელი გახლავთ, რომელიც ულამაზესი ადამიანური გრძნობებით დამშვენებული პოეტური თუ პროზაული ქმნილებებით ეფერება ადამიანებს და ცდილობს ჩვენი ყოფა უფრო მიმზიდველი და სიცოცხლისუნარიანი გახადოს.

არიან ადამიანები, რომლებთანაც თუნდაც ერთი წუთით ახლოს ყოფნა და გასაუბრება საკმარისია, რათა იგრძნო – რამდენად ძვირფასია სიცოცხლე.

სითბო საამო ნიავივით გელაქუცება, როცა იმყოფები ქალბატონ ალექსანდრას (შურას) საზოგადოებაში.

პროფესორი მარინა გიგაშვილი ასე მიმართავს ქალბატონ ალექსანდრას: „...თქვენი ლექსების კითხვისას ნათელია, რომ ნიჭიერება და გემოვნება თქვენი თანდაყოლილი თვისებებია...“ (წიგნი „თეორი საღამო“. გამომცემლობა „ფარნავაზი“, 2014 წ.).

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო ალექსანდრა.

ელგენდარაშვილი ქეთევანი

ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი დამნიშნეს ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის დირექტორად. არ ვიცნობდი წარმოებას. თანამშრომლებმა ეს შეამჩნიეს და ცდილობდნენ დამხმარებოდნენ. განსაკუთრებულად ზრუნავდნენ ჩემს ავტორიტეტზე წარმოების უფროსი თამარ რატიშვილი (კუკური) და ლაბორატორიის გამგე ქეთევან ელგენდარაშვილი.

მადლობა. არასოდეს დავივიწყებ მათ სიკეთეს.

ვალიშვილი თინათინი
(სამედიცინო დარგის მუშაკი)

პირდაპირ ვამბობ იმას, რისი თქმაც მინდა (ზოგადად) ამ წიგნით.

ქალბატონო თინათინ, თქვენ უამრავ ადამიანს უამრავჯერ მიეცით შვება და შეუმსუბუქეთ ყოფა, რამეთუ კარგად იცით, რომ ჯანმრთელობაზე ძვირფასი რამ ჯერ არ მოუგონიათ.

თქვენ ბრძანდებით ჩემი ოჯახის ერთ-ერთი მფარველი ანგელოზი. ღმერთმა კარგად გამყოფოთ.

ვარდანაშვილი ვანო

მისი ტკბილი და თბილი სალამი და საუბარი ყოველთვის სიკეთის კეთებისკენ მიბიძგებდა. ყურადღებას მითმობდა, გულდასმით მისმენდა და მხარში მედგა. მოუცია არაერთი რჩევა. დიდი მადლობა მას.

ვაშაგაშვილი ეუჟუნა

უნიჭიერესი პოეტი და მხატვარ-შემოქმედი. სინაზის, ნიჭიერებისა და კეთილშობილების სიმბოლო.

არასოდეს დავივიწყებ თქვენს კეთილ განწყობას ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის მიმართ.

დიდი მადლობა.

ზარდიაშვილი ოთარი („ჯუნგლა“)

არ არის დიდიხანი, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, მაგრამ მოკლე დროშიც ადვილად შესამჩნევია, რომ ოთარს უყვარს სხვების დახმარება.

მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდამეცვალა და მარტო დავრჩი (შვილები თბილისში ცხოვრობენ), ოთარმა, თითქოს გააათმაგა ჩემდამი ყურადღება და პრაქტიკული დახმარება ყოველდღიურ საოჯახო საქმიანობაში.

ჩემთან ყოფნისას ხშირად ურეკავენ ტელეფონით და დახმარებას სთხოვენ ამათუიმ საკითხის მოგვარებაში, რაც მის პოპულარობაზე მიანიშნებს. ოთარი გამოირჩევა ზრდილობიანობით და საყოფაცხოვრებო კულტურით. ძალიან კარგი მეზობლობა იცის. გვიხარია ერთმანეთის ნახვა და მხარში დგომა.

თათეშვილი გოდერძი

საკონსერვო ქარხანაში მუშაობის დროს (1980-1981 წ.წ.) დიდი მონდომებით მასწავლიდა ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიის ნიუანსებს.

დაჯილდოებული იყო თამადობის ნიჭით. კარგად ერკვეოდა იუმორისტულ „ტექნოლოგიებში“. სახეზე მუდამ დასთამაშებდა ღიმილი.

გოდერძისთან პირველი შეხვედრისას, მისი პიროვნება გამაცნეს, როგორც თეატრისა და ზოგადად კულტურისა და ხელოვნების თავგამოდებული მოყვარული და გულშემატკივარი. რამდენჯერმე შევხვდით ქართულ სუფრასთან და თავი დამამახსოვრა, როგორც იუმორის მოყვარულმა და პროპაგანდისტმა და საოცრად მიმზიდველმა მოპურმარილემ.

გავიდა წლები და გოდერძის შესახებ ქალაქში ალაპარაკდნენ, როგორც გორის საკონსერვო ქარხნის წარმატებულ მუშაკზე.

ჩემმა ბედ-იღბალმა მეც მიმიჩნია სამუშაო ადგილი (სულ წელიწადნახევრით) იმავე ქარხანაში, აი, იქ კი უფრო ხშირად, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს – მე, როგროც „ნოვიჩოკი“, თუმცა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის (შმო) განყოფილების

ინჟინერი, ხოლო ის წამყვანი საამქროს უფროსი, მერე კი მთავარი ტექნოლოგი. ჩვენი საუბრის თემები ეხებოდა ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის პრობლემებს. მან შემასწავლა ის, რაც მანამდე არ ვიცოდი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების სხვადასხვა მეთოდები და საშუალებები. მე კი მას ვუხსნიდი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპებს. ბევრი რამ შევმატეთ ერთმანეთს, თუნდაც ის რად ღირს, რომ ერთობლივად დავნერგეთ რამდენიმე რაციონალური წინადადება.

მადლობა გოდერძის მხარში დგომისათვის. ნათელში ყოფილიყოს შენი სული ბატონო გოდერძი.

თარაშვილი მანანა

მკითხველს ვთავაზობ პატარა ამონარიდს მანანა თარაშვილის ლექსიდან:

„...სამშობლოს რად უნდა მყვირალი
სიტყვები,
სიტყვები ჰაერში ქრება,
ვისაც მართლა უყვარს,
ჩუმად გაირჯება,
სმაურში სიკეთე ჭკნება...“

ამ პრინციპებით და ამ რწმენით დიდიხანია დაუღალავად იღწვის ქალბატონი მანანა. როდესაც ერთად ვართ სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებზე, ან საზეიმო საღამო-შეხვედრებზე, აშკარად ვგრძნობ, რომ მისგან მოდის, მოიფრქვევა სიძლიერის, ჭეშმარიტებისა და ერთგულების ძლიერი ტალღა, რასაც ემატება სიკეთის კეთების დიდი სურვილი და უნარიც. აი, ზუსტად მაშინ გრძნობ თავს ბედნიერად და ამაყად, როცა მანანა დგას შენს გვერდით, ან შენ ხარ მის გვერდით.

ჩვენ, მის მეგობარ-კოლეგებს ხშირად გვიგრძვნია აღნიშნული ტალღის სიძლიერე.

დიდხანს იცოცხლე ჩვენო ძვირფასო მანანა. დაე, არ მოჰკლებოდეს ახლობლებს შენი ძლიერი აურის პოზიტიური ზეგავლენა.

თეთრუაშვილი ზაური

ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; უტკბესი პიროვნება. უამრავი სამეცნიერო შრომისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი. ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიის მეხოტბე და მიმდევარი. განათლებულობის, ზრდილობის, კულტურისა და ჰუმანურობის მატარებელი და მქადაგებელი. ის სამაგალითო იყო ყველასთვის.

ნათელში იყოს მისი სული.

„...ცხოვრებამ ბევრი ტვირთი გარგუნა,
როდი გხვდებოდა ყველგან იები,
არ გიძებნია მყუდრო ლაგუნა,
უხვად მიტომ გაქვს რეგალიები...“

იაშვილი ალექსანდრე (ალიკა)

2013 წლის შემოდგომის თბილი შაბათი დღე იდგა. სახლიდან გავედი ქალაქში გასასეირნებლად და ძმაკაც-მეგობრების მოსანახულებლად.

სტალინის გამზირის №22-სა და №24 სახლებს შორის სივრცეში, იქ, სადაც პატარა შადრევანია და ე.წ. „შიოს წყარო“-ა ხალხმრავლობა შევნიშნე – ფუსფუსებდნენ, პატარა მაგიდებს და სკამებს ალაგებდნენ.

ის იყო გავცდი თავშეყრის ადგილს, რომ ზურგს უკნიდან ნაცნობი ხმა მომესმა – „...ბატონო ვახტანგ, ერთი წუთით... ქალაქის ჩემპიონატი ტარდება ნარდში და ხომ არ მიიღებთ მონაწილეობასო...“ მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მომიკითხა ალექსანდრე (ალიკა) იაშვილმა, გორის უნივერსიტეტის პროფესორმა და ჩემპიონატის ორგანიზატორმა.

აღარ შევუდგები ჩემპიონატის მიმდინარეობის დეტალებს, ვიტყვი უბრალოდ, რომ დაახლოებით 7-8 საათის შემდეგ, წარმატებული წინა ეტაპებზე, გავედი ფინალში, სადაც მოვიპოვე ბრწყინვალე გამარჯვება.

გადმომცეს პირველადგილოსნისთვის სპეციალურად ჩამოსხმული ოქროსფერი მედალი და ასევე სპეციალური პრიზი – ამ ჩემპიონატისთვის დამზადებული ნარდი.

მადლობა შენ, ჩემო ალიკ, რომ მომანიჭე ამდენი სიამოვნება და სიხარული, რაც თავის თავში გულისხმობს სიცოცხლის გალამაზებას, გააქტიურებას და გახანგრძლივებასაც.

გაიხარე, ჩემო ალიკ! იცოცხლე დიდხანს.

ინჯია ჯემალი



ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ახლოს გავიცანი გორში სამუშაოდ ჩამოსვლის პირველივე დღეებში. მას შემდეგ, როგროც იტყვიან, „ბევრმა წყალმა“ ჩაიარა. ხანდაზმული ჭაღაროსნები გავხდით, მაგრამ კვლავაც ვაგრძელებთ მეგობრულ ურთიერთობებს.

მწერალი (მრავალი წიგნის ავტორი, მთარგმნელი, მიღებული აქვს სხვადასხვა ლიტერატურული პრემია, სიგელი თუ წოდება) და საზოგადო მოღვაწე (გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ხელმძღვანელი მრავალი წლის განმავლობაში) დღესაც აქტიურად განაგრძობს მოღვაწეობას და შესაშური, ახალგაზრდული ენერგიით კვლავ მისაბაძი გახლავთ ლიტერატურის სფეროში მოღვაწეთათვის. ბრწყინვალე მოჭადრაკე (წოდებების მფლობელი).

ჩვენი მეგობრობა განაპირობა მრავალმა ფაქტორმა, კერძოდ იმან, რომ ჩვენი მეუღლეები მუშაობდნენ მხარდამხარ გორის კვლევით ინსტიტუტში და როგორც ე.წ. „ჩამოსულები“, ცხოვრობდნენ (გათხოვებამდე) საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში.

ჯემალ ინჯიასგან ბევრი სასიკეთო და მეგობრული მხარდაჭერა მახსოვს, მთავარი კი ჩემი ღრმა რწმენით ის გახლავთ, რომ პენსიაზე გასვლისა და კვლევითი ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ უასპარეზოდ დარჩენილს მითხრა: „...რაღაც, გარკვეულ, იმედისმომცემ ნიშნებს ვხედავ შენში საიმისოდ, რომ ლიტერატურულ საქმიანობას შეუდგე, ჩვენ (გულისხმობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებას) აქ ვართ და ყველანაირად დაგეხმარებით“-ო.

სიტყვა შეასრულეს, დამეხმარნენ და აქტიურად მედგნენ მხარში.

შედეგი – ორმოცზე მეტი წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

გარდა აღნიშნულისა, გვიყვარდა და გვიყვარს ქართულ სუფრასთან ერთად ყოფნა; თავისუფალ დროს კი სამაგიდო, გასართობი თამაშები – ნარდი, დომინო, ბანქო და ა.შ.

მადლობა ჩვენო ჯემალ. იმედი მაქვს, ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება ახალი ძალით იფეთქებს „კოვიდის“ გასრულების შემდეგ.

ამონარიდი მისდამი მიძღვნილი ლექსიდან „ცხენით სვლა“ („სითბო ჩემკენ და ჩემგან“, 2009 წ.):

„...მე ვეთანხმები ბევრის აზრს,
რომ შენ მეათე ჭიქაზე,
სასურველ სიტყვის ძებნისას
მარცხენას ისვამ ნიკაპზე“.

იოსებაშვილი მიხეილი



მიხეილ იოსებაშვილი (მარცხნივ)

ქ. გორში ახლადჩამოსახლებულს (1957 წ.), სადაც არ მყავდა არც ბავშვობის მეგობარი, არც თანაკლასელი თუ თანაკურსელი, არც რამენაირი რანგის ნათესავი, არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა სიძნელეების წინაშე ვიდექი დედით და მამით დაობლებული მარტოსული ე.წ. ახალაგზრდა სპეციალისტი.

არსებობს ასეთი გამოთქმა – „გაჭირვების ტალკვესი“ და ასეთ ტალკვესად მომევლინა მიხეილ („შავი მიხო“) იოსებაშვილი, რომელიც მაშინ მუშაობდა ჩვენი ინსტიტუტის (გორის კვლევითი-სამეცნიერო, „ნიიავტომატპრომი“) მომარაგების განყოფილებაში.

მიხოს იცნობდა „მთელი“ გორი და მიხო იცნობდა „მთელ“ გორს.

ჩემი და ჩემი მეუღლის, ირა ვარძიგულოვას მიერ შექმნილი ოჯახის დამკვიდრება-გაძლიერებაში, შემდეგ შვილების (ორი ვაჟი) დაკვალიანებაში და ჩემს მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების

პირნათლად შესრულებაში დიდი წვლილი მიუძღოდა მიხეილ იოსებაშვილს („შავ მიხოს“).

მსიამოვნებს იმის გახსენებაც, რომ გვიყვარდა ერთად ე.წ. „ქალაქური სიმღერების“ შესრულება.

ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

იტრიევი ალექსანდრე (შურა)

უმაღლესი დონის ტექნიკური მუშაკი მრავალწლიანი პრაქტიკით. იგი ცხოვრობდა იმავე სახლში (ქ. გორი, სტალოინის ქ. №24), სადაც მე. კვირაში ერთხელ მივდიოდი მასთან საღამო საათებში და მეხმარებოდა (როგორც ახალგაზრდა სპეციალისტს) ტექნიკის სიახლეების გაცნობაში და შესაძლო გამოყენების პერსპექტივებში.

კაკალაშვილი ალექსანდრე (საშა)

მოხდა ისე, რომ (ჩემი სიჯიუტისა და ფეთქებადი ხასიათის გამო) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დავრჩი სამუშაოზე განაწილების გარეშე და დამოუკიდებლად დავიწყე შესაბამისი სამსახურის ძებნა. გავიდა კვირები, თვეები და ვერსად ვერ მოვახერხე მუშაობის დაწყება. ამ დროისთვის აღარც მამა მყავდა ცოცხალი და უკვე აღარ ვიცოდი, რა გვიხსნიდა შიმშილისაგან დედინაცვალს, მე და ჩემს სტუდენტ დას.

ისევ კეთილმა ადამიანებმა შემაშველეს თავიანთი ძალისხმევა.

ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა (ადრეც ხშირად დაგვხმარებია) მითხრა, რომ გორში გაიხსნა ე.წ. საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტი, რომელსაც სჭირდება ახალგაზრდა სპეციალისტები და რომ იგი ესაუბრა ამ ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მეუღლეს ჩემს შესახებ.

ნასესხები ფულით თელავიდან სასწრაფოდ ჩავედი გორში. მიმიღო მთავარმა ინჟინერმა ალექსანდრე კაკალაშვილმა და გამესაუბრა. საუბრის ბოლოს გადმომცა დაახლოებით ასგვერდიანი რუსულენოვანი წიგნი, რომელიც ეხებოდა ავტომატიზაციისა და ტელემექანიკის პრობლემებს. მითხრა: „თქვენ ეს სპეციალობები არ იცით, უბრალოდ არ გისწავლიათ, თუმცა, მათემატიკისა და ფიზიკის კურსების მცოდნეს, არ უნდა გაგიჭირდეთ ახალი სპეციალობის ათვისებაო. ერთი თვის შემდეგ ჩამოდით, ვნახოთ, როგორი შედეგები იქნებაო“.

ცუდ ხასიათზე დავდექი. როგორი საქმეა: ნასესხები ფული, ერთი თვე, წადი-მოდი. მოკლედ, ხასიათწამხდარი დავბრუნდი თელავში და იმავე ღამეს ჩავუჯექი ახალ წიგნს. დღე-ღამეს ვასწორებ-

დი. ერთ კვირაში ვიგრძენი და ჩემს თავს შევატყვე, რომ წიგნი წარმატებით დავძლიე.

დავრეკე მთავარ ინჟინერთან – მზად ვარ ჩაგაბაროთ წიგნის ათვისების შედეგები. გთხოვთ, ნება დამრთოთ, ჩამოვიდე-მეთქი. გაუკვირდა და მითხრა – ნუ ჩქარობო. მე კატეგორიულად მოვითხოვე „გამოცდის“ ჩაბარება და მისგან მივიღე თანხმობა.

ორი დღის შემდეგ კვლავ მის კაბინეტში ვიჯექი. ძალიან კმაყოფილი დარჩა და მომცა 400-გვერდიანი ახალი წიგნი (ისევ რუსულენოვანი) „ავტომატური რეგულირებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების თეორიის საფუძვლები“) სიტყვებით – ერთ თვეში გელოდებითო და ხელი გამომიწოდა დასამშვიდობებლად.

ისევ დღედაღამის გასწორება, ისევ ნასესხები ფული და ისევ მოდი-მიდი და 20 დღის მერე წინასწარი შეტყობინების გარეშე, კვლავ მის კაბინეტში ვზივარ და „გამოცდას“ ვაბარებ. გაოცებული და კმაყოფილი ჩანდა. წამოდგა, ხელი წაიღო წიგნების თაროსკენ და გადმოიღო ალბათ ათასგვერდიანი სპეცწიგნი (ავტორი მახსოვს – სოლოდოვნიკოვი. მოგვიანებით შევიტყვე, რომ წიგნი ეხებოდა ავტომატიზაციის უმაღლესი დონის პრობლემებს). ის იყო უნდა მოეცა ის წიგნი, რომ თავი ვეღარ შევიკავე და სკამიდან ხმაურით წამომხტარმა მივახალე: „...კარგით რა, გეყოფათ... გაითვალისწინეთ, რომ ნასესხები ფულით მივდი-მოვდივარ, რომ სახლში მშიერი დედინაცვალი და უმცროსი და მელოდებიან... რით ვერ დარწმუნდით ჩემს შესაძლებლობებში, ყველაფერს ხომ უნდა ჰქონდეს დასასრული...“ და ა.შ.

მაგიდის ქვეშ ხელი შეყო... მისაღებში ზარი აწკრიალდა. 35 წელი ვიმუშავე გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. დავიწყე ლაბორანტობით და დავამთავრე ინსტიტუტის სწავლული მდივნის თანამდებობით (ყველა არსებული სამეცნიერო საფეხურის გავლით, ათობით გამოგონებით, სამეცნიერო ნაშრომით, რაციონალური წინადადებით, საკანდიდატო დისერტაციის დაცვით, მედლებით, სიგელებით, დიპლომებით, პრემიებით და მრეწველობაში პრაქტიკულად დანერგილი ტექნიკური სიახლეებით).

ვინ იცის, რა როლი ითამაშა ალექსანდრე (საშა) კაკალაშვილის (ერთი შეხედვით მკაცრმა მიდგომამ) დაჟინებულმა მოთხოვნებმა და ნასესხები ფულით ერთთვიანმა მისვლა-მოსვლამ გორსა და თელავს შორის.

კარაპეტიანი მარიეტა

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ერთ-ერთი ყოფილი წამყვანი მეცნიერ-მუშაკი.

რომ იტყვიან ხოლმე, „გადაბმული დებივით“ იყვნენ ჩემი მეუღლე ირა ვარძიგულოვა და მისი მეგობარი, კოლეგა, თანამზრახველი და თანამდგომელი ქალბატონი მარიეტა, რომლისგანაც ჩვენს ოჯახს მიღებული აქვს უამრავი სიკეთე, ალერსი და თანადგომა, განსაკუთრებით ბავშვების აღზრდის საქმეში.

მადლობა შენ, ჩემო დაიკო, მარიეტა.

კარელიძე ქეთინო

პირველივე შეხვედრისას მოგხიბლავთ ქალბატონი ქეთინო. მას გააჩნია საოცრად თბილი და საინტერესო აურა.

ჩემი მეუღლე, ირა მეუბნებოდა ხოლმე, როგორ ცუდადაც არ უნდა ვიყო – კარგად ვხდები, როცა ქეთინო მოდის ხოლმე ჩვენთანო.

ჩვენთვის, ყველასთვის ძვირფასო დაიკო – შენ, შენი ღიმილით, საუბრით, პროფესიონალიზმით და მართლაც რომ საოცარი აურით, ბევრჯერ მიეცი შვება ჩემს ირას.

დიდი მადლობა.

კაჭკაჭიშვილი ზურა

იშვიათად შევხვედრივარ ასეთი ამაღლებული რაინდული და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანს, როგორიც გახლავთ ზურა კაჭკაჭიშვილი. უგანათლებულესი პარტიულ-სამეურნეო-საზოგადოებრივი მოღვაწე, რომლისთვისაც არ არსებობს გადაულახავი სიძნელე.

უყვარს იუმორით შეკაზმული საქმიანი ურთიერთობები. პატივს სცემს ადამიანებს, რომელთათვისაც მთავარია: მეგობრებისა და საქმის ერთგულება, სიტყვის შესრულე-

ბა, გაჭირვებულების მხარში დგომა. გამოირჩევა ენერგიულობით, კომუნიკაბელურობით და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

ბევრჯერ ვიგრძენი მისი მხრიდან მხარში დგომა, პატივისცემა, თბილი ურთიერთობა და ჭეშმარიტი მეგობრობა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას.

დიდხანს იჯანმრთელე, ჩემო ზურა, ოჯახისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

კეკელიძე თენგიზი

ერთხელ, სამრეწველო ობიექტში მომუშავეს აღმომაჩნდა 60 ლიტრი საკონიაკე სპირტის დანაკლისი, რაც სისხლის სამართლის კოდექსით ითვალისწინებდა რამდენიმე წლის ციხეში გატარებას.

ყველამ ზურგი შემაქცია, არავინ სცადა დახმარება, მათაც კი, ვისაც თვეების განმავლობაში ვასმევდი ძვირფას სასმელს.

მირჩიეს, სასწრაფოდ წავსულიყავი ოკამის ქარხნის დირექტორთან, თენგიზ კეკელიძესთან. მითხრეს – ვაუკაცი კაცია, გაგიგებს და აუცილებლად დაგეხმარებაო.

მეტი რა გზა მქონდა. წავედი დახმარების თხოვნის მიზნით უცნობ კაცთან.

ვინა ხართ, რაზე შეწუხებულხართო, შემეკითხა, როცა მდივანმა კარი გაიხურა.

ვუთხარი ჩემი გასაჭირის შესახებ... შეწუხდა და მითხრა ნახევრადხუმრობით – ბილიარდს თუ მომიგებ, ხელს მოგიმართავო და გამიძღვა გვერდით მდებარე დარბაზისკენ, სადაც საუკეთესო საბილიარდო მაგიდა იდგა (აქვე ვიტყვი, რომ ძალიან ძლიერი მოთამაშე გახლდით).

ვფიქრობ: „მოვუგო, მერე, რომ განაწყენდეს და აღარ დამეხმაროს – მაგრამ იქვე გამახსენდა, რომ მითხრეს ვაუკაცი კაციაო. ხელოვნურად წამეგო, ვაითუ შეემჩნია და ეფიქრა – ვიღაც აფერისტთან მაქვს საქმეო“... ვაი, ჩემს თავს – გავიფიქრე და გადავწყვიტე – მაქსიმალურად მომენდომებინა და გამენადგურებინა, მითუმეტეს, შევამჩნიე, რომ მაინცდამაინც ვერ „ბრწყინავდა“...

დავანგრიე, რომ იტყვიან – გავანადგურე... გაბრაზებულმა კია მოისროლა და რაღაცნაირი გაღიზიანებული ხმით მკითხა – ვინ

გასწავლა თამაშიო. მე ვუთხარი, რომ თამაში მასწავლა ჩემმა ბიძაშვილმა გაიოზ ჭანკოტაძემ-მეთქი.

გაშეშდა ერთ ადგილზე. გაუფართოვდა თვალები. მერე თავისი გოლიათი ხელებით ამიტაცა, მკერდში ჩამიკრა და მითხრა – რატომ თავიდანვე არ მითხარი, თუ ჩემი განუყრელი ძმაკაცის ბიძაშვილი იყავიო.

რესტორანში პურმარილი ღამის 12 საათამდე გაგრძელდა, მერე კი ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა თავის მანქანაში ჩადგა საკონიაკე სპირტით სავსე ოთხი ოცლიტრიანი ბალონი და სულ რაღაც ნახევარ საათში ჩავედით გორში.

მას შემდეგ ხშირად ვკითხულობდი თენგიზ კეკელიძეს. აი, მასპინძელიც ასეთი უნდა, ის რომ იყო. ოკამში ყველას გააცნო ჩემი თავი. ხელცარიელს არასოდეს მიშვებდა. უფრო მეტიც – გორშიც რამდენჯერმე დარეკა „ვიღაც-ვიღაცეებთან“ ე.წ. ჩინოსნებთან – ამ ბიჭს დაეხმარეთ ყველაფერში, შეეცადეთ, არავინ აწყენინოსო.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ჩემო თენგიზ, მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა.

კერესელიძე ქსენია

ჩემი მეუღლის ერთ-ერთი დაქალი, „ნიიავტომატპრომის“ ერთ-ერთი წამყვანი მათემატიკოსი. საოცრად ენერგიული და ხალისიანი.

ყურადღებას არ აკლებდა ჩვენს ახალგაზრდა ოჯახს. გვეხმარებოდა შვილების აღზრდაში. ჩემი მეუღლე მას დიდ პატივს სცემდა.

ჩემი შვილები დღესაც მეკითხებიან ხოლმე – „როგორ არის დეიდა ქსენოო...“.

ღმერთმა კარგად გამყოფოს და დიდხანს გაცოცხლოს ყველასთვის სასურველო და საყვარელო ჩვენი ქსენო.

კვარიანთაშვილი ნანა

ცნობილი ქართული ანდაზა ღაღადებს: „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“. ათასეულ წლებგამოვლილი ჭეშმარიტებაა გამოხატული ამ ანდაზაში. ერთ სახლში ვცხოვრობთ – ერთ სადარბაზოში, მე-3 სართულზე, როგორც იტყვიან ხოლმე – ერთ „პლაშჩადკაზე“.

ერთმანეთის სუნთქვა გვესმის და საერთოდ, თითქმის ყველაფერი ვიცით ერთმანეთის შესახებ.

ათეული წლებია ვმეზობლობთ და ვმეგობრობთ. არაერთი დახმარება, მოფერება, გამხნევება და მხარში დგომა ახსოვს მისგან ჩემს ოჯახს.

ქალბატონი ნანა, ჩემს მეუღლეს ირას ისე უვლიდა და ეფერებოდა, როგორც საკუთარ დედას.

დიდი მადლობა ჩემო ნანა. ღმერთმა გადამახდევინოს შენი სიკეთე.

ქალბატონ ნანას საიუბილეოდ (ამონარიდი ლექსიდან):

„...დაბადების დღეს გილოცავთ
ღვინის სავსე თასებით,
მთელი უბნის ქალები და
ჩვენი ეზოს კაცები...“ (2009 წ).

კლიმიაშვილი თამაზი

მუდამ ვგრძნობდი და დღესაც ვგრძნობ მის მხარდაჭერას ნებისმიერ საკითხში.

ძალიან ხშირად, შეუნიშნავს რა ამის აუცილებლობა, თვითონ შემოუთავაზებია დახმარება (ამაზე კარგი რა უნდა იყოს!).

თამაზი გახლავთ უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების კაცი, რომელმაც კარგად იცის ცხოვრების ნიუანსები. ძალიან უყვარს კითხვა... რომ იტყვიან – ხელში სულ წიგნი უჭირავსო – ასეა. გატაცებულია და კარგად იცნობს ქართულ პოეზიას; განსაკუთრებით უყვარს შოთა ნიშნიანიძის ლექსები.

დიდად მადლიერი ვარ მისი ჩემდამი დამოკიდებულებით. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან... მადლობა.

კლიმიაშვილი კობა

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზთა გამო და პირადი თუ სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული სიხშირით მიწევდა ვიზიტები ქ. გორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

საქმის დაჩქარებისა და გაადვილების მიზნით, მივადგებოდი ხოლმე ახლონაცნობს, ბატონ კობა კლიმიაშვილს.

უნდა გამოვტყდე და ვაღიარო, რომ მე ასეთი კულტურული, განათლებული, ზრდილობიანი და ყურადღებიანი კაცი იშვიათად მინახავს.

მომიკითხავდა თბილად, გამომყვებოდა იქ, სადაც საჭირო იყო, წინ წასწევდა ან საერთოდ უცებ მომიგვარებდა საქმეს, გამომაცილებდა ადმინისტრაციული შენობიდან გამოსასვლელისკენ, მოკითხვას მაბარებდა ოჯახის წევრებთან და წარმატებას მისურვებდა წამოწყებულ საქმეში. მერე დაამატებდა – ბატონო ვახტანგ, არ მოგერიდოთ... თუ რაიმე დაგჭირდეთ, მობრძანდით... ვეცდები დაგეხმაროთ.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ ჩვენო კობა...
თქვენისთანები სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

კიკნაძე ზაური

საოცრად დინჯი კაცი იყო. გვიკვირდა მისი იმერეთის კუთხიდან წარმომავლობა (იჩემებდა იმერლობას). ვარასდროს ნახავდი აჩქარებულს, მოფუსფუსეს; ვერ შეამჩნევდით (ვერაფერში) სულსწრაფობას.

უყვარდა ცნობილი ანდაზა: „...აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია...“

ორ მეტრში ხანძარი რომ გაჩენილიყო, ნაბიჯს არ აუჩქარებდა.

გვიკვირდა ყველას (ერთად ვმუშაობდით გორის კვლევით ინსტიტუტში ათეულობით წლის განმავლობაში), როგორ ასწრებდა საქმის კეთებას, არადა, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო.

ორიგინალური იუმორის გრძნობით

იყო დაჯილდოებული. მასთან, მის გვერდით ყოფნა სიამოვნებას მგვრიდა – მავიწყდებოდა სიძნელეები და ზოგადად, უარყოფითი მუხტით დატვირთული ყოველი მოვლენა, თუ ფაქტი.

მასთან ყოველთვის ლაღად ვგრძნობდი თავს, მისი ჩემდამი დამოკიდებულება საოცრად თბილი და იმედის მომცემი იყო.

მისალმებისა და დამშვიდობების მომენტებში იყენებდა იტალიურ გამოთქმას – „ჩაო“.

კოპაძე გულნარა (გულიკო, გულო)

ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ძველი მეგობარი, კოლეგა და მეზობელი. უყვარს საქმის დეტალებში (სკრუპულოზური) გარკვევა. ჩემი მეუღლის თანამგზავრი ყველგან და ყველაფერში.

ღიმილიანი სალამი იცის, თვალები კი სულ უციმციმებს. გაბრაზებულს ვერ ნახავთ, გაკვირვებულს კი. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან, როგორც პირადად ჩემთვის, ისე ჩემი ოჯახისათვის.

სახე აქვს მუდამ მოწითალო ელფერის. როგორც საკუთარ დას, მოფერებით ვეძახი „წითელლოყებას“.

კრიხელი იოსები

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში ვმუშაობდით. ჩემზე მეტი და ჩემზე უკეთესად იცოდა ფიზიკაც, მათემატიკაც და ასევე ჭადრაკიც (საერთაშორისო დიდოსტატი კომპოზიციაში). ხშირად მიმიმართავს დახმარებისათვის თეორიის საკითხებში. ჩვევა ჰქონდა, არ ეპასუხა შენს შეკითხვაზე (თუმცა ძალიან კარგად იცოდა პასუხები). გირჩევდა – წაიკითხე ესადაეს წიგნიო. შეკითხვას ისე ვსვამდით, რომ საკმარისი იყო პასუხი – დიახ ან არა. მაგრამ არ გვაღირსებდა ხოლმე იმ ორწამიან „ჰო“-ს ან „არა“-ს. მიგვანიშნებდა წიგნზე და ზოგიერთ შემთხვევაში პარაგრაფზე და წიგნის გვერდებზეც კი.

თავდაპირველად ვღიზიანდებოდი, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ (არ-

ამარტო მე) ყოველდღიურად ვვითარდებოდი, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი.

ძალიან ენერგიული და შრომისმოყვარე გახლდათ. ინსტიტუტის თანამშრომლებიდან ერთ-ერთმა პირველმა დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი და მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ წამყვან განყოფილებას. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერიც.

მახსენდება ერთი საინტერესო ეპიზოდი.

ვაპირებდი საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. უკვე მზად მქონდა, ველოდი სამეცნიერო საბჭოზე დამტკიცების დღეს.

იოსებმა მირჩია დავსწრებოდი სხვა პრეტენდენტების 2-3 დაცვას, რათა შევჩვეოდი ატმოსფეროს და დაცვის მიმდინარეობის პროცესს, რათა ნაკლებად მენერვიულა. დავუჯერე და თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთხ თუ ხუთ დაცვას დავესწარი. რაღაცნაირად გავუშინაურდი სამეცნიერო საბჭოს წევრებს და მომავალ კანდიდატებს თუ დოქტორებს.

ყველა ერთხმად მაფრთხილებდა, რომ ყურადღება გამემახვილებინა საბჭოს ორ წევრზე, რომლებიც ყოველთვის პირველ რიგში ისხდნენ და ე.წ. ჩამჭრელ შეკითხვებს აძლევდნენ დისერტანტს და ცდილობდნენ როგორმე „ჩაეჭრათ“ იგი. საინტერესო ისაა, რომ ისინი ყოველ დაცვაზე ასე იქცეოდნენ და ისიც შევამჩნიე, რომ სამეცნიერო საბჭოს წევრების უმრავლესობას არ მოსწონდა „ის ორი ტიპი“.

მოვუყევი იოსებს ყველაფერი. მითხრა – ვიცნობ მაგათო; ყველას ეჯავრებათ, ვერ იტანენო.

რა ვქნა-მეთქი – შევეკითხე.

მიპასუხა – რა და, შენზე უკეთესად ვინ იცის, რა ნაკლოვანებები აქვს შენს ნაშრომს, დაასწარი და შენ თვითონ სთქვი, რომ მათ აღარ ჰქონდეთ „საკვებიო“.

მოხსენების ფინალში ისე ვისაუბრე, როგორც იოსებმა დამარიგა – „...ბატონებო, ბევრი რამ დამრჩა დასახვეწი; საჭირო იყო ტენიანობის დინამიკის ფართო შესწავლა; სასარგებლო იქნებოდა უფრო ზუსტი კოეფიციენტის შერჩევა; ვერ მოვასწარი წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობის უფრო მეტი შედეგის მიღება და სხვა, რასაც ვეცდები, რომ მომავალში სამეცნიერო ნაშრომებში მივუჩინო თავისი ადგილი“ და ა.შ.

იმ „ორ ტიპს“ არცერთი შეკითხვა აღარ დაუსვამთ. დისერტაციის დაცვა დამთავრდა ტაშის გრიალით.

მადლობა იოსებ კრიხელს. ნათელში იყოს მისი სული.

ლომსაძე თამარი

შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ რაიმეთი დაგეხმაროს, მოგეფეროს, გაგამხნევოს და გვერდში დგომა გაგრძნობინოს.

დიდიხანია ვიგრძენი მისი მხარში დგომა. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი თამარ ლომსაძე მრავალი სიძნელის წინაშე დგას, იგი ახერხებს მუდამ იყოს მომღიმარი, თბილი, ალერსიანი, კეთილისმსურველი და ნაყოფიერი ლიტერატურული შემოქმედი. ბევრი სიკეთე ვიგრძენი მისგან. ის ჩემი ოჯახის მეგობარია. მადლობა შენ, თამრიკუნა, რომ ასეთი კარგი ხარ.

მაკრახიძე იოსები (სოსო)

დასანანია, რომ ბედმა გვიან შემახვედრა და გამაცნო კაცთან, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს, პატივს სცემს და ეფერება, რამეთუ თავად სოსო გახლავთ უამრავი და მნიშვნელოვანი საქმეების მკეთებელი პიროვნება. ეს ის კაცია, რომელმაც კარგად იცის და სხვასაც მხარში უდგას, ყველას, ვისაც სურს ცხოვრების რთულ ლაბირინთებში სწორი მიმართულების მიგნება.

მე, პირადად, არაერთხელ ვიგრძენი მისი მხრიდან უანგარო დახმარების სიკეთე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ მას.

მამისთვალიშვილი ელდარი

ქ. გორში დამკვიდრების პირველი თვეებიდან ვიცნობ, დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულ ისტორიკოსს, პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს.

ეს ის პიროვნება გახლავთ, ვისი მისამართითაც სტანდარტული დითირამბების გამოყენება არაფრის მომცემია.

ბევრჯერ და მრავალ სხვადასხვა სივრცეში და სიტუაციაში

ვართ შეხვედრილები.

მოხიბლული ვარ მისი ცოდნის უმაღლესი დონით, მსჯელობის დახვეწილი ლოგიკით, ადგილზე და დროში მორგებული საოცარი იუმორით, სამართლიანობის მოწოდებით და დამკვიდრებით.

მიმზიდველი და ფრიად საინტერესო და მრავალწახნაგია მისი „მინილექციები“ თითქმის ყოველ დილით სუფთა ჰაერზე ვარჯიშის დროს ე.წ. „ფანტანების“ მიკროუბანში.

რა ვისწავლე მისგან?!

ბევრი რამ, კერძოდ კი, ყოველდღიური ცხოვრების მიკროფილოსოფიური არეალის მიკროფილოსოფიური ელემენტების მრავალფეროვნების აღქმისა და შეფასების უნარი.

მადლობა, ბატონო ელდარ, მამლის ყივილზე წაკითხული მინილექციებისათვის.

„...იცით, რაშია საქმე?!.“

მასურაშვილი მანანა

სიკეთისა და ერთგულების მქადაგებელი და აღმსრულებელი. იშვიათად შეხვდებით ასეთ თბილ და პატიოსან პიროვნებას. მე და ჩემს მეუღლეს, ირას, ძალიან გაგვიმართლა, რომ გორის კვლევით ინსტიტუტში მანანასთან მხარდამხარ მომუშავეებს, მისი მეზობლობა გვრგებოდა წილად, რამეთუ ვცხოვრობთ ერთ სახლში, სხვადასხვა სადარბაზოში.

ჩემი მეუღლის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იდგა ქალბატონი მანანა ირას სხვა დაქალებთან ერთად. დილით ადრე ე.წ. „ფანტანის“ უბანში გაჰყავდა სუფთა ჰაერზე, რითაც უხანგრძლივებდა სიცოცხლეს, მაგრამ...

მანანა დღესაც მხარში უდგას ჩვენს ოჯახს და ყველანაირად ცდილობს შემიმსუბუქოს მარტოხელობაში დარჩენილი კაცის ხვედრის სიმძიმე.

მადლობა მანანა შენ და შენს ვაჟიშვილს, რომ ასე კარგები და მზრუნველები ხართ ჩემს მიმართ.

ამონარიდი ჩემგან მიძღვნილი ლექსიდან:

„...გეზეიმოს ბებიობა,
არ დაგჭირდეს ბევრი ბჭობა.
გაგიმრავლდეს მეგობარი,
შენთვის რეკდეს დედოზარი.

მარწყვიშვილი მერი
მექვაბიშვილი სოფიკო

მე თქვენს შორის არჩევანს ვერ გავაკეთებ; ორივენი ხართ ჩემი ძვირფასი დაიკოები. კარგად მახსოვს ის ბედნიერი დღეები, როდესაც ჩემს ოჯახში ვიკრიფებოდით და ე.წ. პოეზიის საღამოებს ვმართავდით ხოლმე. ისიც კარგად მახსოვს, რომ ჩემმა აწგარდაცვლილმა მეუღლემ თქვენ და ყველა ჩვენს კოლეგა ქალბატონებს (ყოფილ „ბანოვანელებს“, ლიტერატურისა და ხელოვანთა კავშირის“ წევრებს, ასევე გორის მწერალთა სახლის ქალბატონებს) გიწოდათ „ვახოს ქალები“, რამაც, ვფიქრობ, ახლებური შეფერილობა და მეტი სითბო შეჰმატა ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულებას და კოლეგიალურ თანამშრომლობას.

დღეს ვერავინ აწონის ან დათვლის, თუ რამდენი წლის სიცოცხლე შემმატა თქვენმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ, თქვენმა სამართლიანმა და ობიექტურმა რჩევა-დარიგებებმა, თქვენმა ლექსების ეშხმა და ელვარებამ და თქვენმა აუწონავმა კეთილგანწყობამ.

დიდხანს იცოცხლეთ თქვენი მონაგარის საიმედოდ. იყავით ერთ-

მანეთის გვერდით, როგორც წიგნის ამ გვერდზე ხართ წარმოჩენილნი.

ღმერთმა არ მოგაკლოთ სიკეთე.

მე კი თქვენი მიძღვნილი ლექსებიდან ამონარიდები მაიმედებს და მაცოცხლებს.

მერისგან

„...გიტარას აახმიანებ,
ბულბულს შემოსვამ ჭიქაზე,
მრავალჟამიერ იხარე,
იცოცხლე მტრების ჯინაზე...“

სოფიკოსგან

„...შენგან ლამაზ რითმებს მუდმივად მოველით,
ჯერ ხომ კალმის წვერი არ დაგჟანგებია,
რაც თესე, რაც ზარდე, რაც შექმენ – ყოველი,
ღმერთთან მისასვლელი გზის გასაღებია...“

რა უფლება მაქვს ასეთი სიტყვების შემდეგ – არ ვიყო კარგად, არ ვიცოცხლო დიდხანს!..

მაღლაკელიძეები რობერეტი და მანანა

ჩვენ არც მეგობრები ვართ, არც მეზობლები, არც კლასელ-თანაკურსელები და არც კოლეგები.

ჩვენ ვართ თანამოქალაქეები ამ სიტყვის ყველაზე სრული და კარგი გაგებით.

რობერტმა რამდენჯერმე წაიყვანა ჩემს ასაკთან დაკავშირებული საიუბილეო საღამოები და ფართო საზოგადოებას დეტალურად გააცნო ჩემი პიროვნება.

იმდენი სითბო, სიკეთე, ალერსი, სურვილები და მხარდაჭერა იგრძნობოდა მის გამოსვლებში, რომ სურვილი გამიჩნდა და ვცდილობ, რომ ერთი იმდენი კიდევ ვიცოცხლო.

რაც შეეხება რობერტის მეუღლეს, ქალბატონ მანანას (ექიმი), მისგან იმდენი მოფერება, იმდენი სასიკეთო რჩევა და „რეცეპტები“ მოედინება ნაკადულივით, რომ გრჩება არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება იმის, თითქოს უკვე გამოჯანმრთელდი, ანუ საკმარისია ეწვიოთ კაბინეტში, შესჩივლოთ თქვენი პრობლემების შესახებ და მორჩა, ყველა სიძნელე უკანაა მოტოვებული. ბარაქალა თქვენს ქალობას ქალბატონო მანანა. მე რომ მქონოდა უფლება – მარტო რობერტის არ მივანიჭებდი საპატიო მოქალაქის წოდებას. თქვენ, ორივენი ერთად ბრძანდებით საოცრად საპატიო მოქალაქეები.

უღრმესი მადლობა იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც მე თქვენგან ვგრძნობ უკვე რამდენიმე ათეული წელია.

ახლა კი ამონარიდი რობერტისადმი მიძღვნილი ლექსიდან:

„...ერუდიციით შვებას გვანიჭებ,
მარჯვედ იყენებ „მოლბერტს“,
შენს გულმხურვალე ძმებს და ძმაბიჭებს
მუდამ გვახარებ, რობერტ!“

მაყაშვილი ბელა

ჩვენი საზოგადოება შეჩვეული იყო იმას, რომ, როგორც წესი, პარტიის საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი

მდივნების თანამდებობაზე მამაკაცები ინიშნებოდნენ (გარდა უიშვიათესი გამონაკლისისა).

ჰოდა, დადგა იმ უიშვიათესი გამონაკლისის ჟამი და ქ. გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა ბელა ზაქარიას ასული მაყაშვილი.

აქა-იქ ქალაქში გაისმა ხმები – კაცები ვერაფერს აკეთებენ და მაგან რა უნდა შეძლოსო; ნეტავ, საიდან მოიყვანესო და ა.შ.

სულ რამდენიმე თვეში გორელებმა იგრძნეს, რომ საქმე ჰქონდათ განათ-

ლებულ და გამოცდილ პარტიულ-სამეურნეო მუშაკთან, რომელიც გამოირჩეოდა პრინციპულობით, სამართლიანობით და მომთხოვნელობით.

ქ. გორს მალე დაეტყო სასიკეთო ძვრები. ჩემთვის (თითქმის ოთხი თვე ვიყავი უმუშევარი) იღბლიანი აღმოჩნდა ბელა „ზახარევნას“ გამოჩენა.

პირველივე დღეებში დაინტერესებულა – კომუნისტი ვინმე ხომ არ გვყავს დაუსაქმებელიო და ჩემს შესახებ მოახსენეს თურმე და თანაც დაუმატებიათ, თქვენებურიაო.

მოგვიანებით გავიგე (ჩემს დას დავურეკე ქ. თელავში და გამოვიკითხე, ვინ იყო ბელა მაყაშვილი. თურმე, ბელას მამა ზაქარია მაყაშვილი, წლების განმავლობაში ყოფილა მამაჩემის (სატყეო მეურნეობის დირექტორი) ბუღალტერი, იმ პერიოდში, როცა ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ასეა თუ ისე, თელაველობამ გასჭრა თუ სამართლიანობამ – ერთი კვირის შემდეგ საკონსერვო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მარინე ქიტიაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ჩემი დანიშვნის შესახებ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე.

მაშინ ნაკლებად იყო ცნობილი სიტყვა „ნეპოტიზმი“.

უღრმესი მადლობა ქალბატონებს – ბელას და მარინეს.

მახარაძე ჯანდიერი



ოთხმოცს გადაცილებულებმა გავიცანით ერთმანეთი. ხმაც ჭაბუკური აქვს და ცხოვრების წესიც ახალგაზრდული.

ძალა მემატება, როცა მის ხმას გავიგებ, ან ქუჩაში ძლიერი ნაბიჯებით მიმავალს ვხედავ. მისალმების თავისებური სტილი აქვს ისე, რომ ჯერ სერიოზულად პასუხობ (ასევე შენებური მისალმებით), მერე ცოტახნით გაოცდები და ბოლოს ღიმილ-სიცილით გაგებადრება სახე.

მაძლიერებს მასთან ყოფნა, ასე მგონია, ყოველ სიძნელეს გადავლახავ-მეთქი.

კარგად ვუგებთ ერთმანეთს.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ჩემო ჯანდიერ.

მახარობლიძე გიორგი

ძალიან თბილი კაცი იყო. ერთი შეხედვით „თავის თავში“ ჩაკეტილი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო; იგი ყველაფერს კარგად გრძნობდა, ხედავდა და აანალიზებდა, თუმცა, ზოგიერთებივით არ ცდილობდა „თავის გამოჩენას“.

საოცარი კი მაინც ის გახლდათ, რომ ყოველთვის მკაცრ უარს მეუბნებოდა ჩემი ლექსების შესწორებაზე, მაგრამ სადღეგრძელოებს შორის ისე ფრთხილად, იუმორის თანხლებით და დალაგებით შემოგაპარებდა შენიშვნებს და რეკომენდაციებს, რომ მხოლოდ მეორე დღეს მივხვდებოდი ხოლმე, რომ გიორგის წყალობით ლექსი გაკეთილშობილდა. ასეთი შემთხვევები კი ბევრი მქონდა.

გიორგი საოცრად თავმდაბალი კაცი იყო და უფრო მეტ სასარგებლოს აკეთებდა, ვიდრე მავანი ამბიციური და უსაფუძვლოდ მოკეკლუცე.

მადლობა გიორგის მრავალჯერადი მხარდაჭერისათვის და ლიტერატურის სფეროში ჩემი მოკრძალებული შრომის სასიკეთო შეფასებისათვის.

მგალობლიშვილი მანანა

ქალბატონმა მანანამ, კოლეგებთან ერთად, მიმზიდველი და ფრიად მრავალფეროვანი მინისამყარო შექმნა გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში სხვადასხვა ნიმუშებისა და გარნიტურების მუზეუმისდარი სივრცის სახით, რომელსაც, რომ იტყვიან, დღედაღამ თავს ევლება და თავს დასტრიალებს.

მას არაერთხელ გავუხარებივარ თავისი თბილი და სერიოზული საუბრით... მო მწონს მისი პროფესიონალური მიდგომა საქმისადმი და სერიოზული და ყოვლისმომცველი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი და სურვილი. ბევრჯერ ვცადე მიმებაძა მისთვის, მაგრამ სრულად ვერასოდეს მოვახერხე.

დიდი მადლობ თქვენ, ქალბატონო მანანა, რომ ამშვენებთ ქ. გორს.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ძვირფასო მანანა.

მდინარიძე ნოდარი

ქართველებს გვაქვს და გვიყვარს ასეთი გამოთქმა – „..სამეგობრო კაციაო“...

დიახ, სამეგობრო ვაუკაცია ნოდარ მდინარიძე. არაფერს დაიშურებს კაცის დასახმარებლად; ღმერთმა ძალა მისცეს.

მე, პირადად, ვგრძნობ, რომ როცა იგი ჩემს გვერდით დგას – უფრო ძლიერი ვარ და უფრო იმედიანი.

მისი ხმა და ჟესტიკულაცია არის მომხიბვლელი და ენერგიის მფრქვეველი.

საოცარი სიძლიერის არტისტი, დეკლამატორი და თამადა გახლავთ ნოდარი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ლექსებზე და წიგნზე, სახელწოდებით „მეაკვნე“.

ნოდარმა დიდი მხარშიდგომა და დახმარება აღმომიჩინა, როცა ტელეარხ „თრიალეთში“ მიმყავდა საავტორო გადაცემა (2003-2005 წ.წ.) „ლიტერატურა და ხელოვნება“. ნოდარი ცდილობდა, რომ გადაცემა ყოფილიყო მოკლემეტრაჟიანი და რაც შეიძლება – ხარისხიანი. გზადაგზა მიხსნიდა პროგრამის წაყვანის დეტალებს და ნიუანსებს.

მადლობა, ჩემო ნოდარ.

მოციქულაშვილი კობა

განათლებული და გამოცდილი სპეციალისტი გახლავთ ბატონი კობა.

1981 წელს გავიცანით ერთმანეთი გორის საკონსერვო გაერთიანებაში. მალე გავუგეთ ერთმანეთს. ერთხელაც შევთავაზე პრაქტიკულად შეგვემოწმებინა თეორიული მოსაზრება, რომელიც ითვალისწინებდა პროდუქციის დანაკარგების მნიშვნელოვან შემცირებას და აქედან გამომდინარე – წარმოების ეფექტიანობის გაზრდას. ორნი, მე და კობა, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ვატარებდით იდეის პრაქტიკულად განხორციელების სამუშაოებს და დაკვირვებას. შედეგები ძალიან კარგი იყო.

გამაოცა, ექსპერიმენტების დროს, მისმა სკრუპულოზურობამ და საკითხის მეცნიერულ სიღრმეში ჩაწვდომის უნარ-

მა და სურვილმა. და კიდევ... დიდი ხანია დაუზარებლად მეხმარება საოჯახო ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში თუ კი მე შევეხმიანები; არადა ხშირად მეუბნება – „ხომ არაფერი გინდა, არ მოგერიდოს, მზად ვარ შენს გვერდში დავდგე, როცა ამის საჭიროებას იგრძნობო“.

დიდი მადლობა, ჩემო კობა. ღმერთმა სიკეთით გატაროს. შენ ისეთი კაცი ხარ, რომ ყველას სჭირდები.

კობა მოციქულაშვილი გამოირჩევა ზრდილობითა და ყურადღებით. ჩვენ კარგი მეზობლები ვართ. გვიხარია ერთმანეთის ნახვა და მხარში დგომა.

ნადირაშვილი დათო

კვების მრეწველობის დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, გორის ტექნიკური ინტელიგენციის წარმატებული წევრი დავით ნადირაშვილი გახლავთ ჩემი ე.წ. კარის მეზობელი (მეუღლე ნანა კვარიანთაშვილი) უკვე მრავალი წელია.

საქმის კეთება იცის უხმაუროდ. მე და ჩემი ოჯახი ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ კარის მეზობლის მხარში დგომის სიკეთეს. დათოს და მის მეუღლეს, ისევე როგორც ქალიშვილებს, დიდი დახმარება აქვთ გაწეული ჩემი მეუღლისათვის, როცა ის ავადმყოფობდა. როგორც საკუთარ დედას, ისე ექცეოდნენ. უღრმესი მადლობა დათოს და მის მეუღლეს – ნანას.

ორჯონიკიძე თამაზი

რაც ვიცნობ, სულ იმის ცდაშია, რომ რაიმეთი დამეხმაროს.

გესიამოვნება, როცა ასეთ ადამიანს ხედავ და არათუ მხოლოდ ხედავ, არამედ გრძნობ კიდეც, რომ ცდილობს რაიმეთი გასიამოვნოს და გაგახაროს. ქუჩაში (გორი, სტალინის 24, I სადარბაზო) დაფა მაქვს გამოკრული, სადაც ადამიანებს ვეფერები, ვულოცავ, ვეხმარები, სასიამოვნო ინფორმაციას ვაწვდი და ა.შ.

თამაზ ორჯონიკიძე აქტიურად მეხმარება თავისი აკროსტიქული ლექსებით (უმეტესად ეხება სპორტისა და ხელოვნება-კულტურის სფეროებს).

მადლობა, ჩემო თამაზ, მხარში დგომისათვის. ხშირად გაგეხარებინოს ადამიანები.

ოქროპირიძე ლია

დიდი ხანია ვიცნობ ქალბატონ ლიას. მან ურთულესი ცხოვრებისეული გზა განვლო და არასდროს ჩაუმუხლია.

ყოველ ნაბიჯზე იკვეთება მისი განათლებულობა, კეთილშობილება და მრავალმხრივი სასიკეთო განწყობა გარშემომყოფთა მიმართ.

ამჟამად, ქალბატონი ლია წარმართავს ერთობ საინტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის (ქ. გორში ი.ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი) მოღვაწეობას და საკმაოდ წარმატებულადაც.

განსაკუთრებულად ვაფასებ ქალბატონი ლიას მხრიდან ჩემდამი თბილ, ალერსიან და უკეთესის მდომ დამოკიდებულებას, რაც არაერთხელ ვიგრძენი მის მიერ ჩემი მეცნიერული თუ ლიტერატურული მოღვაწეობის შეფასებისას საზოგადოების ამათუიმ თავშეყრაზე.

დიდი მადლობა ქალბატონ ლიას იმისთვისაც, რომ გორის გასაცნობად სხვა ქალაქებიდან ჩემთან ჩამოსულ სტუმრებს უთმობდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

დღეგრძელობა თქვენ, ქალბატონო ლია.

პაიჭაძე ნონა

თითქმის სამოცი წელია ვიცნობთ ერთმანეთს, ამიტომ სრული უფლება მაქვს მისი მისამართით ვისროლო ეპითეტების თაიგული: ქალი სიცოცხლე, ქალი ნაპერწკალი, ქალი ვაჟკაცური, ქალი მებრძოლი სულისკვეთებით, ქალი საუკეთესო მეუღლე (მისი მეუღლე გახლდათ გივი შერმადინი), მეგობარი, დედა, მეზობელი, კოლეგა, სპორტსმენი, ლიტერატურული ცხოვრების მოტრფიალე, წიგნებისა და პუბლიცისტური მასალების ავტორი და ა.შ. და ა.შ. იყო ქალაქ გორის საუკეთესო ქალი კალათბურთელი.

მისი მეუღლე გივი და თავად ნონა (რომელსაც ხშირად, ზო-

გიერთი მამაკაცური შემართების გამო, მივმართავ ხოლმე სიტყვა – ნონა „ალექსანდროვიჩ“) ჩემი და ჩემი მეუღლის, ირას განუყრელი მეგობრული ტანდემი იყო (დღეისთვის, სამწუხაროდ, ორი ტანდემიდან დარჩა ორი „სოლო“. აღარ არის გივი, აღარ არის ირა).

მათმა ოჯახმა დიდი დახმარება გაგვიწია (განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს) ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეში.

ქალბატონი ნონა გახლავთ უნიკალური პიროვნება, რომელიც მუდამ მზადაა დაეხმაროს გაჭირვებულს. ეპითეტებში გამომრჩა მეთქვა – ნონა არის ქალი – სიცოცხლის გენერატორი.

წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი მისი წიგნის („სტრიქონებს შორის“) რედაქტორი. იქ ვამბობ: „ბედმა მარგუნა მასთან და მის მეუღლესთან, გივი შერმადინთან მუშაობა გორის კვლევით ინსტიტუტში, სადაც ჩვენი ოჯახების მომავალი ურთიერთკეთილი განწყობისა და ღრმა პატივისცემის აკვანი დაირწა...“.

ნონა პაიჭაძის კალამს ეკუთვნის გორის №3 საჯარო სკოლის ჰიმნი (ამ სკოლაში მუშაობდა მრავალი წლის განმავლობაში).

ამონარიდი ჩემს მიერ მიძღვნილი ლექსიდან:

„...რაკეტა რაა, ელვა რაა, ან ნაპერწკალი,
რამდენჯერ განახე მოედანზე, დაანთე ალი...“

მადლობა ყველაფრისთვის.

პაპუაშვილი ლერი

ქ. თელავში, თამადების ქალაქში (სადაც ვიზრდებოდი და ვსწავლობდი 18 წლის ასაკამდე) დაბადებულს, ფეხადგმულს, სკოლის ოქროს მედლით დამშვენებულს და განსაკუთრებით კი ცნობილი თამადის (მამაჩემის, რევაზ ნიკოლოზის ძე ჭანკოტაძის) ოჯახში გაზრდილს, არ მეგონა, თუ ვინმეს თამადობა ისე ძლიერ მომეწონებოდა და მომხიბლავდა, როგორც ლერი პაპუაშვილის მიერ სუფრის გაძღოლა. ეს კი მართლაც „აკადემიაა“.

ლერი მრავალი წლის განმავლობა-

ში ხელმძღვანელობდა გორის განათლების განყოფილებას. მე იგი გავიცანი XX საუკუნის 70-იან წლებში, სწორედაც რომ ერთ-ერთ ოჯახში ქართული სუფრის თამადის რანგში მყოფი.

თითქოს სხვა, ახალ სამყაროში მოვხვდიო – დახვეწილი ქართული სადღეგრძელოების უცნაური მიმდევრობა, სასიამოვნო ტემბრი, საგანგებოდ შერჩეული სიტყვები, ტერმინები, სინონიმები, შიგადაშიგ საოცარი პერიფრაზები და რაც ყველაზე მთავარია – მოულოდნელი და სასურველი ლაკონურობა.

აი, ლერი პაპუაშვილის ერთ-ერთი საგანძური, ეროვნული ტრადიციებით გაჯერებული საგანძური, რომლის მოსმენაც აღაფრთოვანებს ყველას, ვისაც ყურები არ აქვს დაცული.

მოდი და ნუ მიჰბაძავ...

მივბაძე, გავამრავალფეროვნე კახური კილოკავებით, დავუმატე ფირუზ მახათელაშვილისა (მასწავლა სიმღერა 1948-1951 წ.წ.) და ოთარ რამიშვილის (მასწავლა გიტარის დაკვრა) მუსიკალურ-აკორდული ნიუანსები და „გავიმართე წელში“.

ახლა კი გათამამებულმა შემიძლია ვთქვა – მისი (მათი) დამსახურებით დღეს, „რაცა ვარ – ესა ვარ“.

უღრმესი მადლობა, ბატონო ლერი.

იცოცხლე, რამდენიც გსურდეს. თქვენი დევიზი ხომ არის – განათლება უპირველეს ყოვლისა, ჰოდა, დაე, თქვენს მაგალითზე აღზრდილიყოს თაობები.

პატარიძე ედუარდი



გულიანი ბიჭია (თუმცა, რადა „ბიჭი“, უკვე 80-ს გადააბიჯა), დაუზარელი და ერთგული.

ძალიან ხშირად ამომიდგა მხარში და მაგრძნობინა მხარდაჭერის სითბო ყოველდღიური ოჯახური (პრაქტიკული) საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების საქმეში.

იგი არის (გორის სინამდვილეში) მოსიარულე ცნობათა ბიურო. ჰკითხეთ ყოველდღიური ყოფის რიგითი სიტუაციების სფეროდან რაც გნებავთ: მავანის ტელეფონი, მავანის მიამართი; ქუჩა, შესახვევი, ჩიხი, გვარი, თანამდებობა, ვინ გარდაიცვალა ან როდის, ვინ დაქორწინდა ან გათხოვდა, ვის ეყოლა შვილი ან შვილიშვილი, ვინ დაამთავრა სკოლა, ვინ

დაბრუნდა ჯარიდან, ვინ გაშორდა მეუღლეს, სად არის ქუჩა გადათხრილი ან მინა ჩატეხილი, სად რა იყიდება, სად იაფია, სად – ძვირი და ა.შ. და ა.შ. მან ყველაფერი იცის. ასეთი კაცის გვერდში ყოლა დიდი დახმარებაა ყველასთვის.

მადლობა მას სისტემატური და უანგარო დახმარებისათვის.

რატიშვილი ალბერტი

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისაც მე დავუახლოვდ-დავუძმაკაცდი გორში დამკვიდრების რთულ პერიოდში.

მალე გავუგეთ ერთმანეთს, როგორც პროფესიით მათემატიკოსებმა. განყოფილებას, რომელშიც ჩვენ ვმუშაობდით, ხელმძღვანელობდა ფიზიკოს-მათემატიკოსი, მეცნიერებათა კანდიდატი იოსებ კრიხელი.

მე და ალბერტი ვემსახურებოდით და ვუზრუნველვყოფდით კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიიავტომატპრომი“) მიმდინარე თითქმის ყველა სამუშაოს ეფექტურობის მათემატიკურ დასაბუთებას.

მასწავლიდა ნადირობას, თევზაობას (ანკესის გამართვას) და ჭადრაკის თამაშის სრულყოფის გზებს.

ხასიათი ჰქონდა სიმკაცრემდე ასული მომთხოვნი პედაგოგისა (წლების განმავლობაში ჩემს უმცროს ვაჟს ასწავლიდა მათემატიკას, უკვე სკოლაში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ).

ძალიან უყვარდა ქართულ სუფრასთან მოლხენა, თუმცა, მთლად მოხერხებულად ვერ გრძნობდა თავს, რადგან აქტიურად ვერ ერთვოდა სიმღერაში თუ ცეკვაში.

ვერ იტანდა ცუღლუტობას და სიცრუეს.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

რატიშვილი ანაიდა (იდა)

იდა გახლდათ ჩემი მეუღლის, ირას განუყრელი მეგობარი. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ არ შეეძლოთ უერთმანეთოდ გაძლება.

ირა და იდა იყვნენ თანაკურსელები, თანამშრომლები, კოლეგები, ახლო მეგობრები და მეზობლებიც კი (ჩვენს საცხოვრებელ ბინებს შორის დაახლოებით ასი მეტრია (სტალინის ქ. №24 და სტალინის ქ. №25).

იდა იყო საოცრად თბილი და ტკბილი ქალბატონი. არაერთი შემთხვევა მახსოვს მისი მხარშიდგომის და პატივისცემის, ოღონდ გაეგო, რომ დახმარება გჭირდება და შუაღამეც რომ ყოფილიყო, ადგებოდა და სულ ცუნცულით მოვიდოდა.

ძალიან გვეხმარებოდა მე და ირას ბავშვების აღზრდაში, სტუმრების მიღება-გამასპინძლება-გაცილებაში. უმაღლესი დონის მზარეული გახლდათ. ტკბილთითებას ვეძახდი. მის ნახელავს აუცილებლად მოჰყვებოდა „თითების ლოკვა“.

მისი დევიზი: „...ვიყოთ მომთმენნი და გულმოწყალენი, ნებისმიერ დროსო“. უყვარდა ჩემი სიმღერის მოსმენა.

დიდი მადლობა ჩემო დაიკო იდა. ნათელში იყოს შენი სული.

რატიშვილი თამარი (კუკური)

გორის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი. გორის ლუდ-ლიმონათის ქარხნის წარმოების უფროსი მრავალი წლის განმავლობაში.

ქალბატონმა თამარმა (კუკურიმ) უდიდესი დახმარება აღმომიჩინა, როდესაც, ჩემი ნების უგულვებელყოფით დამნიშნეს ქარხნის დირექტორად (1977-1979 წ.წ.). მე, მეცნიერ-თეორეტიკოსს ცოტა რამ თუ გამეგებოდა პრაქტიკული მოღვაწეობის. ქალბატონი თამარი მიწევდა უდიდეს დახმარებას, რის შედეგადაც მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს. შეუფასებელია მისი ღვაწლი ჩემი პრაქტიკულობაში გაწვრთნის საქმეში. როგორც პატარა ბავშვს, ისე დამდევდა კვალდაკვალ და მაწრთობდა.

დიდი მადლობა ბრწყინვალე ქალბატონს.

„...იქ ნათელი დაადგესა...“

როსტომაშვილი სულიკო

დიდად განათლებული, თავმდაბალი, კულტურული და მაღალი დონის პროფესიონალი პედიატრი გახლდათ ბატონი სულიკო როსტომაშვილი.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში გავიცანი. მეზობელს უთქვამს, ქუჩაში შეხვედრისას, ვახტანგის ბავშვს (2 წლის იყო მაშინ ჩემი უფროსი ვაჟი) რაღაც აწუხებს და იქნებ ნახოო. მეზობელს ჩემი ზუსტი მისამართი მიუცია.

კარებზე აკაკუნებენო, მითხრა მეუღლემ... გავაღე კარი... ვხედავ სიმპათიური შეხედულების მამაკაცს, მიღიმის ცისფერი თვალებით და ვინაობას მეკითხება...

ასე გავიცანი დიდებული კაცი, რომელმაც ჩემი შვილი ხელში აიყვანა, მოეფერა, წინ და უკან მხარეს მოუსმინა, რაღაც სამედიცინო ტერმინი იხმარა, მერე გახსნა რაღაც პატარა ჩანთა, ამოიღო წამალი და გვითხრა – ეს მიეცით დღეს საღამოს და ხვალ დილით... ნუ გეშინიათ, სერიოზული არაფერია, ერთ დღეში კარგად იქნებაო, დაგვამშვიდა და წასასვლელად მოემზადა.

მეორე დღეს, საღამო ხანს მოვიდა, მოგვიკითხა, ბავშვი ხელში აიყვანა, რაღაც შეხვეული აჩუქა და დაგვამშვიდა – ყოჩაღი ბიჭი ყოფილა, უცბად გამოსწორდაო და პალტოს ჩასაცმელად გაიწია.

ჩემმა მეუღლემ დრო იხელთა და ყურში მკაცრი ტონით ჩამჩურჩულა – მიდი, დროზე, ფული ჩაუდე ჯიბეშიო.

დავიბენი; ვიგრძენი, რომ სახეზე ალმურმა გადამირბინა (ვერ შევეჩვიე ქრთამის ფენომენს. ამიტომ იყო, რომ პირადი განცხადებით მივატოვე ერთ-ერთი ქარხნის დირექტორის თანამდებობა), მეუღლემ მიჯიკავა – მიდი, დროზე... არ შერცხვეო. დაბნეულმა და ნირწამხდარმა, რაღაც ბანკნოტი ამოვაჩოჩე ჯიბიდან და ის იყო უნდა ჩამეტენა ბატონი სულიკოს პალტოს ჯიბეში, რომ კეთილშობილმა სტუმარმა-ექიმმა შეამჩნია ჩემი განზრახვა, სახე შეეცვალა და რომ არ მოველოდი, ისეთი მკაცრი ტონით მითხრა – სადარბაზოში გამომყევიო.

გავყევი და გავაცილე... „ჩაიდე ჯიბეში, რაც ხელში გიჭირავსო“... სულ დავიბენი და გამოვშტერდი, აღარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, ის კი კარგად მახსოვს, რომ მეგობრულად მირჩია: „...ცოტა მეტი დაკვირვება გმართებს ადამიანების ამოცნობაშიო. თუ არ ისწავლე, ვის უნდა მისცე ქრთამი და ვის არა, ცხოვრებაში ბევრჯერ შერცხვებიო...“.

დიახ, ძვირფასო მკითხველო; მართალი გახლდათ ბატონი სულიკო. ადამიანის ამოცნობას დიდი დაკვირვება სჭირდება, დიდი დაკვირვება კი დიდ შრომას და ძლიერ სურვილს მოითხოვს.

ახლა კი მინდა ორიოდე სიტყვით, უფრო სწორად კი ბატონი სულიკოს ერთ-ერთი ლექსიდან (სურათზე ხედავთ მის ლექსთა კრებულს, რომელიც გამოიცა 1991 წელს). რამდენიმე ტაეპით ოდნავ მაინც შეგახოთ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

„...მე მოწყალებას არავისგან არა ვთხოულობ,
ხალხის სიყვარულს დაუღალავ გარჯით ვპოულობ,
შრომას, სიყვარულს გაუმარჯოს და მას დიდება,
ჩვენ სათუთ გრძნობებს ვინც სათუთად მოეკიდება...“

ნათელში იყოს საყვარელი კაცის სული.

რობაქიძე თამაზი

სამხატვრო აკადემიაგამოვლილ კაცს ყოველდღიური ცხოვრების წესად ექცა, რასაც აკეთებს – ლამაზად გააკეთოს, ისე, რომ მოსაწონი და მისაბაძი იყოს.

გარეგნული იერ-სახით ტკბობა ხომ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ადამიანების ყოველდღიურობისა და ესთეტიკური თრობისა.

თუ კარგად დააკვირდებით თამაზის მიერ შექმნილ საყოფაცხოვრებო თემატიკის ფრაგმენტებს, დარწმუნდებით, რომ ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერია და ეს კარგად იცის ჩემმა დიდიხნის კეთილისმსურველმა და მხარდამჭერმა.

თამაზის „კოზირებია“ ასევე თავმდაბლობა და მისაბაძი ზრდილობა.

მუდამ სასიკეთოდ გარჯილიყოს, თამაზ, შენი მარჯვენა.

საათაშვილი ციალა

ჩემს ახლობლებს შორის ერთადერთია ციალა საათაშვილი, რომლის სახის ნაკვთები მუდმივი ღიმილის რეჟიმშია, ხოლო თვალები ისეთი ნაპერწკლებით ციმციმებენ, რომ შენს გაოცებას საზღვრები ეკარგება.

ჩვენი ნაცნობობის საწყის ეტაპზე, მისი მოციმციმე თვალების მხილველი, ვფიქრობდი, რომ ის რაღაც სიცრუეს ამზადებდა მოსაყოლად, ან ცდილობდა რაიმე ეშმაკობის ჩადენას თუ შეცდომაში შეყვანას და ა.შ.

მე ასეთი თვალები სხვასთან არავისთან მინახავს...

წლები გადიოდა და თანდათან ვრწმუნდებოდი (და ბოლოს დავრწმუნდი), რომ ქალბატონი ციალა არასოდეს ცრუობდა, არც

გატყუებდა, არც ეშმაკობდა და როგორც დღეს ამბობენ – არც შენ „გადაგდებას“ აპირებდა. მას, ასეთი თვალები არგუნა გამჩენმა ღმერთმა და არგუნა იმიტომ კი არა, რომ მხოლოდ იციმციმონ და ინაპერწკლონ, არამედ იმიტომ, რომ სიამოვნება და სიხარული მიანიჭონ ადამიანებს უწყვეტად და უხვად.

სიამოვნება და სიხარული კი ძირითადი ფაქტორებია ადამიანის სულიერი სამყაროს გაჯანსაღების გზაზე და სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მადლობა შენ, ქალბატონო ციალა, შენი იმ თვალებისათვის, რომლებმაც მრავალ ადამიანს მიანიჭეს სიამოვნება, ხალისი და იმედი უკეთესი მომავლისა.

დღეგრძელი იყავ მრავალჟამიერ.

სადაღაშვილი ეთერი

მაგარი ქალბატონია, მებრძოლი სულისკვეთების. ნებისმიერ საზოგადოებაში სწრაფად ექცევა ყურადღების ცენტრში თავისი თვითმყოფადი ხასიათით, საუბრის მანერით და მომხიბვლელი ღიმილით.

დიდიხანია ვიცნობთ ერთმანეთს და არ მახსოვს რაიმეთი გვეწყენინოს თუნდაც ერთხელ.

მისი ნახვა ყოველთვის მიხარია. ყოველი შეხვედრისას მომაჯადოებელი ღიმილით მეტყვის ხოლმე – „როგორ ახალგაზრდულად გამოიყურებით, ბატონო ვახტანგ“! გამოვტყდები და ვიტყვი – ამ სიტყვების მოსმენისას, ყოველ ჯერზე მემატება სიცოცხლე, რამდენით – არ ვიცი.

რა დამავიწყებს მის სიტყვებს ჩემი მისამართით ნათქვამს (ამონარიდი მისი ლექსიდან):

„...ბორში მოსულმა, თელავურმა დაუღვინარმა,
დაღვინება და დაკაცება აქ შეძლო ბედთან...“

გაიხარე, ჩემო დაიკო, მრავალჟამიერ!

სოსანიძე თინა

ერთხელ, მეგობრულ სუფრას შემომსხდართა გასაგონად, ნახევრადხუმრობით ვთქვი – გორში თუ ვინმე ან რამე მუშაობს, ეს მუზეუმებია-მეთქი (ვგულისხმობდი და ახლაც ვგულისხმობ) სტალინის სახლ-მუზეუმს და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ეგ როგორაო, იკითხა ერთმა შეზარხოშებულმა... როგორა და ასე: მე იქ ყავის მსმელები და მზესუმზირის ხმაურიანი მაწკაპუნებლები არ მინახავს და სულ თავდაღუნულნი მუშაობენ-მეთქი.

ახლა დავამატებ, რომ ორივე ამ უწყებას ხელმძღვანელობს ბრწყინვალე ქალბატონი და ბრწყინვალედაც.

ქალბატონ თინა სოსანიძეს (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი) ვაცნობ თითქმის ორმოცი წელია და მისი მხრიდან ტკბილი და თბილი სიტყვის გარდა (ჩემი მისამართით) არ მსმენია.

ჩვენი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია ერთი მიზნით – გავაკეთოთ რაიმე სასარგებლო მუზეუმისთვის და მისი დამთვალიერებლებისათვის. რამდენი ასეთი ფაქტი უკვე არსებობს, კერძოდ – ქალბატონი თინა, ჩემს საავტორო მნიშვნელობის შტრიხებს, თუნდაც მცირე ისტორიული მნიშვნელობის შტრიხებს, ათავსებს სპეციალურ სტენდზე, რაც უდაოდ დიდი დახმარებაა ჩემი მოღვაწეობის პოპულარიზაციის ჭრილში.

მე კი ჩემი ინიციატივით დავეძებ საინტერესო, გორისთვის ისტორიული მნიშვნელობის რაიმე ნივთს, საგანს, თუ სხვა რაიმეს, რათა დიდი სიამოვნებით გადავცე მუზეუმს საჩუქრად და შესაძლოა დამთვალიერებლების დასაინტერესებლად და გასაოცებლადაც.

ამასწინათ აღმოვაჩინე და საჩუქრად გადავეცი მუზეუმს 1914 წელს ქ. თელავში გამოცემული მცირე მოცულობის წიგნი სახელწოდებით – „თელაველ ბარიშნებზე“, ანუ სირანუშას ხმა სამარიდან.

ასე და ამრიგად, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მე მოხარული ვარ ქალბატონი თინას მხრიდან გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისა, რისთვისაც მას მოვახსენებ უღრმეს მადლობას.

გისურვებთ კარგად ყოფნას და წარმატებებს, ქალბატონო თინა.

ღმერთმა არ მოგაკლოთ სიკეთე.

სოსიაშვილი გიორგი

პროფესორი, გორის უნივერსიტეტის რექტორი, დაუზარელი და საოცრად ენერგიული საზოგადოებრივი მოღვაწე. მის საზრუნავ სფეროებში ყველგან იგრძნობა მაღალი დონის პროფესიონალიზმი, მოწესრიგებულობა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საოცარი უნარი.

დიდი ხანია გამიჩნდა სურვილი, შევიძინო მისგან ბევრი რამ (შემოქმედებითი დისციპლინა, პრინციპულობა, მომთხოვნელობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა და ა.შ.), რასაც ნაწილობრივ ვახერხებ. ორჯერ დამითმო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი ჩემი საიუბილეო თარიღებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად.

მადლობა მას ყოველმხრივი მხარდაჭერისათვის.

სპარსიაშვილი ფარნა



გორის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის („ნიიავტომატპრომი“) დირექტორი 1987-1991 წლებში.

მკაცრად მოითხოვდა თანამშრომლებისგან, რომ „ყველაფრისთვის დაგვერქვა თავისი სახელი, ყველაფერი დაგვედო „თავის“ ადგილზე და ყველაფრისთვის განგვესაზღვრა გამოყენების „თავისი“ დრო.

სუხიტაშვილი შერგილი

მე და შერგილს პირველ რიგში გვაკავშირებდა ერთი ქალაქიდან (თელავი) წარმომავლობა. ერთიდაიგივე, ერეკლეს ციხე-ქალაქის კედლებით გარემოცული ვაჟთა მეორე გვქონდა დამთავრებული, მას ჩემზე გვიან – 3 წლით.

ურთიერთობა მუდამ თბილი გვქონდა.

შერგილი იყო ადვილად მიმნდობი და გულუბრყვილო ბავშვის დარი პიროვნება – გულწრფელი და მიამიტი.

ვერაფრით იჯერებდა, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცრუობენ, ღალატობენ, ზარმაცობენ, იგინებიან, ჩხუბობენ და ა.შ.

მძიმე სულიერი განწყობის ჟამს, ვცდილობდი მივსულიყავი მასთან, რათა გაგვეხსენებინა ჩვენი ბავშვობა, ფეხბურთის სკოლა, სიმწიფის ატესტატები, ჩვენი პედაგოგები, ბავშვური თამაშები და სხვა.

ჩემთვის, როგორც „ზემლიაკისთვის“ ყოველი მასთან გატარებული წუთი იყო ძვირფასი და სანატრელი.

ამონარიდი მიძღვნილი ლექსიდან (2015):

„...არც ჭადრაკი არის უცხო,
არც სპორტი და არც სტატია...
ეფერება ნაცნობ, უცნობს,
გულს სიკეთე ახატია...“

სამარადისო ხსოვნა საუცხოო პოეტს, მოჭადრაკეს, მეგობარს.

სუხიშვილი ვალერი (აკადემიკოსი)



განათლება-მეცნიერების სფეროების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ათასობით ახალგაზრდის სწორ გზაზე დაყენების მედროშე; დაუზარელი და მუდამ შემართებით მოღვაწე.

მასთან ურთიერთობისას გიჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ იგი ჩასაფრებული ელის შესაძლებლობას, დაეხმაროს ვინმეს. ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, ამოუდგეს მხარში მას, ვისაც მეტად სჭირდება დახმარება. ბატონი ვალერი სიკეთის გენერატორია – ათასობით ადამიანი გამოხატავს მადლიერებას ბატონი ვალერის ღვაწლის გამო.

მომხიბვლელი და იშვიათია მისი ხმის ტემბრიც.

დიდი მადლობა დიდ კაცს.

ტაბატაძე ალექსანდრე

ალექსანდრე გახლდათ კარგად ცნობილი გორელი პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი, ფოტოგრაფი, რედაქტორი და ა.შ.

მთავარი კი მაინც ის გახლდათ, რომ იგი იყო, მართლაც რომ წარმოუდგენლად ენერგიული და შრომის მოყვარული კაცი.

არ უყვარდა უაზრო ლაპარაკი, „მიდი-მოდი“, თუ დითირამბები. მოკლე საუბარი და ლოგიკური დასკვნები იყო მისი ხასიათის

ძირითადი ნიშნები.

ის პირველი არ იყო (ადრე მქონდა მცდელობა ინჯიასთან, დადიანიძესთან, ბიძინაშვილთან), ვინც უარი მითხრა დამხმარებოდა და შეესწორებინა ჩემი ერთ-ერთი ლექსი. როგორ შეიძლება სხვისი ლექსის შესწორებაო და უკან მომაწოდა ისე, რომ არც წაუკითხავს.

არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი?! თანდათან კი ვრწმუნდებოდა იმაში, რომ მართლები იყვნენ ისინი (ალბათ სხვებიც), ვისაც მივადექი ლექსის შესასწორებლად.

არ მოვეშვი ალექსანდრეს. მეორედაც ხელცარიელი გამომისტუმრა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ ვეწვიე... ამჯერად ლექსი არ მიმიტანია – აბა, რა გინდაო, შემომხედა გაკვირვებით; „არც ვაციე და არც ვაცხელე“, მივახალე მოურიდებლად, რომ თუ არ მასწავლიდა „რაღაც-რაღაცეებს“ გაზეთში დავწერდი ყველაფერს.

ჩაფიქრდა, საწერ მაგიდაზე მისწი-მოსწია წიგნები და ქაღალდების გროვა და ჩატარდა პირველი გაკვეთილი. გაკვეთილს გაკვეთილი მოჰყვა, თვეს – თვე და მივაღწიე იმას, რომ სამი თუ ოთხი თვის შემდეგ მოიწონა ჩემი ახალი ლექსები.

მას შემდეგ გავიდა 35 წელზე მეტი. გამოცემული მაქვს ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებული, ვფიქრობ რაღაც დონეზე – ნორმალური და საინტერესო.

დიდი მადლობა ალექსანდრე ტაბატაძეს. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

ტაბატაძე მარინე

არაერთხელ ვყოფილვარ მათ ოჯახში. მარინეს მამა, ბატონი იროდიონი გახლდათ (საუკუნეზე მეტხანს ამაყად დააბიჯებდა დედამიწაზე ომისა და შრომის ვეტერანი, ბუმბერაზი პიროვნება) საზოგადოებაში ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება, რომელმაც სამშობლოს გაუწია ნამდვილი შვილობა ბრძოლით (მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი), შრომით (გორის საპატიო მოქალაქე) და ბრწყინვალე ოჯახის

შექმნისა და მონაგარის დამოძღვრით (აღსანიშნავია, რომ ლიახვის პირზე ჰქონდა მიწის ნაკვეთი, სადაც მოჰყავდა ოჯახისთვის საკმარისი დოვლათი).

ასეთი კაცის ოჯახში მიმიყვანა ჩემმა ბედმა და გამაცნო იროდიონ ტაბატაძის ქალიშვილი, მარინე, რომელიც ახალგაზრდული ასაკიდანვე ეხმარებოდა მამას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ახალი ტექნიკური ხასიათის გამოგონებები.

მე, როგორც მეცნიერ-მუშაკს, კარგი სამსახური გამიწია მათმა გამოგონებებმა (რამდენიმე ათეული), თუმცა მათ ოჯახში ყველაზე მეტად მომხიბლა ორი შვილის დედამ, მარინე ტაბატაძემ, რომელმაც როგორც მასპინძელმა, ისეთი მიღება მომიწყო, რომ გაოცებული დავრჩი.

მომავალში, ლიტერატურის სფეროში, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. მუდმივად ვგრძნობდი მისგან ჩემი ოჯახისადმი კეთილგანწყობას. მას, როგორც პედაგოგს, შესწევს უნარი ნებისმიერ ადამიანს ურჩიოს რაიმე სასიკეთო და სასარგებლო და ამას აკეთებს ისე ფაქიზად და ისეთი პრინციპულობით, რომ აღტაცებაში მოჰყავს ყველა.

მარინე ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო სასურველი სტუმარი. ჩემს მეუღლეს, ირას, ძალიან მოსწონდა იგი – ხშირად უთქვამს ჩემთვის – მაგარი გოგოაო.

ეს მაგარი გოგო, დღესაც განაგრძობს თავდაუზოგავ შრომას (სკოლის დირექტორის რანგში) მომავალი თაობების აღზრდის სფეროში.

წარმატებული ყოფილიყოს შენი გარჯა, ქალბატონო მარინე.

დიდი მადლობა ჩემი ოჯახის სიყვარულისთვის და პატივისცემისთვის.

აღსანიშნავია ის სიკეთე, რაც მომიტანა თქვენს ოჯახთან, განსაკუთრებით მამათქვენთან მეგობრულმა ურთიერთობებმა და მისგან მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ.

მადლობა.

ტატალაშვილი ჩეკო (სერგო)

წიგნის ფორმატი არ მაძლევს საშუალებას ვრცლად ვისაუბრო ჭეშმარიტად ვაჟკაც პიროვნებაზე, ჩეკო ტატალაშვილზე (სახალხო არტისტი).

ვიტყვი მოკლედ – ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი მას, ადამიანს, რომელსაც პატივს სცემდა მთელი საქართველო. უდიდესი მხარდაჭერა გამიწია, როცა ტელევიზიით მიმყავდა პროგრამა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ენერგიული, ნიჭიერი, პატიოსანი, ერ-

თგული, მხიარული, დაუღლელი და ა.შ.

ხშირად უთქვამს ჩემთვის „მოფიქრებული საქმე სწრაფად და კარგად კეთდებაო“.

არასდროს გვირჩევდა აჩქარებას.

დიდი მადლობა, ჩემო ჩეკო, რომ ძმად მიგულე. ნათელში იყოს შენი სული.

ტიტვინიძე ვალოდია

გორის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის („ნიიავტომატპრომი“) დირექტორის მოადგილე საერთო, სამეურნეო დარგში.

თანამშრომლებს თავი შეაყვარა თავმდაბლობით და პატიოსნებით.

დინჯი ხასიათის კაცი იყო, კარგად ნალოლიავები ულვაშებით. ზრუნავდა ახალაგზრდა სპეციალისტებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვინც სხვადასხვა რაიონებიდან იყვნენ ჩამოსულები და ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებელში. მათ შორის ვიყავი მეც.

დიდი მადლობა მამობრივი მზრუნველობისათვის. ნათელში იყოს თქვენი სული.

ტლაშაძე-ლომინაშვილი მარინე

ჩვენ ერთმანეთი გავიცანით ქ. გორში, ტელეკომპანია „თრიალეთის“ ვესტიბიულში. მივიპატიჟე სამუშაო ოთახში, რომელშიც ძირითადად მზადდებოდა ხოლმე მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ვიდეოფილმები გადაცემისთვის „ლიტერატურა და ხელოვნება“. ხაზგასმული მორიდებით მკითხა ...თუ შეიძლება, რომ ჩემი ლექსები წავიკითხო და გადასცეთ ეთერში...“

კი ბატონო, მაჩვენეთ-მეთქი.

იმ წუთებიდან ქალბატონი მარინე გახდა ჩვენი გადაცემის ერთ-ერთი აქტიური წევრი. გარდა იმისა, რომ მაყურებლის დიდ აუდიტორიას აცნობდა თავის შესანიშნავ ლექსებს, იგი აქტიურად მუშაობდა დამწყებ ახალგაზრდა პოეტებთან, რათა მათ მისცემოდათ შანსი მიეღოთ მონაწილეობა პროგრამაში „ლიტერატურა და ხელოვნება“.

მარინემ დიდი დახმარება გაუწია, როგორც ტელეარხს, ისე მე, როგორც პროგრამის ავტორს.

დიდი მადლობა ქალბატონო მარინე, მხარში დგომისა და დახმარებისათვის.

ახლა კი თითო სტროფი ერთმანეთისთვის მიძღვნილი ლექსებიდან.

მე, მარინესგან

„...ლოცვად დაგდევდეს ღვთის ანგელოზი,
რწმენით გივსებდეს კალთას
და სიყვარული, ვით ავგაროზი,
გზას გიკვალავდეს მართალს...“

მარინეს (დაბადების დღისათვის)

„...შენთვის მოლოცვა რომ მსურდა,
ხან აქ გეძებე, ხან იქა,
მიშველეთ, ლექსი მომწყურდა,
თასი შემივსეთ, არიქა...“

ფანოზიშვილი გაიოზი (მათემატიკოსი)

ადამიანი სიჯიუტემდე მისული პრინციპულობით და მართლაც რომ შესაშური შრომისუნარიანობით და მრავალფეროვანი პროფესიონალიზმით. გამოირჩეოდა პატიოსნებით და მინდობილობით.

რჩებოდა შთაბეჭდილება და სინამდვილეშიც ისე იყო, რომ მას შეეძლო ყველაფრის კეთება. სახლში ჰქონდა პატარა სახელოსნო და ყველაფერ საოჯახოს თავისი ხელით აკეთებდა და არც მეზობლებს აკლებდა ყურადღებას. მისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა და მეც, როგორც მისმა ერთ-ერთმა ახლობელმა კოლეგამ – ბევრი რამ შევიძინე, განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებში, როგორიცაა: ხარატობა, ზეინკლობა, დურგლობა, კალატოზობა, მებოსტნეობა, ნადირობა, თევზაობა და მრავალი სხვა.

უღრმესი მადლობა მას.

ფილაური ეკა

ქ. გორის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმი-კარდიოლოგი.

მაღალი დონის პროფესიონალი. უაღრესად ჰუმანური პიროვნება.

ქალბატონმა ეკამ, ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ჩემს ოჯახში განუწყვეტლივ ყოფილიყო ჯანმრთელობის ზეიმი. მისი განსაკუთრებული ყურადღების სუბიექტი გახლდათ ჩემი მეუღლე ირა, რომელსაც დედასავით ეფერებოდა და უვლიდა.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო ეკა.

ღმერთმა არ მოგაკლოთ დღეგრძელობა და ბედნიერება.

ფოცხვერაშვილი ნაზო

ტექნიკურ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტი – იცნობს მთელ გორს. საქმეში გამოირჩევა ე.წ. „მიწოლით“. მასწავლა რამდენიმე ქართული კერძის მომზადება და ყვავილების მოვლა..

ადამიანთან ურთიერთობის დიდოსტატი. ჩემი მეუღლის დაქალი. გვეხმარებოდა ბავშვების მოვლა-აღზრდაში. ძალიან განიცადა ჩემი მეუღლის (ირა) გარდაცვალება. დღემდე არ ტოვებს ჩემს ოჯახს უყურადღებოდ. აქტიურად მეხმარება გორელების „ხსოვნის წიგნის“ ტომეულების გამოშვებაში.

დიდი მადლობა, ჩვენო ნაზიკო.

ქიბროწაშვილი ანზორი

ახლადჩამოსახლებული ვიყავი გორში, როცა მსოფლიოში ცნობილმა მოჭიდავემ (წარმოშობით კახელმა) სახლში მომინახულა საჩუქრებით ხელდამშვენებულმა და მითხრა – მანამ მიდგებ-მოდგები, მანამ ძმაკაც-მეგობრებს გაიჩენ და ფეხს მოიკიდებ, გახსოვდეს, რომ ქალაქში სიტყვა მეთქმის და როცა გინდა და რაც გინდა მითხარიო.

ნათელში ყოფილიყოს შენი სული, ჩვენო ანზორ.

ქიტიაშვილი მარინე

გორის საკონსერვო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

მოხდა ისე, რომ რამდენიმე თვე (მას შემდეგ, რაც საკუთარი განცხადებით დავტოვე ლუდის ქარხნის დირექორის თანამდებობა) უმუშევარი დავეხეტებოდი (პარტიის საქალაქო კომიტეტში გაბრაზებულები იყვნენ ჩემზე – კომუნისტები საკუთარი განცხადებით არ უნდა ტოვებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობასო). ოჯახს მალე დაეტყო ეკონომიკური თვალსაზრისით. მხსნელად მომევლინა ქალბატონი მარინე, რომელმაც დამნიშნა საკონსერვო გაერთიანების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროს ინჟინრად.

კონსერვტრესტის ხელმძღვანელობას მალე მისწვდა ამბავი ჩემი წარმატებული მუშაობის შესახებ. წელიწადნახევრის შემდეგ ჩემი მისამართით წამოვიდა მადლობებისა და პრემიების ნაკადი.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ქალბატონი მარინეს სული.

ქრისტესიაშვილი კარლო

ქ. გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მიუტანიათ ამბავი, რომ ერთი ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა არის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში და იქნებ დავაწინაუროთო. შემახვედრეს, ვისაუბრეთ... კატეგორიულად მითხრა: „პარტიის რიგებში თუ არ შეხვედი, რაიმე მნიშვნელოვან თანამდებობას ვერ ეღირსებიო“. დავუჯერე, შევედი, ვეღირსე...

სამი თვის შემდეგ გავხდი კომუნისტური პარტიის წევრი, ხოლო ცოტა მოგვიანებით გზა გამეხსნა ქარხნის დირექტორობის თანამდებობისკენ.

რამდენჯერმე შევხვდი კარლო ქრისტესიაშვილს ქართულ სუფრასთან. უყვარდა მოლხენა. დღესაც ყურებში მიჟღერს მისი სიტყვები – „...ნებისმიერ სიძნელეს დასძლევ, თუ გაქვს ცოდნა და ე.წ. „მიწოლის ჟინი და უნარი“-ო.

ქუთათელაძე ოთარი

ამონარიდი „ხსოვნის წიგნი“-დან (ნაწილი V; გვ. 83. 2019 წ.): ...მას არა თუ გული უცემდა სამშობლოსათვის, არამედ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე უძღვნა მამულის აღორძინებისა და გაბრწყინების ისტორიულ და საშვილიშვილო საქმეს“.

ბატონი ოთარი გახლდათ საქართველოს დამსახურებული არტისტი, გორის საპატიო მოქალაქე, მრავალი სიგელის, დიპლომის, პრემიის, თეატრალური კონკურსის ლაურეატობის წოდების მფლობელი და ღირსეული მატარებელი.

თეატრმცოდნეთა აღიარებით, ოთარის მიერ განსახიერებული გიორგი სააკაძის როლი გადაიქცა თეატრალური სცენის აღმოჩენად.

ოთარმა დიდი მხარდაჭერა გამოავლინა ჩემდამი მაშინ, როცა ადგილობრივ ტელეარხზე მიმყავდა საავტორო გადაცემა „ლიტერატურა და ხელოვნება“. მისმა წაკითხულმა ლექსებმა დიდი წონა შემატა ყოველ გადაცემას; ასევე, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან დღეს (დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეხვედრაზე, გორის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში) ოთარმა საოცრად მიმზიდველად და მაღალი ოსტატობით (თავისი ზღაპრულად ჟღერადი ბარიტონით) წაიკითხა ერთ-ერთი ჩემი ლექსი, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა დამსწრეთა მეხსიერებაში.

საღამოს დამთავრების შემდეგ მითხრეს – სავსე დარბაზს ჟრუანტელმა გადაუარაო.

მადლობა, ბატონო ოთარ, ჩემი მასშტაბური წარმოჩინებისათვის.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მიწა.

ღვინიაშვილი დათო

გვიყვარს ქართველებს გამოთქმა – „ოქროს კაციაო“, ჰოდა, მინდა მკითხველს გავუზიარო ჩემი შეხედულება კაცზე, რომელმაც თავისი პროფესიული ცოდნით (ექიმი-ტრავმატოლოგი) ბევრ პაციენტს შეუნარჩუნა ნორმალური ცხოვრების პირობები და გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

დათომ რამდენჯერმე მომიშუშა ფიზიკური ტრავმები ასაკოვანს. მასთან გატარებულ წუთებს მე ვუწოდებ შვების წუთებს. დათო ღვინიაშვილი არის ოქროსხელება დასტაქარი.

მადლობა შენ, ბატონო დათო.

ღოლიჯაშვილი არსენა

1975 წელს გამოვიდა ტაგუ მებურიშვილის წიგნი „მებაღეც უნდა ვიკითხოთ“, რომელშიც წერია: „არსენ ღოლიჯაშვილი სოციალისტური შრომის გმირიც არის და თავისი სოფლისა და რაიონის (გორის რაიონი, სოფ. რეხა) საყვარელი ადამიანიც; კაცი, რომელსაც აფასებენ, ენდობიან...“.

არსენ ღოლიჯაშვილი იყო კაცი, რომელიც საკუთარი მარჯვენით და შინაგანი მოწოდებით ქმნიდა ბედნიერების საწყისებს და ყოველგვარი ანგარების გარეშე უხვად აფრქვევდა ირგვლივ.

დიდი მეგობრობა არ გვქონია, მაგრამ ყოველი შეხვედრისას ჩვენს შორის მიმდინარეობდა, რომ იტყვიან, ტკბილი საუბარი ყოველდღიურობაზე და საიმედო მომავალზე. ერთხელ მხარზე ხელი დამადო და მითხრა – „კახელები მიყვარს, მშრომელი ხალხიაო“ – მესიამოვნა...

ერთხელაც მეგობართან ერთად შემოვიპატიჟე სახლში. ეზოს მხრიდან შევედით სადარბაზოში. შეამჩნია ამოთხრილი ორმოები და დაბარული 60-70 კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკვეთი. როცა გაიგო, რომ ვცდილობდი მწვანე მიკროზონის მოწყობას და ოჯახის საჭიროებისათვის მცირე რაოდენობით ბოსტნეულის მოყვანასაც – უამრავი რჩევა მომცა: რა დამერგო, რომელ მხარეს რა ნერგები გამეხარებინა, რამდენჯერ მომერწყო, შემომეღობა თუ არა და რითი და როგორ...

მოკლედ, მივიღე სასოფლო-სამეურნეო მიკროგანათლება. მომავალშიც არაერთხელ მოუცია პროფესიონალური რჩევები.

დიდი მადლობელი ვარ მისი. ხსენებულ მიწის ნაკვეთს კი დღესაც ამჩნევია ბატონი არსენის რჩევა-დარიგებების კვალი.

ნათელში იყოს კარგი ადამიანის სული.

შაფთოშვილი მიხეილი (მიშა)

ახალი ჩამოსული ვიყავი ქ. გორში (როგორც ახალგაზრდა სპეციალისტმა, მუშაობა დავიწყე კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში), როცა შალვა შათაშვილის (ზებოვიჩი) სუფრასთან გავიცანი მიშა. ძალიან აქტიური და მოუსვენარი მომეჩვენა. მითხრეს, ვინც იყო და რასაც სწავლობდა და საქმიანობდა.

ძალიან მოეწონა ჩემი სიმღერა და გიტარაზე დაკვრა – სამჯერ მამღერა სოლო-პარტია ოპერიდან „კარმენი“.

იქვე, სუფრასთან, აიღო ვალდებულება, რომ შემომატარებდა ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულს და საფუძვლიანად გამაცნობდა გორს.

ასეც გააკეთა. ერთი კვირა მატარა, მთელი ქალაქი შემომატარა და დაწვრილებით ამიხსნა გორის ისტორია და ქალაქის (იმდროისათვის) კულტურული ცხოვრების დონე და პერსპექტივები.

იმ ერთ კვირაში დავრწმუნდი, რომ ქალაქის მოსახლეობა მას დიდ პატივს სცემდა.

იმ დაუვიწყარ ერთ კვირაში კიდევ სამჯერ თუ ოთხჯერ სხვადასხვა სუფრაზე მამღერა სოლო „კარმენიდან“.

ნათელში იყოს დიდებული გორელის სული.

შაქარაშვილი ვაჟა

უაღრესად დახვეწილი პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტის განსახიერება, მამულისა და ხალხის გულმხურვალე პატრიოტი, მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და წარსულის სიყვარულის მქადაგებელი. გორის საპატიო მოქალაქე.

ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი ვაჟა შაქარაშვილს.

ერთხელ, საოჯახო ქართულ სუფრასთან, ე.წ. „ერთი-ერთზე“ პირობებში ვთხოვე, ძალიან ვთხოვე – ვაჟა, შენი ჭრიმე, დითირამბებს იქნებ კრი-

ტიკული და მეგობრული შენიშვნები, რჩევები და მოსაზრებებიც მოაყოლო-მეთქი...

სიწითლემ აურბინა სახეზე – ბატონო ვახტანგ, ვერ გაკადრებთო...

კატეგორიულად მოვთხოვე; კარგიო და შეასრულა კიდეც. იმდენი კარგი შენიშვნა, რჩევა მომცა მას შემდეგ, რომ გავიხარე კაცმა... ბევრი რამ პირველად გავიგე და ნაყოფიერადაც გამოვიყენე.

დიდი მადლობა ჩემო ვაჟა, ნათელში იყოს შენი სული.

შენგელია აჩიკო

სულიერად და ფიზიკურად ძლიერი პიროვნების განსახიერება გახლავთ ბატონი აჩიკოს „მე“.

სამხედრო ოფიცერი, შესაბამისი განათლებითა და გამოცდილებით, დიდი ხანია დგას ქვეყნისა და მშობლიური ხალხის უსაფრთხოების სადარაჯოზე, ვაუკაცურად და კეთილსინდისიერად ასრულებს რა თავის უწმინდეს მოვალეობას.

იგი ჩემი ვაჟიშვილების მეგობარია და მათი მხარში მდგომი. გამოირჩევა ხალისიანი და ღიმილიანი ურთიერთდამოკიდებულებით და ერთგულებით.

დიდი მადლობა მას ჩემი ოჯახის მხარში დგომისათვის, რისთვისაც იგი ყოველთვის მზად იყო, მზად არის და, იმედია, მომავალშიც მზად იქნება.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ჩემო აჩიკო, შენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

შერმადინები ემირი და გივი

შერმადინი გივი

გამორჩეულები იყვნენ დროის რაციონალური გამოყენების სურვილითა და უნარით. ვერ იტანდნენ ნედლეულის, ენერგიისა თუ სხვა დამხმარე მასალის უაზრო ხარჯვას.

ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტებს სულ ხელში ეჭირათ წიგნი, ჟურნალი თუ გაზეთი. ძალიან უყვარდათ კითხვა. ამიტომაც იყვნენ უმაღლესი დონის განათლებული პიროვნებები. კარგად იყვნენ ინფორმირებულები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა – კულტურა, ხელოვნება, სპორტი. გივი კარგად თამაშობდა – ფეხბურთს,

ჭადრაკს, პრეფერანსს. ჭადრაკში ძლიერი იყო ემირიც (წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების სფეროში).

გივი შერმადინის მეუღლე ქალბატონი ნონა პაიჭაძე ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი გახლავთ (ჩემი მეუღლის დაქალი).

სამწუხაროა, რომ დღეს აღარ გვყავს ორი ძლიერი პიროვნება. ისინი გამოაკლდნენ ქალაქის ინტელიგენციას. ათეული წლების განმავლობაში ვგრძნობდი მათ ძმურ და მეგობრულ პატივისცემას და დახმარებას.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

შიუკაშვილი ვაჟა



განათლებული და ენერგიული კაცი გახლდათ ვაჟა შიუკაშვილი – სად აღარ უმუშავია და არ მოუსინჯავს ძალები!

პარტიულ-სამეურნეო-კულტურულ-სალიტერატურო სფეროები იყო მისი ინტერესების სივრცეები და არეალები.

გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მეგობრული ურთიერთობები გვქონდა. ბევრი რამ მასწავლა სალიტერატურო საქმისა. განსაკუთრებული იუმორის ნიჭით დაჯილდოებული, ენერგიული და გამოცდილი ადამიანი. გაჩერებულს ვერ ნახავდით, სულ რაღაცას აკეთებდა. რედაქტორობდა გაზეთ „შემოქმედებას“. ნეტავ, ასეთი გაზეთი ახლაც გამოდიოდეს.

ლექსებს საუკეთესოს წერდა – ახასიათებდა ე.წ. „თავისი“ გარითმვის სტილი, რაც საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურებოდა და ჟღერდა.

პატივს სცემდა ქართულ მეგობრულ სუფრასთან მოლხენას და ჭიქის მიჭახუნებას.

პირში არასოდეს შევუქივარ, თუმცა, მომდიოდა ხმები, რომ დიდ პატივს გცემს და უყვარხარო, განსაკუთრებით მოსწონს შენი გიტარა და სიმღერაო... ხშირად კახურ სიდინჯეს და სიჯიუტესაც გიქებსო...

მეც მიყვარდა მასთან ყოფნა. განსაკუთრებით მოსაწონი და მისაღები იყო ჩემთვის ის, რომ ვაჟა უაზროდ არ კარგავდა წუთებსაც კი... მისი ქმედება ყოველთვის იყო მკაფიო, გამიზნული და მისაბაძი მომდევნო თაობისათვის.

ვაჟას ძალიან უყვარდა ექსპრომტად ლექსების წერა და მირთმე-

ვა ადრესატისათვის. ერთხელ მეც გავბედე და ერთ-ერთ სუფრაზე მისი დღეგრძელობისას მივუძღვენი სტროფი:

„...შენ ქიცმაცური და ქიციც იცი,
„შაყირთანა“ ხარ შეკრული ფიცით,
წუთები გარბის, დრო აღარ იცდის,
შენ, იუმორით „უჯოკრავ“ ვიცინს...“

ბევრი იცინა და მადლობაც მითხრა.

მადლობა შენ, ჩემო ვაჟა, რომ მეგობრულად მედექი მხარში.

შუბითიძე ირმა

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე გავიცანით ერთმანეთი. მაშინ ვმუშაობდი ტელეკომპანია „თრიალეთში“, მიმყავდა საავტორო პროგრამა – „ლიტერატურა და ხელოვნება“.

მოსწონებია გადაცემა და მეწვია, რათა გაეგო თუ როგორ ჩართულიყო, როგორც თვითონ აღნიშნა, საინტერესო პროგრამაში.

ჩაერთო, მაყურებელს გააცნო თავისი ლექსები და რაც მთავარი იყო ჩემთვის – ერთგულად ამომიდგა მხარში, რათა გადაცემა კიდევ უფრო დახვეწილიყო, უფრო მიმზიდველი გამხდარიყო და უფრო მეტი მონაწილე ჩაგვერთო მუშაობაში.

ერთხელ კიდევ მსურს უღრმესი მადლობა ვუთხრა ირმას გულითადი დახმარებისა და მხარში დგომისათვის.

ჩარექოვი თამაზი

თბილი, კეთილი და კულტურული პიროვნება, რომლისთვისაც პრიორიტეტები იყო: ოჯახი, საქმე, მეგობრები და იუმორი. ერთად ვმუშაობდით ორი ათეული წლის განმავლობაში გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. ნიჭიერებითაც იყო გამორჩეული და ნელი, დინჯი მოძრაობებით და ქმედებითაც.

დიდი მეგობრობა და სამსახური გამიწია ოჯახური, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და პირობების სრულყოფაში (მაცივარი, ტელევიზორი, ელექტროგაყვანილობა, გათბობის ქსელები, ტელეფონი და ა.შ.). მოკლედ რომ ვთქვა – იყო ხელმარჯვე ოსტატი, თანაც დაუზარელი, თანაც იუმორის ფონი, თანაც სიმღერა და ლამაზი სადღეგრძელოები და თანაც სულისა და გულის შემოთავაზება. აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ჩემო თამაზ.

„...აქაც კარგი კაცი იყავ,
მანდ ნათელი დაგადგესა...“ (პერიფრაზი)

ჩიხლაძე დიმიტრი (მიტო) და იარდალაშვილი ლილი



უაღრესად თბილი და ჰარმონიული წყვილი, რომელმაც მთელს გორს (და არამარტო) დაანახა, როგორი უნდა იყოს ტრადიციული ქართული ოჯახი.

მე და ჩემს მეუღლეს, ირას – ძალიან გაგვიმართლა, რომ ახლოადამიანური და ცხოვრებისეული პრობლემები გვაკავშირებდა ულამაზეს წყვილთან. წყვილთან, რომელიც მუდამ მხარში გვედგა და გვიადვილებდა ცხოვრებას.

ნათელში ყოფილიყოს თქვენი სულები, ჩემო ძვირფასო ლილი და მიტო – მიტო და ლილი.

ჩოჩია ალეკო

ძალიან მომწონდა ცხოვრებისა და შრომა-გარჯის მისეული სტილი – მუდამ მზადყოფნის რეჟიმში ყოფნა. საოცარია, როგორ ახერხებდა. მისთვის არ არსებობდა არათუ დასვენების დღე, არამედ დასვენების საათიც კი. მუდამ მზად იყო დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფს ყოველგვარი ანგარების გარეშე.

საოცარი პატრიოტი გახლდათ თავისი ხალხის და ქვეყნის. ბედნიერი ვარ, რომ მას ვიცნობდი და მქონდა მეგობრული დამოკიდებულება რამდენიმე წლის განმავლობაში, უფრო სწორად მანამდე, სანამ სამუშაოდ გადავიდოდა თბილისში. ბევრი დრო გვქონდა ერთად გატარებული.

პატივს მცემდა, მეფერებოდა და მამხნევებდა – არ მომასწროს ღემრთმა შენთან სისხლიანი თითებით შეხებაო – აკი არც ეღირსა.

ნათელში ყოფილიყოს სული მისი.

ჩუბინიშვილი დავითი

ორიგინალური ხასიათითა და საკითხებისადმი არაორდინალური მიდგომებით იყო გამორჩეული დავით ჩუბინიშვილი, რომელიც სულ ორიოდე წელი იყო ქ. გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ორჯერ შევხვდი მას, როდესაც გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში ვმუშაობდი განყოფილების გამგედ.

არ დამავიწყდება მისი ჩემი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „... უნდა შეგეძლოს სწრაფად აუღო ალღო ვითარებას და მოერგო მას...“

ავუღე, მოვერგე... გაამართლა.

მადლობა დავითს.

ჩხიკვაძე ვანო



თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მრავალი წიგნის ავტორი. გორის საპატიო მოქალაქე. საქმისადმი, ოჯახისა და მეზობელ-მეგობრებისადმი უსერიოზულესი დამოკიდებულებით გამორჩეული.

ძალიან ბევრჯერ ვართ შეხვედრილები ოფიციალურ თუ არაფორმალურ სიტუაციებში და ყოველთვის გახარებული და გაოცებულიც კი დავრჩენილვარ მისი ტალანტით და რეალური ცხოვრების ზომიერად აღქმის უნარით.

არასდროს უკადრებია პირადად ჩემთვის რჩევა-დარიგების მოცემა ან თუნდაც მსუბუქი კრიტიკა. უყვარს გადატანითი მნიშვნელობის მატარებელი მოკლე გამონათქვამები, რაშიც, დაკვირვებული და ჭკუიანი ადამიანი ბევრ სასარგებლოს დაინახავს და ამოარჩევს.

ვანო ჩხიკვაძის გვერდში ფიზიკური დგომაც კი ტოლფასია სერიოზული დახმარებისა, ასეთი აქვს აურა.

ჯანმრთელობა და წარმატება არ მოგაკლოს ღმერთმა, საყვარელო მეზობელო, ახლობელო და კოლეგავ.

ცინცაძე ვახტანგი

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი. ძველი თაობის კაცი გახლდათ. ტექნიკური განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და ამით ამაყობდა. აღნიშნულ ფაბრიკაში სამუშაოებს ვატარებდით გორის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები. ბატონი ვახტანგი დაუზარელად გვეხმარებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში და გულდასმით მასწავლიდა თხევად საწვავზე მომუშავე ჰაერგამათბობლების (კალორიფერების) ექსპლუატაციის ნიუანსებს.

მას ყველა დიდ პატივს სცემდა და მოფერებით „ერმილიჩ“-ს უწოდებდნენ (მიმართვა მამის სახელით).

მადლობა ჩემს სეხნიას.

ძნელაძე რობერტი

ფიზიკოსი; ერთ ოთახში ვიცხოვრეთ კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში (1957-1958 წ.წ.).

მასწავლიდა (როგორც თითქმის კოლეგას) ფიზიკის პრობლემების ლაბორატორიული კვლევების ნიუანსებს და გურულ კილოკავებს. ყოველდღიურ ყოფაში იყო გაპიწკინებული და მოწესრიგებული. ხაზგასმული აქტიურობით ამყღავნებდა გურულებისათვის დამახასიათებელ სიფიცხეს.

მადლობა, ჩემო რობერტ, ყოველმხრივი თანადგომისთვის.

ძულიაშვილი ომანი

ფიზიკოსი. ერთად ვმუშაობდით გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში. წარმოშობით ახმეტის რაიონიდან. რომ გაიგო ჩემი კახური წარმომავლობის შესახებ, ცდილობდა ჩემთან ხშირად ყოფილიყო კონტაქტში.

მასში მომწონდა დაპირებული სიტყვის დროულად და მაღალ დონეზე შესრულებისკენ მოწოდება და მისწრაფება. კმაყოფილებას და აღტაცებას ვერ მალავდა დანაპირების შესრულების ფაქტზე.

უყვარდა სიტყვები – „...ვაუკაცს უხდება სიტყვის შესრულება“-ო.

წიკლაური ანზორი

გორის საქალაქო კომიტეტის ახალი პირველი მდივანი მოდის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის მოღვაწეობისა და კოლექტივის გასაცნობადო – დაირხა ხმები ცხინვალის გზატკეცილის №9-ში განთავსებული სამეცნიერო კერის დერეფნებში.

იდგა ცხელი აგვისტოს დღეები.

ატყდა ერთი ამბავი. დირექტორის (ლევან ხარატიშვილი) სიტყვიერი მითითებით აფუსფუსდა 250-მდე თანამშრომელი და სამეურნეო დამხმარე პერსონალი. სახელდახელოდ შელესეს და შეღებეს დაზიანებული ადგილები, გაწმინდეს ფანჯრები, გააკრიალეს იატაკი (სამივე სართულზე), გამოცვალეს გადამწვარი ნათურები, სასწრაფოდ გამოუშვეს კედლის გაზეთის ახალი ნომერი, აღადგინეს სამუშაოს დაწყება-დამთავრებისა და შესვენების მაუწყებელი ელექტროზარი.

ეზოში ასფალტზე თეთრად მონიშნეს მანქანების დასაყენებელი ადგილები, აამუშავეს ეზოში მიტოვებული შადრევანი, ლაბორატორიებში მომუშავეებს ჩააცვეს თეთრი ხალათები და ა.შ.

მოკლედ, იდგა „პაკაზუხობის“ ზეიმი. ცუდ ხასიათზე დავდექი ასეთი ამბების მომსწრე. ნუთუ ყველაფერ იმის გაკეთებას, რაც ნაწილობრივ ჩამოვთვალე, ესაჭიროებოდა პირველი მდივნის გაცნობითი ვიზიტი?!

მე ჩემს განყოფილებაში (კვების მრეწველობის ავტომატიზაციის) ამ მხრივ მქონდა სრული წესრიგი – განყოფილების თანამშრომლები ყოველდღიურად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ყოფილიყო სისუფთავე და მოწესრიგებული გარემო. რაც შეეხება თეთრ ხალათებს – მას სისტემატურად ატარებდა, ვისაც ეს წესდებით ეთხოვებოდა.

მაშ ასე, დადგა ვიზიტის დღე. გაოცებული შევყურებდი ჩვენს თანამშრომლებს – მამაკაცები სუყველა წვერგაპარსული, კოხტად მორგებულ კოსტიუმებში (თუმცა, იყო ზაფხული), გოგონები და ქალები მაკიაჟმოწესრიგებულები და ახალი ვარცხნილობით... მოკლედ მათი ნახვა „ერთ რამედ ღირდა“.

შემოვლა დაიწყო დირექტორის კაბინეტიდან ანუ მე-3 სართულიდან. წინ მიდიოდნენ დირექტორი და პირველი მადივანი, მათ უკან მისდევდა საქალაქო კომიტეტის მაღალი თანამდებობის პირების 10-12-კაციანი ჯგუფი.

ვიჯექი ჩემს კაბინეტში (II სართული) და ველოდი. კარი ღია მქონდა ორი მიზნით: პირველი ის, რომ გამეგო მოახლოებული ფეხის ხმა და თავი ერთხელ კიდევ შემემაგრებინა და მეორე – შემოსულიყო შედარებით გრილი ჰაერი.

გავიგონე ჯგუფური ნაბიჯების მოახლოებული ხმა. საოცარი რამ არის ადამიანის ტვინი-გონება – სულ რაღაც 10-15 წამში გა-

ვირბინე ის ერთსაათიანი მასალა, რომლითაც უნდა „გამეცნობიერებინა პირველი მდივანი.

გაჩერდნენ ღია კარში. დირექტორმა უთხრა, რა განყოფილებაა და მე ვინ ვარ. მათ ზურგსუკან იდგა თვალებგაფაციცებული პარტიული ჩინოსნების გუნდი.

მობრძანდით-მეთქი, მივმართე პირველ სტუმარს და ხელი წავიღე სკამისკენ.

არა, ნუ შეწუხდებით, ბევრი დრო არ მაქვს; სცადეთ ორიოდ წუთში მომიყვეთ, თუ რა გააკეთა თქვენმა განყოფილებამ, ახლა რა საკითხებზე მუშაობთ და მომავალში რას აპირებთო.

ჩემი მეგობრები ხშირად მსაყვედურობენ – ფეთქებადი ხასიათი გაქვს, არ შეიძლება ასეო...

მოდი და ნუ აფეთქდები მოსმენილის შემდეგ. თურმე, რაც 15 წლის განმავლობაში გაგვიკეთებია, რასაც დღეს ვაკეთებთ და რის გაკეთებას ვაპირებთ მომავალში – **ორიოდ წუთში** უნდა მოვახსენო საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, მითუმეტეს, რომ არავითარი წარმოდგენა არ გააჩნია იმაზე, თუ რა არის ავტომატიკა და ტელემექანიკა, რომ აღარაფერი ვთქვათ მართვის ავტომატიზირებულ სისტემებზე და კომპლექსებზე.

„არც ვაციე და არც ვაცხელე“ – საკმაოდ სწრაფად და გარკვევით მივახალე: „...როცა დრო გექნებათ, მაშინ მობრძანდით, **ორიოდ წუთში** ვერ აგიხსნით გაკეთებულ-გასაკეთებლების შესახებ-მეთქი.“

ჩემს დირექტორს სახეზე სითეთრემ რომ გადაურბინა, ეს შევნიშნე, მე რომ მუხლები ამიკანკალდა – ეს ვიგრძენი, არეული და მიმავალი ნაბიჯების ხმა კი გავიგე. გონზე მოსულმა გავიფიქრე: „...ვაი, ჩემს თავს, ეს რა დამემართა, დირექტორი ხომ ხვალვე მომხსნის თანამდებობიდან, თუ ჯერ თვითონ ის არ მოხსნეს ასეთი „თავხედი“ თანამშრომლის გამო“.

ორი კვირა წესიერად აღარ მძინებია. დირექტორიც, რატომღაც, ჩუმად იყო,

მე-15 დღეს, სულ რაღაც ხუთი წუთის მისული ვიყავი სამსახურში, როცა დირექტორმა ტელეფონით მიხმო თავისთან კაბინეტში.

ვიფიქრე – აჰა, მოვიდა ჩემი განსჯისა და დასჯის დღე-მეთქი. მაგრამ არა; დირექტორი სასიამოვნო ღიმილით შემხვდა და მაცნობა – ახლავე უნდა წახვიდე ამირან ბიძინაშვილთან (საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი), გელოდებაო. წამოდგა, კარებამდე მიმაცილა, რაღაცნაირად ჩაიღიღინა – „აბა, ახლა შენ იციო“. რა ხდებოდა, ვერ მივხვდი.

ნახევარი საათის შემდეგ მოხდა ის, რასაც ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. ჩემი თანდასწრებით პირველმა მდივანმა ხელი მოაწ-

ერა ამირან ბიძინაშვილის მიერ მომზადებულ ბრძანებას ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორად დანიშვნის შესახებ (თურმე, მთელი ორი კვირა მსჯელობდნენ ამ საკითხზე). მერე გავიგე, რომ პირველ მდივანს კატეგორიულად მოუთხოვია ჩემი დირექტორად დაწინაურება; ასე უთქვამს – „მომწონს პირდაპირი და გულწრფელი ადამიანები, რომლებიც რასაც ფიქრობენ, იმას ამბობენ და რასაც ფიქრობენ და ამბობენ, მის აუცილებელ შესრულებაზე სრულ პასუხისმგებლობასაც იღებენო“.

ჩემი კომენტარი – ბავშვობიდან ვცდილობ სიმართლის დეკლარირებას და მსახურებას. ახლაც ვამბობ პირდაპირ და შეულამაზებლად – ჩემი „პირდაპირობით“ ცხოვრებაში ბევრჯერ „წავაგე“, მაგრამ სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ათასჯერ უფრო მეტად „მოვიგე“, რაც, ასევე, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი იყო, არის და მომავალშიც იქნება სასარგებლო ჩემი ახლობელ-ნათესავებისთვის, ამხანაგ-მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის, კოლეგებისთვის და მთლიანად მშობლიური ქვეყნისათვის.

„...ყრმობიდან მომდევს ბევრი რამ დღესაც,
ვერ გავიმეტებ საჭრელად ხესაც,
ავითვალწუნე ძუნწი და ქლესა,
დღედაღამ ვლოცავ მშობლიურ ზეცას.
ღმერთო, მაღალო, მომეცი ძალა,
ნუ მაბოგინებ კენტად და ცალად,
თუ კი ვვარგივარ სულით ან თვალად,
ნურას გამატან იმქვეყნად ვალად“.

ჰოდა, ძვირფასო მკითხველო – ვცდილობ არ წავიდე ვალმოუხდელი.

ჭოჭელი თენგიზი

გასული საუკუნის 70-იან წლებში თენგიზ ჭოჭელი ითვლებოდა ერთ-ერთ მაღალი დონის მექანიკოსად. რომ იტყვიან – ყველაფერი ეხერხებოდა მის გონებასა და მარჯვენას.

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში გავიცანი. მერე ძალიან ახლო ნაცნობები გავხდით. მერე ოჯახებით (მეუღლე, ანაიდა რატიშვილი – იდა) დავუახლოვდით ერთმანეთს.

მშრომელი და დაუზარელი კაცი გახლდათ ბატონი თენგიზი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ინსტიტუტის მექანიკურ საამქროში და თავისი ხელმარჯვეობით დაიმსახურა კოლექტივის პატივისცემა.

მეხმარებოდა ყველანაირად ახლადშექმნილი ოჯახის მართვაში. დღემდე რელიქვიად შემორჩა ჩემს ოჯახს მისი ხელით ნაკეთები რამდენიმე ნივთი.

ხარატიშვილი ლევანი

მე და ლევან ხარატიშვილი ქ. იალტაში მეღვინეობისსაკავშირო კონფერენციაზე დასასწრებად (1970-იანი წლები)

1960 წელს გორის კვლავით-სამეცნიერო ინსტიტუტის („ნიიავტომატ-პრომი“) დირექტორმა გიორგი (ჟორა) ბერძენიშვილმა ჩაიდინა საშინელი დანაშაული, როდესაც ახლადაშენებულ საცხოვრებელ სახლში ბინების ნაწილში (ერთოთახიანები) ჩაასახლა ე.წ. „ხალასტოი“ ბიჭები (უცოლშვილოები), მაშინ, როდესაც უბინაოდ დატოვა ახლადშექმნილი ოჯახები, მათ შორის შვილიანებიც კი.

„დაჩაგრულთა“ შორის აღმოვჩნდი მეც, უკვე ცოლიანი და პირველი შვილის მომლოდინე.

მე, როგორც პროფკავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ, ხელი არ მოვაწერე ბინების განაწილების შესაბამის ოქმს, რასაც მოჰყვა დირექტორის აღშფოთება და მუქარა ჩემი მისამართით.

იძულებული გავხდი, წავსულიყავი მოსკოვში, ჩვენს საკავშირო სამინისტროში (გორის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა არ „აწყენინეს“ ინსტიტუტის დირექტორს). შევხვდი მინისტრის მოადგილეს. მომთხოვეს განცხადების დაწერა. მე ვუპასუხე, რომ არ ვთვლიდი საჭიროდ განცხადების წერილობით ხასიათს, გამოვიხურე კარები და იმავე დღეს დავბრუნდი თბილისში, ხოლო მეორე დილით თავის დროზე გამოვცხადდი სამსახურში.

დირექტორმა დამიბარა კაბინეტში და დაინტერესდა, თუ რატომ არ ვიყავი სამსახურში წინა დღეს. მე არ დავუმალე და ვუთხარი სად და რისთვის ვიყავი.

მაგიდის ქვეშ ხელი შეჰყო და ზარით გამოიძახა მდივანი, რომელსაც მკაცრი ტონით უთხრა – „მოამზადე ბრძანება ვ. ჭანკოტაძის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და შემომიტანე ხელმოსაწერადო“. ის იყო მდივანი გავიდა კაბინეტიდან, რომ დირექტორის მაგიდაზე აწკრიალდა ტელეფონი დროში გაწელილი წკრიალით, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ რეკავდნენ სხვა ქალაქიდან.

მე ვაპირებდი კაბინეტიდან გასვლას და ოდნავ შევყოვნდი, რადგან დავინახე როგორ წამოდგა დირექტორი ფეხზე და როგორ აჭიკჭიკდა რუსულ ენაზე.

სასწრაფოდ დავტოვე დირექტორის კაბინეტი და წავედი ჩემი სამუშაო ადგილისკენ.

ორი დღის შემდეგ ჩვენს ინსტიტუტს ეწვია მოსკოვიდან გამოგზავნილი პიროვნება (გვარი აღარ მახსოვს). ერთი კვირის შემდეგ ჩვენი დირექტორი სადღაც გაქრა (გვიან გავიგეთ, რომ გადაიყვანეს თბილისში, ერთ-ერთ სამინისტროში).

ორი კვირის შემდეგ კი „ნიიავტომატპრომის“ დირექტორად დანიშნეს ყველასთვის კარგად ცნობილი პარტიულ-სამეურნეო მუშაკი ლევან ხარატიშვილი.

პირველი, რაც ახალმა დირექტორმა გააკეთა ის გახლდათ, რომ სამართლიანად გაანაწილა საცხოვრებელი ბინები. მე წილად მხვდა ოროთახიანი ბინა, სადაც დღემდე ვცხოვრობ.

ლევან ხარატიშვილმა ხელი ჩამომართვა, ახალი ბინა მომილოცა და მითხრა – „აბა, შენ იცი, ბედნიერებაში მოგეხმაროს ახალი ბინა, გისურვებ შთამომავლების სიმრავლეს და სამსახურებრივ წინსვლას“-ო.

ამ ბინაში აღიზარდნენ გენერალ-ლეიტენანტი და მაიორი, რომლებიც მედგრად იცავდნენ სამშობლოს ინტერესებს.

წლების განმავლობაში ვგრძნობდი ლევან ხარატიშვილის მხარდაჭერას, რათა წარმატებული ყოფილიყო ჩემი სამსახურებრივი და ოჯახური საქმიანობა.

ღმერთმა აცხონოს ლევან ხარატიშვილის სული.

ხორბალაძე გიორგი

ვერ ვიტყვი, რომ მე და გიორგი ხორბალაძე დიდი მეგობრები ვიყოთ, თუმცა, ჩვენს შორის არსებული კეთილგანწყობა და თბილი შეხვედრები იმედს იძლევა, რომ ორივეს ერთობლივი ძალისხმევა მალე მიგვაღწევინებს მიზნამდე.

ალბათ, ჩვენი დამეგობრების პროცესს ხელი შეუშალა სამოღვაწეო ასპარეზების სხვადასხვაობამ, ურთიერთნაცნობობის შედარებით მოკლე დრომ და შეიძლება ასაკებს შორის დიდმა სხვაობამაც და ა.შ.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი შეხვედრები და თუნდაც მცირე ხნის საუბრები, ჩემზე სტოვებს ძალიან პოზიტიურ შთაბეჭდილებას, რაც, ვფიქრობ, განპირობებულია გიორგის განათლების მაღალი დონით, დახვეწილი შინაგანი კულტურით, ზრდილობით და სიკეთის კეთების დიდი სურვილით და უნარით.

მტკიცებულების ფორმით ვიტყვი, რომ გიორგისთან ყოველი შეხვედრა მსიამოვნებს და მახარებს, რაც თავის მხრივ სიცოცხლის გახანგრძლივების გარანტიებია.

თქვენ იცოცხლეთ დიდხანს, ბატონო გიორგი, მეგობარ გიორგი სოსიაშვილთან (გორის უნივერსიტეტის რექტორი) ერთად, ასე ერთგულად და მაღალ პროფესიონალურ დონეზე რომ ემსახურებით ახალგაზრდობის განათლება-აღზრდის ისტორიულ და საშვილიშვილო საქმეს.

„...გაუმარჯოს ჩვენს მიწა-წყალს,
დაჩიავდეს ჩვენი მტერი...“

ეს თქვენი სიტყვებია, ბატონო გიორგი. ღმერთმა წარმატებით გატაროთ.

ხუციშვილი სესილი

საქვეყნოდ ცნობილი გვარის წარმომადგენელი, გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილი მუშაკი, გორის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი სესილი გახლავთ ჩემი მეუღლის დაქალი.

ქალბატონი სესილი გახლავთ დიდად განათლებული და გამოცდილი პიროვნება, რომელსაც შემოვლილი აქვს თითქმის მთელი საქართველოს ისტორიულად ცნობილი სივრცეები, ქალაქები, დაბები თუ სოფლები. მასთან საუბარი ერთ რამედ ღირს. არაერთხელ გამოუხატავს თავისი კეთილგანწყობა ჩვენი ოჯახის მისამართით.

მადლობა ქალბატონო სესილი, ჩემი ოჯახის სახელით.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.

ჯავახიშვილი ლალი

იშვიათად არიან ისეთი ქალბატონები, როგორებიც გახლავთ: მუსიკალური სიმაღლეების მპყრობელი, მუდმივად სამუშაო რეჟიმში მყოფი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, პრობლემებით დამძიმებულ ყოველდღიურობაში საოცრად მტკიცე და მედგარი და ამავდროულად საინტერესო იუმორის მქადაგებელი და პროპაგანდისტი ლალი ჯავახიშვილი.

ვინ იცის, რამდენი წლით გამიხანგრძლივა სიცოცხლე ლალის მუსიკალურმა ფენომენმა და ორიგინალურმა იუმორმა.

ბარაქალა შენს მეობას, ჩვენო საყვარელო ლალი.

ჯალიაშვილი მარინე

ყოჩაღი ქალიაო – მისთანებზე ამბობენ ხოლმე. საკმარისია მის გვერდში იყო ერთი-ორი საათი და დარწმუნდებით, რომ მას თითქმის ყველაფერი შეუძლია დაწყებული ღიმილიანი სალმიდან, ვიდრე წარმატებულთა მისამართით დითირამბებით. ერთნაირად ძლიერად და საინტერესოდ გამოიყურება მისი საქმიანობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა – ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი საქმიანობა და კოლექტიური სულისკვეთების პროპაგანდა.

ხაზგასასმელია მისი ორგანიზატორული უნარი. ქალბატონმა მარინემ დიდი დახმარება გამიწია სატელევიზიო საავტორო პროგრამის („ლიტერატურა და ხელოვნება“) მომზადება-ამოქმედება-განვითარებაში. დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩემი რამდენიმე წიგნის გამოცემის საქმეში. მარინე მზადაა მხარში ამოუდგეს ყველას, ვისაც ეს განსაკუთრებით ესაჭიროება.

დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო მარინე, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

ჯაფარიძე ნათელა

საოცარად გულჩვილი და გულთბილი ადამიანი გახლდათ ქალბატონი ნათელა ჯაფარიძე. ისიც შევამჩნიე (ჩვენი ხანგრძლივი ნაცნობობის პერიოდში), რომ მთელი თავისი არსებით ცდილობდა და აკეთებდა კიდეც იმას, რომ დახმარებოდა გაჭირვებულებს ყველა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. რამდენჯერმე შევესწარი ფაქტს, როდესაც ფულით დაეხმარა გაღატაკებულ ოჯახს, ვიღაცას ტანსაცმელი აჩუქა, ვიღაცას სანოვაგე გაუგზავნა და ვიღაცას ტელეფონით ეუბნებოდა – ხვალ აუცილებლად მივხედავო.

ქალბატონმა ნათელამ მრავალ გაჭირვებულ ოჯახს დაუფინანსა ახლობლის ხსოვნის უკვდავყოფისათვის საჭირო ხარჯები „ხსოვნის წიგნი“ (გამოდის სისტემატურად, გამოსულია უკვე თორმეტი ნაწილი) შესაბამისი მონაცემების შეტანის მიზნით.

ქართული სუფრის მოყვარულიც გახლდათ ქალბატონი ნათელა და არც პოეზია და მუსიკა ყოფილა მისთვის „უცხო ხილი“.

ხშირად დავუპატიჟებივართ მე და ჩემი მეგობრები (აკაკი ბიძინაშვილი, ვაჟა შიუკაშვილი, შერგილ სუხიტაშვილი და სხვები)

ოჯახში, სადაც ბრწყინავდა, როგორც მასპინძელი და როგორც ხელგემრიელი დიასახლისი.

მხიარულ, გულმხურვალე და გულმართალ ქალბატონთა შესანიშნავ კოჰორტაში მოიაზრება ჩემთვის ქალბატონი ნათელა. დიდი მადლობა მას ჩვენი ხშირი მოფერებისა და დალოცვისათვის. დაუვიწყარია მის ოჯახში გაშლილი დოვლათიანი სუფრის გემო.

სამწუხაროდ, იგი უკვე ვეღარ გვიმასპინძლებს. ნათელში ყოფილიყოს მისი სული.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, გთავაზობთ ნათელა ჯაფარიძის ლექსიდან „ატენი“ ამონარიდს ერთი სტროფის სახეით:

„...ცად აზიდულა მზისკენ ბარბარი,
ზემოთ სიონი, დანახვისია
და ეს მშვენება, ტურფა სამყარო
ჩვენია, ჩვენი, განა სხვისია?!.“

ჯოლბორდი შოთა

„შავი მარგალიტი“ შეარქვეს მეტსახელად ახლობლებმა. შავი იმიტომ რომ ზედმეტად შავგვრემანი იყო; მარგალიტი კი იმიტომ, რომ ძვირფასი პიროვნება იყო – რომ იტყვიან, თავისი ურთიერთობებით მარგალიტივით ბრწყინავდა.

ოჯახის ჩამოყალიბებისა და საცხოვრისის კეთილმოწყობის საწყის ეტაპზე (1960-1965 წ.წ.) სისტემატურად მეხმარებოდა ელექტროგაყვანილობისა და საშინაო ელექტროხელსაწყოებისა და მოწყობილობების გამართული და საიმედო მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში. თეორიულ ცოდნას მიმყარებდა პრაქტიკული რჩევებით და უშუალო ჩართულობის მეთოდის ფართო გამოყენებით.

კარგად თამაშობდა ფეხბურთს. ძნელი იყო მისთვის ბურთის წართმევა.

არდავიწყება, ჩემო შოთა, შენს სახელს.

„...ყველანი კარგად მახსოვხართ, ვფიცავ,
არ დაგივიწყებთ არასდროს, არა,
მომიღოცეთ თუ მაჩუქეთ ვინც რა,
თბილ-ცკბილი სალმე დამიდგით ფარად.

ყველანი კარგად მახსოვხართ, გწამდეთ,
სიკვეთეს ხსოვნა საჭირდება - მეთქმის.
გარჯა-ალერსით „მეშვიდე ცამდე"
თქვენ ამიყვანეთ... ვღოცულობ თქვენთვის.

აბალაკი გივი, აბრამიძე ნანა, ადამაშვილი ამირანი, ალავერდაშვილი ჯუბო, ამბოკაძე ნანა, ამბროლაძე ეკატერინე, აწკარუნაშვილი ნუგზარი, ბაიაძე ლალი, ბაღდასაროვა ასმათი, ბეგაშვილი ავთო, ბერუაშვილი მაყვალა, ბინიაშვილი ანზორი, ბიჭიკაშვილი ზურა, ბოჭორიძე ფირუზა, გაგნიძე ბეჟანი, გაგნიძე ნინო, გასიტაშვილი ფაცო, გასიტაშვილი ედიკა, გაჩეჩილაძე მელანო, გაჩეჩილაძე შამილი, გერმანიშვილი მაყვალა, გვრდწითელი თეიმურაზი, გოგინაშვილი გერონტი, გოგოლაძე სულიკო, გოქაძე ნუკრი, გოცირიძე ბაგრატი, გურგენიძე ვალოდია, დალაქიშვილი თინიკო, დევიძე ოთარი, დიასამიძე შალვა, დოლიაშვილი ვალიკო, დუდაშვილი ქეთინო, ედიშერაშვილი გივი, ედიშერაშვილი თინა, ელიზბარაშვილი გოგია, ენდელაძე გრიშა, ვარდოსანიძე მირიანი, თავართქილაძე იანი, თავზარაშვილი დავითი, თავყელიშვილი ნიკოლოზი (ნუკრი), თენაძე გია, თომაძე ნორა, ივანიაძე სულიკო, კაპანაძე ამირანი, კერესელიძე ქსე-

ნია, კვინიკაძე იუზა, კიკაძე ირაკლი, კოვზირიძე მზია, კომარკოვი იური, კორძაძე გურამი, კუთხაშვილი ნათელა, კურტანიძე ამირანი, ლაფაჩი პაპუნა, ლომიძე გიგა, მაკასარაშვილი მიტო, მაკასარაშვილი ნინა, მაკრახიძე ალექსანდრე, მანელიძე ზაზა, მაღრაძე ილო, მაჩაიძე გურამი, მახარაძე ამირინდო, მერაბიშვილი ჟალინა, მეცხვარიშვილი დათო, მეცხვარიშვილი შამილი, მთვარელიძე მურადი, მიქაუტაძე ნელი, მურადაშვილი შალვა, მცურავიშვილი ანზორი, მწითურიძე ლამარა, ნასყიდაშვილი სიმონი, ნინოშვილი მარლენი, ნინოშვილი რობიზონი, ოქროპირიძე მერაბი, პაპიძე გოგი, ჟვანია გრიშა, რაინაული ფარნა (რაინა), რეპინა მანანა, რობაქიძე ჯემალი, საბაშვილი გიორგი, საგანელიძე ზაური, სადაღაშვოლი ვალოდია, სამადალაშვილი ავთო, სამხარაძე ზურა, საძაგლიშვილი გიორგი, საძაგლიშვილი ურანი, სეფედაური ბელა, სვიანაძე ნუგზარი, სიხარულიძე ზურა, სტურუა ვენერა, ტაბატაძე ირადიონი, ტატიშვილი რიმა, ტატულაშვილი გურამი, ტეტუნაშვილი არსენა, ტეტუნაშვილი რეზო, ტიტოვი ლიოვა, ფანჩვიძე ესმა, ქარელი ვიტალი, ქურდაძე შურა, ღვანია ზურა, ყაზაროვი ვალიკო, ყანჩაველი ვახტანგი, ყანჩაველი ლუიზა, ყულუმბეგაშვილი ბაბულია, შერმადინი შიო, შოშიაშვილი ავთანდილი, ჩიხლაძე ლევანი, ჩხეიძე პაატა, ცატუროვა ლამარა, ცოხნიაშვილი ანზორი, წიქარიძე გოდერძი, წიქარიძე ნოდარი, წიწიკაშვილი ომარი, წკრიალაშვილი დათო, ჭანკვეტაძე გაიოზი, ჭანკვეტაძე გია, ჭანკოტაძე მერაბი, ჭყოიძე მალხაზი, ხადური იულონი, ხადური ჯიმშერი, ხატიაშვილი ოთარი, ხმალაძე კამო, ხორბალაძე იზო, ჯეირანაშვილი მალინა, ჯოხაძე ზურა.

სარჩევი

წინათქმა ---------- 3

მადლობა, უღრმესი მადლობა! ---------- 5

თელავი-გურჯაანი ---------- 7

თბილისი ---------- 45

გორი ---------- 65

ყველანი კარგად მახსოვხართ ---------- 136

დამატებითი ჩამონათვალი ---------- 136

ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქრის მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე საძრაფწველი ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ლირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის লაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში